F 4892
3

3
ეროვნული ბიბლიოთეკა
352₅ (47.922/1)
F 4.892/3

# საგნობრივი სარჩევი

## თფილისის ქალაქის საბჭოს მიერ 1919 წელში განხილულ საქმეთა.

### გადასახადები.

მოისმინეს:

გამგეობის მოხსენება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებიდან სამ პროცენტიანი გადასახადის გადიდების შესახებ.

დაადგინეს:

20/I. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის საბჭოს 1918 წლის 23 სექტემბრის სავალდებულო დადგენილება შეცვლილ იქმნას. (ჟურნ. № 2).

---

გამგეობის მოხსენება ლტოლვილთა სასარგებლოდ სახელმწიფო თეატრში გამართულ კონცერტის საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

17/II. ლტოლვილთა სასარგებლოდ სახელმწიფო თეატრში 1919 წ. 21 ნოემბერს გამართული კონცერტი განთავისუფლებულ იქმნას საქალაქო გადასახადისაგან. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება 1919 წ. სატრაქტირო გადასახადის გაწერის შესახებ.

17/II. გამგეობის მოხსენება სატრაქტირო გადასახადის გაწერის შესახებ მოხსნილ იქმნას ს[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიდან, დაევალოს ქალაქის გამგეობას ეს მოხსენება დასტამბული დაუგზავნოს ხმოსნებს მახლობელ სხდომის უწყებებთან ერთად. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება სახელმწიფო თეატრის საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

3/III. სახელმწიფო თეატრი განთავისუფლებულ იქმნას 1919 წლის სეზონის პირველ ნახევარში საქალაქო გადასახადისაგან. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის მე-3 პირველ-დაწყებითი სკოლის შენობის პატრონის გასან ჯალალოვის თხოვნის თანახმად ჯარიმის მოხსნის შესახებ.

3/III. ვინაიდან ქალაქის გამგეობამ თავის ვადაზედ ვერ შესძლო გასან ჯალალოვისთვის მიეცა ვერის მე-3 სკოლის შენობის ქირა, ამისთვის განთავისუფლებულ იქმნას იგი ჯარიმიდგან. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება მე-7 უბნის სავაჭრო-სამრეწველო ზედამხედველის ცნობის თანახმად ქონება № 852 გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

3/III. გამორიცხულ იქმნას შესაფასებელ გადასახადების ქონებათა სიიდან სოლქო-საინტენდანტო გამგეობის ქონება მე-7 უბანში № 852; ვინაიდან ხსენებული ქონება არავითარ შემოსავალს ხაზინას არ აძლევს. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება 8 დეკემბერს ქართულ კლუბში გამართულ მეცნიერულ ლექციის საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

3/III. 1918 წლის 8 დეკემბერს ქართულ კლუბში გამართული მეცნიერული ლექცია განთავისუფლებულ იქმნას საქალაქო გადასახადისაგან. (ჟურნ. № 6).

---

104стр 21см (5.4)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება 1919 წლის სატრაქტირო გადასახადის გაწერის შესახებ.

3/III. გამგეობის მოხსენებაში ნაჩვენები საერთო ჯამი სატრაქტირო გადასახადისა 1919 წლის გაორკეცებულ იქმნას და მიმდინარე წლის პირველს მეოთხედში ყველა სატრაქტირო დაწესებულებებს გადახდეს მეოთხედი გაორკეცებული სატრაქტირო გადასახადის საერთო ჯამისა (2.271.000×2=4.542.000, 4.542.000 : 4=1.135.500 მან.). დარჩენილი წლის სამი მეოთხედის განმავლობაში სატრაქტირო გადასახადის შესახებ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ წარმოუდგინოს ქალაქის საბჭოს შემზადებულ-დასაბუთებული მოხსენება. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა პირებზე დარჩენილ შესაფასებელ გადასახადების რამოდენიმე ვადაზე გადახდის შესახებ.

3/III. ნება დაერთოს ქეთევან ჯანანოვისას მასზედ დარჩენილი გადასახადი 68 მ. 68 კ. გადაიხადოს ნაწილობრივ თვეში 15 მ. ნება დაერთოს ნატალია შალიხოვისას მასზედ დარჩენილი გადასახადი 1.195 მ. 10 კ. გადაიხადოს ნაწილობრივ თვეში 200 მ.; ნება დაერთოს მ. ტოგონიძეს მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 368 მ. 41 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 100 მ.; ნება დაერთოს ა. შარავიანს მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 233 მ. 95 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 50 მ.; ნება დაერთოს ანნა ტუსიევს შესაფასებელი 96 მ. 18 კ. გადიხადოს ნაწილობრივ, ისე კი რომ 1919 წ. 1 იანვრისათვის იგი გადახდილი იყოს მთლიანად; შესაფასებელი გადასახადი 381 მ. 72 კ. ქალაქის მე-2 პუშკინის სასწავლებლის მასწავლებელ ნ. ლ. ოგანოვისაზედ დაექიროს ოგანოვისას ჯამაგირიდგან თვეში 80 მ.; ნება დაერთოს ვასილ ბარხუდაროვის მემკვიდრეებს დარჩენილი შესაფასებელი 1.508 მ. 49 კ. გადიხადონ ნაწილობრივ თვეში 200 მ.; ნება დაერთოს რიფსიმე შხიანცს მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 628 მ. 64 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 140 მ.; ნება დაერთოს პეტრე თუმანოვს მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 816 მ. 34 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 100 მ.; 1919 წ. 1 ივლისიდგან ნება დაერთოს ქალია არღუტინსკი-დოლგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკოვისას მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 485 მ. 12 კ. გადიხადოს ნაწილობრივ აგვისტოში—58 მ. 12 კ., სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში ასასი მანეთი.; ნება დაერთოს ს. ა. კაზაროვს მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 273 მ. 94 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 80 მ.; ნება დაერთოს ოლღა შანშიევისას მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 276 მ. 55 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 55 მ. 31 კ.; ნება დაერთოს აკულინა გორბაჩევისას მასზედ დარჩენილი შესაფასებელი 84 მ. 22 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 25 მ.; ნება დაერთოს ა. ნ. ანანიევისას დარჩენილი შესაფასებელი 80 მ. 1 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 30 მ.; ნება დაერთოს დომნა არტუმანოვისას დარჩენილი შესაფასებელი 200 მ. გადიხიდოს ნაწილობრივ თვეში 50 მ.; ნება დაერთოს სოფიო ფურცელაძეს დარჩენილი შესაფასებელი 312 მ. 72 კ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 100 მ.; ნება დაერთოს ილია ცვეტოვს დარჩენილი შესაფასებელი 144 მ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 40 მ.; ნება დაერთოს ეკატერინე აბილოვისას დარჩენილი შესაფასებელი 300 მ. გადიხადოს ნაწილობრივ თვეში 65 მ. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ნატალია ვართანოვის თხოვნის თანახმად მასზე გაწერილი გადასახადის რამდენიმე ვადაზე გადახდის შესახებ.

10/III. ნატალია ვართანოვს დაერთოს ნება გადაიხადოს 60 მან. ქალაქის ვალი 5 მან. თვეში. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება მარიამ კოზაკოვის თხოვნის თანახმად დარჩენილ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

10/III. მარიამ კაზაკოვა განთავისუფლებულ იქმნას დარჩენილ გადასახადისაგან და ჯარიმიდან—63 მ. 65 კ. (ჟურნ. № 7).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა პირებზე დარჩენილ გადასახადის რამდენიმე ვადაზე გადახდის შესახებ.

10/III. წინადადება მიეცეს ზილმანს ეხლავე გადაიხადოს 200 მ. დანარჩენი 300 მ. გადიხადოს ხუთ-ხუთ თუმნობით თვეში. ლილუაშვილს ეპატიოს ნახევარი (45 მ.) დარჩენილ გადასახადისა, დანარჩენი—45 მ. კი გადიხადოს ხუთ-ხუთი მანეთი თვეში. ელისაბედ სულაძეს ეპატიოს დარჩენილი შესაფასებელი გადასახადი 19 მ. 75 კ. მარიამ ჯიმშერეიშვილს ეპატიოს დარჩენილი შესაფასებელი გადასახადის ნახევარი—222 მ. 70 კ., დანარჩენი—222 მან. 70 კ. გადიხადოს წლის ბოლომდის. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება რამენდიკის უძრავ ქონებაზე გაწერილი შესაფასებელ გადასახადის მოხსნის შესახებ.

10/III. რამენდიკი გ. ა. განთავისუფლებულ იქმნას დარჩენილ შესაფასებელ გადასახადისაგან—740 მან. 42 კ. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება სახელმწიფო ქონებაზე გაწერილი შესაფასებელი გადასახადის რაოდენობის შეცვლის შესახებ.

10/III. მოხდეს შესწორება შესაფასებელ გადასახადთა გაწერის სახელმწიფო ქონებების მე-3, 5 და 12 უბნებში. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა პირებზედ დარჩენილი გადასახადის რამდენიმე ვადაზედ გადახდის შესახებ.

10/III. ნება დაერთოს სოფიო ბაკურაძეს, ოლგა კოაშვილს და ეკატერინე ხაზაროვას მათზე დარჩენილი გადასახადი (100 მან. თითოზე) გადიხადონ თითო თუმნობით თვეში. (ჟურნ. № 7).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება იოსებ რუვინსკის თხოვნის თანახმად ქონების № 343 გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ.

10/III. რუვინსკის ქონებაზე დარჩენილი შესაფასებელი გადასახადი მოხსნილ იქმნას იმ დღემდე, სანამ ხელახალი შეფასება არ მოხდება მისი მამულისა (3006 მან. 74 კ.). (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება ა. ტომილინის და მ. მაისურაძის მამულების (№ 849 და № 392) გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

10/III. გამორიცხულ იქმნას ტომილინის ქონება მე-8 უბანში ხარჯთ-გაწერილ ქონებათა სიიდან და განთავისუფლებულ იქმნას დარჩენილ გადასახადისაგან 1918 წ. მეორე ნახევარში (178 მ. 98 კ.). გამორიცხულ იქმნას მაისურაძის ქონება მე-8 უბანში ხარჯთ-გაწერილ ქონებათა სიიდან და განთავისუფლებულ იქმნას დარჩენილ გადასახადისაგან (15 მან. 6 კ.). (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება 1918 წ. მეორე ნახევარში „კავშირი კაპეიკას“ საზოგადოების ცხენების ქალაქის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

10/III. „კავშირი კაპეიკას“ საზოგადოების ცხენები 1918 წ. მეორე ნახევარში ქალაქის გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნას. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება 1919 წ. 14 თებერვალს ბრმათა სკოლაში გამართულ საქველმოქმედო საღამოს საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

10/III. 1919 წ. 14 თებერვალს ბრმათა სკოლაში გამართული საქველმოქმედო საღამო საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნას. (ჟურნ. № 7).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება 1919 წ. 23 თებერვალს არტისტიულ საზოგადოებაში ლტოლვილთა სასარგებლოდ გამართულ საღამოს საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

10/III. 1919 წ. 23 თებერვალს არტისტიულ საზოგადოებაში ლტოლვილთა სასარგებლოდ გამართული საღამო საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნას. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება გაზ. „აისტანის“ რედაქციის თხოვნის თანახმად ქონება № 6092 დარჩენილი გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ.

10/III. თანახმად გამგეობის თხოვნისა მოხსნილ იქმნა. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება დაშავებულ მხედართა კავშირის სასადილოს სატრაქტირო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

10/III. დაშავებულ მხედართა კავშირის სასადილო სატრაქტირო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნას. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება მე-7 კომისარიატში იჯარით გაცემულ მამულზე ტიუნიბეკოვზე გაწერილ გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ.

10/III. მოიხსნას ტიუნიბეკოვზე გაწერილი გადასახადი 1 ივლისამდის 1918 წ. 324 მან. 79 კ. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ქონების № 107 მოიჯარადრის ქვრივი ელისაბედ მარიდაშვილის თხოვნის თანახმად დარჩენილ გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ.

10/III. თანახმად გამგეობის თხოვნისა მოხსნილ იქმნა. (ჟურნ. № 7).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება გაზ. „აისტანის“ რედაქციის თხოვნის თანახმად ქონება № 6092 დარჩენილ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

17/III. გაზ. „აისტანის“ რედაქციას მოეხსნას დარჩენილი საიჯარო გადასახადი. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება ბარბარე ბერძენიშვილის თხოვნის თანახმად საიჯარო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

17/III. ბარბარე ბერძნიშვილს მოეხსნას დარჩენილი გადასახადი 66 მან. 60 კ. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება ფაბრიკა-ქარხნების და სხვა საწარმავო დაწესებულებებიდან მოყვანილი ავადმყოფების საქიმოდ დღეში 17 მან. გადახდევინების შესახებ.

17/III. დაწესდეს ავადმყოფებზე გადასახადი 20 მანეთი დღეში. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება ცხენებზე გაწერილი გადასახადის აკრეფის შესახებ.

17/III. ცხენებზე გაწერილი გადასახადის მოკრეფა უჯარიმოთ იქმნას მოხდენილი. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება ავტომობილების პატრონთა თხოვნის თანახმად ავტომობილებზე გაწერილი გადასახადის სისრულეში მოყვანის დროებით შეჩერების შესახებ.

17/III. თანახმად გამგეობის მოხსენებისა საბჭოს მიერ 1918 წლის ივნისში მიღებული ავტომობილებზედ გადასახადის რაოდენობა დარჩეს ძალაში, ეთხოვოს გამგეობას შეიმუშაოს ავტომობილებზედ უფრო სამართლიანი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახადის დაწესების პროექტი და წარმოუდგინოს საბჭოს დასამტკიცებლად. გაწერილ გადასახადის შეჩერებაზედ ავტომობილის პატრონთ უარი ეთქვათ. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება ვეტცელის ქონების მე-12 უბანში აღდგენის და 1918 წ. მასზე გაწერილ შესაფასებელ გადასახადის უჯარიმოდ აკრეფის შესახებ.

31/III. ა. კ. ვეტცელის ქონება მე-12 უბანში № 32 აღდგენილ იქმნას საბუჰგალტერო წიგნებში და გადახდეს მასზედ დარჩენილი შესაფასებელი გადასახადი უჯარიმოთ. (ჟურნ. № 11).

---

გამგეობის მოხსენება არტისტიულ საზოგადოებაში ვასილ ცოვიანოვის მიერ, ლტოლვილ სომეხთა ბავშვების სასარგებლოდ 23 თებერვალს გამართულ საღამოს საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

28/IV. არტისტიულ საზოგადოებაში ვასილ ცოვიანოვის მიერ ლტოლვილ სომეხთა ბავშვების სასარგებლოდ 1919 წ. 23 თებერვალს გამართული საღამო, განთავისუფლებულ იქმნას საქალაქო გადასახადისაგან. მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება საჭირო შემთხვევებში საღამოებზედ ქალაქის სასარგებლოდ გადასახადის მოხსნისა იმ პირობით, რომ გამგეობამ წლის ბოლოში მოახსენოს საბჭოს გადასახადისაგან განთავისუფლების შემთხვევები და მოტივები. (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის მოხსენება სასანიტარო გადასახადის შესახებ.

28/IV. სანიტარულ გადასახადის შესახებ მოხსენება დადასტურებულ იქმნას მთლიანად და მისი საბოლოო რედაქცია ზემოთ მოყვანილ შესწორებებით მიენდოს ქალაქის გამგეობას. მასვე მიენდოს შუამდგომლობის აღძრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის წინაშე სათანადო კანონის გამოცემის და მე-11 და 15 მუხლებში ნახსენებ ადმინისტრატიულ წესით დაჯარიმების და დასჯის შესახებ. (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის მოხსენება მოწყობილ ოთახებზედ და გასტრონომიულ მაღაზიებზედ საქალაქო გადასახადის გაწერის შესახებ.

22/V. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, აღიძრას სათანადო შუამდგომლობა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ ქალაქის თვითმართველობას მიენიჭოს უფლება მოწყობილ ოთახების და გასტრონომიულ მაღაზიების დაბეგვრისა ქალაქის სასარგებლოდ და შესაფერისად შესწორებულ იქმნას სტრაქტირო დებულების მეექვსე და მეშვიდე მუხლები. (ჟურნ. № 15).

---

გამგეობის მოხსენება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების ბინებზედ გაწერილი 3%-იან გადასახადის 10%-მდე გადიდების შესახებ.

22/V. გამგეობის მოხსენება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების ბინებზედ გაწერილი 3%-იან გადასახადის 10%-მდის გადიდების შესახებ დადასტურებულ იქმნას და სათანადო შუამდგომლობა აღიძრას რესპუბლიკის მთავრობის წინაშე. (ჟურნ. № 15).

---

გამგეობის მოხსენება სტრაქტირო გადასახადის 1919 წ. დანარჩენ სამ მეოთხედში გაწერის შესახებ.

22/V. გამგეობის მოხსენება 1919 წლის დანარჩენ სამ-მეოთხედში სტრაქტირო გადასახადის გაწერის შესახებ დადასტურებულ იქმნას, მიღებულ იქმნას წლის პირველ მეოთხედისათვის საბჭოს მიერ მიღებული ნორმა და სტრაქტირო დაწესებულებათ წლის დანარჩენ სამს მეოთხედში გადახდეთ სამი მილიონი ოთხას ექვსი ათას ხუთასი მანეთი. (ჟურნ. № 15).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ბარბარე თათარაშვილზედ დარჩენილი საიჯარო გადასახადის მოხსნის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დატასტურებულ იქმნას და მოეხსნას ბარბარე თათარაშვილს მასზედ დარჩენილი საიჯარო გადასახადი სულ ორმოცდა ხუთი მანეთი და 68 კაპ. (ჟურნ. № 17).

---

სატრაქტირო გადასახადის გამნაწილებელ ცენტრალურ კომისიის წევრების საჩივარი.

14/VII. სატრაქტირო გადასახადის გამნაწილებელ ცენტრალურ კომისიის წევრთა საჩივარი დატოვებულ იქმნას უშედეგოთ. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადის განაწილების შესახებ.

4/VIII. გამგეობის მოხსენება სანიტარული გადასახადის გაწერის შესახებ დადასტურებულ იქმნას შემდეგის შესწორებით: სანიტარულ გადასახადის ჯგუფობრივ განაწილების ცხრილი 103 მუხლში საპნის ქარხნებზედ გაწერილი თანხა გადიდებულ იქმნას ხუთი ათასი მან., ე. ი. ოცდა ათი ათასი მან. მაგიერ ამ ქარხნებზედ გაეწეროს ოცდა ხუთმეტი ათასი მან.; 78 მუხლში პროჟექტორებზედ გადასახადი გადიდებულ იქმნას ხუთი ათასი მან., ე. ი. ოცი ათასი მან. მაგიერ ოცდა ხუთი ათასი მან.; 150 მუხლში ხალიჩების მაღაზიებზედ გაეწეროს ნაცვლად ხუთმეტი ათასი მან.--ოცდა ათი ათასი მან.; 73 მუხლში ნოტარიუსებს გაეწეროს ათი ათასი მან. ნაცვლად ხუთი ათასი მან.; 35 მუხლში თამბაქოს მაღაზიებს გაეწეროს ათი-ათასი მან. ნაცვლად ხუთი ათასი მანეთისა. განმარტებით წერილში ნაჩვენები თანხა თვითეულ ვექილის გადასახადისა გადიდებულ იქმნას ორი ათას მანეთამდე, ხოლო მათ თანაშემწის გადასახადი ათასი მან. ყველა ის მესაკუთრეები, რომელთაც ამ წლის 1 იანვრიდგან ქ. თბილისში შეუძენიათ უძრავი ქონება (მიწა ან სახლი) ათი ათას მანეთზე მეტი ღირებულობისა დაიბეგრონ გამგეობის შეხედულებით, მაგრამ არა უმცირეს იმ ნორმებისა, რომლებიც მიღებულია ჯამაგირიანი ხალხისათვის. იმ სახლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონთ, რომელთა შენობაში მოთავსებულია სავაჭრო-სამრეწველო ან საკრედიტო დაწესებულება გადახდეთ თვითეულ ასეთ ბინის ერთი თვის ქირა. ამ გადასახადის აკრეფით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად გადაიდოს მთელი თანხის 1/2% (ნახევარი) გამგეობის განკარგულებაში. (ჟურნ. № 20).

---

კოოპერატივების განცხადება მათზე გაწერილ სანიტარულ გადასახადის მოხსნის შესახებ.

21/VIII. 4 აგვისტოს დადგენილება სანიტარულ გადასახადის შესახებ უცვლელად დარჩეს ძალაში და კოოპერატორთა განცხადება დატოვებულ იქმნას უშედეგოთ. (ჟურნ. № 22).

---

გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი ნორმები დაწესდეს სანიტარული გადასახადისა იმ პირებზე, რომელთაც 1919 წ. განმავლობაში შეიძინეს უძრავი მამული თბილისში.

22/IX. ის მესაკუთრენი, რომელთაც 1917 წლის პირველ იანვრიდგან შეუძენიათ უძრავი ქონება თბილისში დაიბეგრონ სანიტარულ გადასახადით შეძენილ ქონების ღირებულების 1 პროცენტით. (ჟურნ. № 23).

---

ქალაქის მოურავის ცნობა დამფუძნებელ კრების მიერ, მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს მიღებულ დეკრეტის ერთდროულ სასანიტარო და პირდაპირი სახელმწიფო გადასახადის მყიდველზედ გადატანის აკრძალვის გამო.

20/X. მიენდოს ქალაქის გამგეობას აღძრას შუამდგომლობა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ ის პირნი, რომელნიც ცნობილ იქმნებიან დამნაშავეთ სასანიტარო და სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების მომხმარებელზედ გადატანაში საქონელის ფასების აწევის სახით, დეკრეტის მეორე მუხლში აღნიშნული სასჯელი დაედვათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრატიული წესით—გამგეობის დადგენილებით. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელისმოწერით დამტკიცებამდის. (ჟურნ. № 26).

---

გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა გასართობების ქალაქის გადასახადისაგან განთავისუფლებისა შესახებ დამფუძნებელ კრების დადგენილების თანახმად.

13/x. გამგეობის მოხსენება საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ ყველა იმ დრამების, ოპერების და წარმოდგენების, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან დამფუძნებელ კრების დადგენილების თანახმად სახელმწიფო გადასახადისაგან, გადაეცეს საფინანსო კომისიას განსახილველად და დასკვნისათვის. (ჟურნ. № 25).

---

გამგეობის მოხსენება საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ ყველა იმ დრამების, ოპერების და წარმოდგენების, რომლებიც განთავისუფლებული არიან დამფუძნებელ კრების დადგენილების თანახმათ სახელმწიფო გადასახადისაგან.

27/xi. დადასტურებულ იქმნას ფინანსიურ კომისიის დასკვნა და საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნას მხოლოდ ის მუშათა კლუბები, რომელთა განთავისუფლების შესახებ იშუამდგომლებს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო. სხვა ადგილებში გამართულ წარმოდგენებზედ და გასართობებზედ დატოვებულ იქმნას არსებული გადასახადი. სახაზინო თეატრის საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ კითხვა ჯერჯერობით ღიათ იქმნას დატოვებული. (ჟურნ. № 30).

---

გამგეობის მოხსენება სატრაქტირო გადასახადის განაწილების შესახებ 1920 წ.

22/xii. გამგეობის მოხსენება 1920 წლის სატრაქტირო გადასახადის განაწილების შესახებ გადაეცეს საგანგებო კომისიას და დაევალოს მას: 1) გადასინჯოს გამგეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მოხსენება და თუ გამოტოვებული აღმოჩნდება რომელიმე ჯგუფი სატრაქტირო დაწესებულებისა, რომელთაც უნდა გადახდეთ სატრაქტირო გადასახადი, დაუმატოს მას; 2) იმ დაწესებულებებს, რომელთაც შემოსავალი მცირე აქვთ და სადაც იკვებება დემოკრატია, გადასახადის პროცენტი დაწესებულ იქმნას დაბალი და არა უმეტეს 20 პროცენტის შემოსავლიდგან, ხოლო ის დაწესებულებები, რომელთა შემოსავალი დიდია—დაიბეგრონ შემოსავლის 20 პროცენტზედ ზევით. კომისიამ თავისი დასკვნა წარმოუდგინოს საბჭოს შემდეგ სხდომაზედ. (ჟურნ. № 32).

---

## განათლება.

ქალაქის გამგეობის მოხსენება პირველ დაწყებით სკოლებში სწავლის შეწყვეტის შესახებ გადამდებ სენთა გაძლიერების გამო.

10/II. ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლებში მეცადინეობა შესწყდეს სამი კვირით დღეიდგან, გადამდებ სენთა გაძლიერების გამო. (ჟურნ. № 3).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის რამოდენიმე სკოლის დახურვის შესახებ მოწაფეთა რიცხვის შემცირების გამო.

3/III. დაიხუროს შემდეგი სკოლები: 1. მე-6 ავლაბრის, 2. იოანე ღვთისმეტყველის, 3. კუკიის სასაფლაოს რუსული განყოფილება, 4. ნაძალადევის რუსული განყოფილება, 5. იოანე ნათლისმცემელის მე-V განყოფილება, 6. კუკიის წმ. ნიკოლოზის, 7. თომას და 8. კათოლიკეთა დიდუბეში. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ვოლგის ნაპირა მუსულმანთა სკოლის შესანახად ხარჯების გაწევის შესახებ.

3/III. დამატებულ იქმნას ვოლგის ნაპირის მუსულმანთა სკოლის მე-3 განყოფილების შესანახად ხარჯები მიმდინარე წლის ივლისამდე. მასწავლებელს 3.000 მან.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარაულს 1.000 მან., გათბობა 300 მან. და სხვა ხარჯები 100 მან., სულ 4.400 მან. ამ თანხის 1919 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება დაბალ და უმაღლეს პირველ დაწყებითი ქალაქის სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირებზე სამხედრო მომატებათა ნაწილის გავრცელების შესახებ.

3/III. უმაღლეს და დაბალ სკოლის (ყოფილ მასწავლებელთა საზოგადოების) მასწავლებელთა ჯამაგირი გათანასწორებულ იქმნას ქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების ჯამაგირებთან, ე. ი. გადიდებულ იქმნას მათი ჯამაგირი კლასის ზედამხედველობისათვის 95 მანეთამდე (ამაში 45 მან. სამხედრო მომატება. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის განკარგულებაში გადმოსულ სკოლებში უფასო სწავლის შემოღების შესახებ.

10/III. ყველა ქალაქის განკარგულებაში გადმოსულ სკოლებში შემოღებულ იქმნას უფასო სწავლა. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება სახალხო უნივერსიტეტის ქალაქის გამგეობაში გადმოსვლის შესახებ.

17/III. გადაეცეს საკითხი სასკოლო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიების შეერთებულ კრებას დასკვნის წარმოსადგენათ. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება სასკოლო-სასანიტარო ზედამხედველობის რეორგანიზაციის შესახებ.

12/V. გამგეობის მოხსენება სასკოლო-სასანიტარო ზედამხედველობის რეორგანიზაციის შესახებ გადაეცეს სასკოლო კომისიას განსახილველად და დაევალოს მას ორი კვირის განმავლობაში განიხილოს მოხსენება და თავისი დასკვნით წარუდგინოს საბჭოს. (ჟურნ. № 14).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ცაგვერში საზაფხულო სკოლის გახსნის შესახებ მიმდინარე ზაფხულის სეზონში.

23/VI. გამგეობის მოხსენება ცაგვერში საზაფხულო სკოლის გახსნის შესახებ მიმდინარე ზაფხულის სეზონში გადაეცეს სასკოლო კომისიას წინასწარ განსახილველად და დაევალოს მას თავისი დასკვნით წარმოუდგინოს საბჭოს შემდეგ სხდომაზედ. (ჟურნ. № 18).

---

გამგეობის მოხსენება ცაგვერში საზაფხულო სკოლის გახსნის შესახებ მიმდინარე ზაფხულის სეზონში.

14/VII. შემთხვევითი კრების აზრის—საბჭოს კომისიის აზრად გასაღება დასაშვები არ არის. საბჭოს კომისიის სხდომებზედ გარეშე პირთა (არა წევრების) დასწრება შესაძლოა მხოლოდ სათათბირო და არა გადამწყვეტი ხმით. ქალაქის გამგეობა მოვალე არ არის იხელმძღვანელოს მოსამსახურეთა მოსაზრებით, ახალ პირების სამსახურში მიღების დროს. შეუწყნარებელია საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ იმ სხდომაზედ, რომლის დიდი უმრავლესობა ქალაქის მოსამსახურენი არიან, თავისი ინიციატივით წამოაყენოს საკითხი მოსამსახურეთა მოსაზრებით ხელმძღვანელობის საჭიროების შესახებ ახალ პირების მიღების საკითხის გადაწყვეტაში. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება მოქანდაკე ნიკოლაძისაგან ეგნატე ნინოშვილის ბიუსტის 6.000 მანეთად შეძენის შესახებ.

21/VIII. გამგეობის მოხსენება დამტკიცებულ იქმნას და გადაიდოს ექვსი ათასი (6.000) მანეთი ეგნატე ნინოშვილის ბიუსტის შესაძენათ, ეს თანხა შეტანილ იქმნას 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში. მომავალში შეეცადოს გამგეობა ქალაქის მოედნებზედ და ქუჩებზედ დადგმულ იქმნას ქართველ მოღვაწეთა ძეგლები. (ჟურნ. № 22).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

21/VIII. გამგეობის მოხსენება დამტკიცებულ იქმნას. მიეცეს სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ერთდროული დახმარება ათასი (1.000) მანეთი. (ჟურნ. № 22).

---

გამგეობის მოხსენება სასკოლო-სასანიტარო ორგანიზაციის შესახებ.

21/VIII. გამგეობის მოხსენება სასკოლო-სასანიტარო ორგანიზაციის შესახებ გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას წინასწარ განსახილველად. (ჟურნ. № 22).

F 4.898/3

---

გამგეობის მოხსენება ქართულის არმცოდნე მოსამსახურეთათვის ქართული ენის კურსების დაარსების შესახებ და მის შესანახად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა.

29/IX. დაარსდეს ქართულის არმცოდნე ქალაქის მოსამსახურეთათვის კურსები ქართული ენის შესასწავლად· გადაიდოს ამ კურსების დაარსებით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავათ ორი ათასი თუმანი (20.000 მ.) და ეს თანხა იქმნას შეტანილი 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 24).

---

გამგეობის მოხსენება საზოგადოების „განათლების" პროფესიონალურ სკოლისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

13/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს საზოგადოება „განათლების" გამგეობას პროფესიონალურ სკოლისთვის ერთდროულ დახმარებად ხუთი ათასი მანეთი და ეს თანხა შეტანილ იქმნას 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 25).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ქალაქის სკოლების მასწავლებელთათვის საბუნებისმეტყველო კურსების დაარსების შესახებ.

20/x. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიმდინარე სამოსწავლო წელში გაიხსნას ქალაქის სკოლების მასწავლებლებისათვის საბუნებისმეტყველო და საბიბლიოთეკო კურსები, ამ კურსების ხარჯების დასაფარავათ გადაიდოს თვრამეტი ათასი მანეთი, ამ თანხის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 26).

---

გამგეობის მოხსენება მილიციის სამკითხველოსათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ საფინანსო კომისიის დასკვნით.

20/x. გადაიდოს ქალაქის სალაროდგან ორი ათასი მანეთი მილიციის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, მიეცეს ეს თანხა მილიციის უფროსს და დაევალოს მას თვალყური ადევნოს, რომ იგი მოხმარდეს მხოლოდ ბიბლიოთეკის საჭიროებას. ეს თანხა შეტანილ იქმნას 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 26).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის რამოდენიმე სკოლის სახელის შეცვლის შესახებ.

20/x. გამგეობის მოხსენება დადასტურდეს და გაუქმებულ იქმნას ქალაქის სკოლების ყველა ის სახელწოდებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ძველ წესწყობილებასთან, დატოვებულ იქმნას სახელწოდებანი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების და ისტორიული ფაქტების. აღსანიშნავად შემდეგ სკოლებს შეეცვალოს სახელწოდებანი: ვერის მეორე სასწავლებელს (ერეკლეს სახელობისას) ეწოდოს ი. გოგებაშვილის, ვერის მეექვსე სასწავლებელს—ი. ნინოშვილის. სოფიის სასწავლებელს—შოთა რუსთაველის, ვერის მეშვიდე სასწავლებელს—ლ. ბოცვაძის, პუშკინის 2 სასწავლებელს—პუშკინის პირველი, პუშკინის პირველ სასწავლებელს—ვაჟა ფშაველასი, მარინეს სკოლას—ან. თუმანოვ-წერეთლისა, ნოვოტროიცკის სკოლას—უშინსკისა, რიყის 1 სკოლას—კოლცოვის, კუკიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ კლასიან სკოლას—ე. ვ. გაბაშვილისა, ავლაბრის მე-3 სკოლას—ნ. ჩხეიძის, სასაფლაოს სკოლას—არჩილ ჯაფარიძის, ივანე ნათლისმცემლის სკოლას – ან. ჩეხოვის, ნაძალადევის ქართულ სკოლას – ირ. წერეთლის, პრიუტის სკოლას—გრიბოედოვის და ნავთლუღის რუსულ სკოლას ტურგენევის სახელობის, მიეთვისოს აგრეთვე სახელწოდება იმ რაიონის მიხედვით, რომელშიც სკოლა იმყოფება და თუ ერთს რაიონში რამდენიმე ასეთი სკოლა იქმნება დაერქვას რიგზედ მიყოლებული ნომრები (ვერის პირველი, მეორე, მესამე და სხვა, კუკიის პირველი, მეორე და სხვა). სკოლების წარწერების შეცვლით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად. გადაიდოს ორმოცდა ათი ათასი (50.000) მანეთი, ამ თანხის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 26).

---

გამგეობის მოხსენება სასკოლო-სასანიტარო ორგანიზაციის შესახებ საფინანსო კომისიის დასკვნით.

20/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. არსებული ორგანიზაცია მოწაფეთა მკურნალობისა და სკოლების სასანიტარო ზედამხედველობისა გაუქმებულ იქმნას და დაარსდეს შემდეგი შტატი სასკოლო-სასანიტარო ორგანიზაციისა: ხუთი სასკოლო სასანიტარო ექიმი—თითოს 1.100 მან. ჯამაგირი თვიურათ, ოთხი სასკოლო ექიმი 1.200 მან. თითოს თვეში, ორდინატორი თვალის ექიმი 800 მან. ჯამაგირი თვეში, ერთი ორდინატორი ყურის ექიმი და ერთი კბილის ექიმი გადაყვანილ იქმნას ქალაქის ამბულატორიიდგან სასკოლო ამბულატორიაში. ქალაქის სამ ამბულატორიაში მოსამსახურეთ 3 ფარმაცევტს მიემატოთ ჯამაგირები თითოს 150 მან. თვეში, 3 ფერშალს თითოს 120 მ. და 3 მსახურს 100 მანეთი თითოს თვეში. დაევალოს ოთხ სასკოლო ექიმს სამს ამბულატორიაში: ცენტრალურსა, კუკიისა და ავლაბრისა ყოველ დღე დღის 12 საათიდან 2 საათამდე იღებდნენ ავადმყოფ მოსწავლეთ, ხოლო თვალის ექიმს, ყურის და ყელის ექიმს და კბილის ექიმს კვირაში ორჯელ. ამ რეორგანიზაციით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად გადაიდოს თვეში 630 მან., ხოლო წლიურათ 7560 მან. ამ თანხის ხარჯთ-აღრიცხვაში დამატებით შეტანით. (ჟურნ. № 26).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სახალხო უნივერსიტეტისათვის 150.000 მან. სუბსიდიის დანიშვნის შესახებ.

27/XI. მიეცეს სახალხო უნივერსიტეტს სუბსიდია მიმდინარე 1919 წელში ორმოცდა ათი ათასი (50.000) მანეთი, ამ თანხის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით და მიენდოს ქალაქის გამგეობას მომავალ წელში სახალხო უნივერსიტეტის შესახებ წარმოუდგინოს საბჭოს ცალკე მოხსენება. (ჟურნ. № 30).

გამგეობის მოხსენება სასკოლო კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტის გამო სკოლების მმართველობის სასურველ ორგანიზაციის შესახებ.

22/XII. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და სასკოლო კომისიის პროექტი სკოლების მმართველობის სასურველ ორგანიზაციისა უარყოფილ იქმნას. (ჟურნ. № 32).

---

## გაფიცვა.

გამგეობის მოხსენება თვითმართველობის მოსამსახურეთა მოსალოდნელ გაფიცვის შესახებ.

22/III. მოისმინა რა გამგეობის მოხსენება ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის მოსალოდნელ გაფიცვის შესახებ, ქალაქის საბჭო აღიარებს, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა წინააღმდეგ თბილისის პროლეტარიატის პროფესიონალური კავშირისა და ცენტრალურ ორგანოს გადაწყვეტილებისა, მხოლოდ დეზორგანიზაციას შეიტანს ქალაქის მუშაობაში, ზიანს მოუტანს რესპუბლიკას და დემოკრატიას, რომლის წარმომადგენელია ქალაქის საბჭო, დიდათ საზარალოა საერთოდ ქალაქის დემოკრატიის ინტერესებისათვის, რადგან გამოიწვევს ისეთ დაწესებულებათა მოქმედების შეჩერებას, როგორიცაა გადამდებ სენიანთა ბარაკები-საავადმყოფოები, გააუარესებს თვით მოსამსახურეთა მდგომარეობას, რადგან შეჩერდება შემოსავლის შემოტანა ქალაქის კასაში, ამიტომ ქალაქის საბჭო გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ქალაქის მოსამსახურენი არ გაჰყვებიან გაფიცვის გზას და ამით კიდევ უფრო არ გაართულებენ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის თვითმართველობის უიმისოდაც მძიმე მდგომარეობას. ამასთანავე იღებს რა მხედველობაში ქალაქის მოსამსახურეთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, საბჭო აძლევს წინადადებას ფინანსიურ კომისიას მიიღოს გამგეობასთან ერთად ზომები მოსამსახურეთა თავის დროზედ დასაკმაყოფილებლად, გამონახოს ყოველგვარი საშუალებანი, როგორიცაა მთავრობასთან მოლაპარაკება, შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვა და სხვა. რაც შეეხება წარსულ თვეების ჯამაგირებს, საბჭო წინადადებას აძლევს გამგეობას მიიღოს ზომები, რომ თებერვლის ჯამაგირის დარიგება დაიწყოს არა უგვიანეს 1 აპრილისა. (ჟურნ. № 9).

---

გამგეობის მოხსენება თვითმართველობის მოსამსახურეთა ნაწილის გაფიცვის შესახებ.

25/III. ვინაიდან ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის მიერ გამოცხადებული გაფიცვა: ა) სრულიად უმიზნოა და მიმართულია დემოკრატიულ თვითმართველობის წინააღმდეგ, რომელმაც ჯამაგირებიც მოუმატა და უკვე მისცა მათ განსაზღვრული დაპირებანი დარჩენილ ჯამაგირების დარიგების შესახებ და ბ) რომ ეს გაფიცვა უარყოფილია მუშათა ავტორიტეტიულ ორგანიზაციის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიერ, როგორც ანტიდემოკრატიული, საბჭო ადგენს: 1) მიეცეთ გაფიცულთ წინადადება შეუდგნენ თავის მოვალეობის ასრულებას არა უგვიანეს 27 მარტის დილის 9 საათისა. 2) ვინც ამ დროისთვის არ გამოცხადდება, ჩაითვალოს სამსახურიდან გასულად თავის სურვილით. 3) საავადმყოფოებში და ბარაკებში მომუშავენი კი თუ ამ ვადაზე არ შეუდგებიან მოვალეობის ასრულებას, მიცემულ იქმნან პასუხისგებაში. (ჟურნ. № 10).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ.

31/III. საბჭო ადასტურებს გამგეობის ნაბიჯს და ადგენს მტკიცედ იქმნას გატარებული ცხოვრებაში 25 მარტის დადგენილება. (ჟურნ. № 11).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის მოურავის მოხსენება თვითმართველობის განყოფილებებში მუშაობის აღდგენის შესახებ გაფიცვის შემდეგ.

10/IV. გამგეობის განმარტება გაფიცულ მოსამსახურეთა შესახებ ცნობად იქმნას მიღებული და დაევალოს გამგეობას ბოლომდის გაატაროს საბჭოს 25 მარტის დადგენილება. (ქურნ. № 12).

---

გამგეობის მოხსენება თვითმართველობაში მომხდარ გაფიცვის გამო სამსახურიდგან გასულ და უკან მიღებულ მოსამსახურეთა უწინდელ სამსახურის ჩათვლის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ქალაქის საბჭოს 25 მარტის დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება გაფიცვის გამო დათხოვნილ და შემდეგ უკან მიღებულ მოსამსახურეთა სამსახურის ვადას, გაუქმებულ იქმნას და ყველა უკან მიღებულ მოსამსახურეს ჩაეთვალოს საზოგადოთ თვითმართველობაში სამსახური ვადაში. (ქურნ. № 29).

---

## დახმარება.

გამგეობის მოხსენება ქუჩის მგველ ვარდო გასპარიანის ქვრივის ვარდუი გასპარიანის ნახევარ წლის ჯამაგირის, ე. ი. ათას რვაასი მანეთის ერთდროულ დახმარებად მიცემის შესახებ.

17/II. მიეცეს ქუჩის მგველს გასპარიანის ქვრივს ვარდუი გასპარიანს ერთდროულ დახმარებად ათას რვაასი მანეთი, ქმრის 15 წლის ნამსახურობის გამო. (ქურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება სამშობიარო თავშესაფარის საბებო განყოფილების მომვლელ ქალის იაგუნდა მარტიროსოვას ერთდროულ დახმარებად ათას ხუთას ოთხმოცდა ათი მანეთის მიცემის შესახებ.

17/II. მიეცეს სამშობიარო თავშესაფარის საბებო განყოფილების მომვლელ ქალს იაგუნდა მარტიროსოვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდროულ დახმარებად ათას ხუთას ოთხმოცდა ათი მანეთი ავადმყოფობის მიზეზით სამსახურიდან გასვლის გამო. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება სახელოსნო სასწავლებლის ზეინკალ-ხელოსანის ნ. ო. პეტროვისათვის 35 წლ. სამსახურის გამო სრული პენსიის დანიშვნის შესახებ.

17/II. დაენიშნოს სახელოსნო სასწავლებლის ზეინკალ-ხელოსანს ნ. ო. პეტროვს 35 წლის სამსახურის გამო პენსია ოთხას ოცდა ხუთი მანეთი თვიურად და ამისათვის საჭირო თანხა შეტანილ იქმნას 1919 წლის ხარჯთაღრიცხვაში. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება მეორე პირველ დაწყებით სასწავლებლის მასწავლებელ ი. ნ. დადიანის 10 წლის სამსახურის გამო ნახევარი წლის ჯამაგირის, ე. ი. ათას რვაას სამოცი მანეთის ერთდროულ დახმარებად მიცემის შესახებ.

17/II. მიეცეს ვერის მეორე ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებლის ყოფილ მასწავლებელს ი. ნ. დადიანს ერთდროულ დახმარებად ნახევარი წლის ჯამაგირი დახმარებათა გაღების წესდების მე-5 მუხლის თანახმად, სულ ათას რვაას სამოცი მანეთი, ავადმყოფობის მიზეზით სამსახურიდგან გასვლის გამო. (ჟურნ. № 4).

---

პენსიის და ერთდროულ დახმარებათა შესახებ გამგეობის მოხსენებათა წინასწარი განხილვა.

24/II. დღის წესრიგში ნაჩვენები გამგეობის მოხსენებები პენსიის და ერთდროულ დახმარებათა შესახებ გადაეცეს წინასწარ განსახილველად საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას და შემოღებულ იქმნას შემდეგში წესად ყოველივე მოხსენება გამგეობისა პენსიის, ან ერთდროულ დახმარების შესახებ წარედგინოს ხოლმე საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნით. (ჟურნ. № 5).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სადეზინფექციო კამერის გამგის ტ. ი. ხარაზოვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ ავადმყოფობით სამსახურიდგან გასვლის გამო.

28/IV. ავადმყოფობის გამო სამსახურიდგან გასულ ექიმს ტიგრან ი. ხარაზოვს მიეცეს ერთდროულ დახმარებად ნახევარი წლის ჯამაგირი, ოთხი ათას ცხრაას სამოცდა ერთი მანეთი (4.961) და 52 კ. ეს თანხა შეტანილ იქმნას 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში. შემდეგისათვის ყველა ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხებიან ერთდროულ დახმარებას ან პენსიის დანიშვნას წინასწარ განსახილველად გადაეცეს ხოლმე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას. (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის მოხსენება პარტახტიან სახადით გარდაცვალებულ ექიმის ციციშვილის მეუღლისათვის ერთდროულ დახმარებად 15.000 მანეთის მიცემის შესახებ.

28/IV. პარტახტიან სახადით გარდაცვლილ ექიმ ალექსანდრე ციციშვილის მეუღლეს სარა ციციშვილს მიეცეს ერთდროულ დახმარებათ თხუთმეტი ათასი (15.000) მან., ამ თანხის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის მოხსენება განაოების ზედამხედველის სტეფანე სოგომონიანცის ქვრივის ელისაბედ სოგომონიანცისათვის 2.280 მან. ერთდროულ დახმარებად მიცემის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ელისაბედ სოგომონიანცს ერთდროულ დახმარებად ორი ათას ოთხმოცი მანეთი, ამ თანხის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ავჭალის წყალსადენის ყოფილ მემანქანის ხაჩატურ იაკოფის ძის შახნაზაროვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ავჭალის წყალსადენის ყოფილ მემანქანეს ხაჩატურ იაკოფის ძე შახნაზაროვს დაენიშნოს პენსია თვიურად სამას ორმოცდა ათი მანეთი, ამისათვის საჭირო თანხა შეტანილ იქმნას 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება სახელოსნო სასწავლებლის გარდაცვალებულ დურგალ ხელოსნის იოსებ ვავრას დასამარხ ხარჯების ქალაქის მიერ მიღების შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და სახელოსნო სასწავლებლის გარდაცვალებულ დურგალ ხელოსანის იოსებ ვავრას დასაფლავებაზედ გაწეული ხარჯები სულ ორი ათასი ოთხას ოცდა ორი მანეთი გაღებულ იქმნას ქალაქის მიერ ამ თანხის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის საავადმყოფოს საბებიო განყოფილების მოსამსახურე ქალის ტატიანა კუპრიანოვისათვის ერთდროულ დახმარებად 1.590 მანეთის მიცემის შესახებ ავადმყოფობით სამსახურიდგან გასვლის გამო.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს საბებიო განყოფილების მოსამსახურე ქალს ტატიანა კუპრიანოვისათვის ერთდროულ დახმარებად ათას ხუთას ოთხმოცდა ათი მანეთი, ამ თანხის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის წყალსადენის ოსტატის თანაშემწის მარკოზ ავაკიანცისათვის ერთდროულ დახმარებად ორი ათას ას სამოცი მანეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემის შესახებ, სამსახურში მიღებულ დაშავებისშემდეგ შრომის უნარის დაკარგვის გამო.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ავჭალის წყალსადენის ოსტატის თანაშემწეს მარკოზ ავაკიანცს ერთდროულ დახმარებად ორი ათას ას სამოცი მანეთი, ამ თანხის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება შემფასებელ განყოფილების ბუხგალტერის გიორგი იოსების ძის ტერ-აბრამოვისათვის ერთდროულ დახმარებად 2.670 მანეთის მიცემის შესახებ, ავადმყოფობით სამსახურიდგან გასვლის გამო.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს შემფასებელ განყოფილების ყოფილ ბუხგალტერს გიორგი იოსების ძეს ტერ-აბრამოვს ერთდროულ დახმარებად ორი ათასი ექვსას სამოცდა ათი მანეთი, ამ თანხის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვეში შეტანით (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ყოფილ იურისკონსულტის იოსებ იაკობის ძის ამირხანოვის ერთდროულ დახმარებდ ცხრა ათასი მანეთის მიცემის შესახებ, ავადმყოფობით სამსახურიდგან გასვლის გამო.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ყოფილ იურისკონსულტს იოსებ იაკობის ძეს ამირხანოვს ერთდროულ დახმარებად ცხრა ათასი მანეთი, ამ თანხის 1819 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ავჭალის წყალსადენის გამგის თანაშემწის მადათ ივანეს ძე პეტროსიანისათვის 32 წლის სამსახურის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს მადათ ივანეს ძე პეტროსიანს პენსია ექვსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი მანეთი წლიურად, საჭირო თანხის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ტეხნიკურ განყოფილების ყოფილ გამგის ინჟენერ საიკ დანიელის ძის ლისიციანისათვის 31 წლის სამსახურის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ინჟენერ საიკ დანიელის ძეს ლისიციანს პენსია წლიურად ექვსი ათასი მანეთი, საჭირო თანხის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ობოლთა სასამართლოს რეგისტრატორის ალექსანდრე ამირხანოვის ქვრივის დოროთეი ამირხანოვისათვის ქმრის 25 წლის სამსახურის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს დოროთეია ამირხანოვს პენსია ოთხმოცდა ორი მანეთი და ათი შაური თვიურად, საჭირო თანხის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის პენსიონერის პეტრე ივანნიკოვის ქვრივის პელაგია რომანის ასულის ივანნიკოვისას სრული პენსიის დანიშვნის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს პელაგია რომანის ასულს ივანნიკოვისას გარდაცვალებული ქმრის სრული პენსია, ე. ი. თხუთმეტი მანეთი თვეში. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება ცენტრალურ პურის საცხობის კონტორის მოხელის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მარტიროსოვის ქვრივის მარიამ მარტიროსოვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათვის ერთდროულ დახმარებად ექვსას ათი მანეთის მიცემის შესახებ.

6/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ნიკოლოზ მარტიროსოვის ქვრივს მარიამ მარტიროსოვისას ერთდროულ დახმარებად ექვსას ათი მან, ამ თანხის 1919 წ. ხარჯ-აღრიცხვაჭი შეტანით. (ჟურნ. № 17.

---

გამგეობის მოხსენება საავადმყოფოს მწერლის ნიკოლოს ივანეს ძე ტერ-ასატუროვისათვის ერთდროულ დახმარებად 2269 მან. და ერთი აბაზის მიცემის შესახებ, ავადმყოფობით სამსახურიდგან გასვლის გამო.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს საავადმყოფოს ყოფილ მწერალს ნიკოლოზ ტერ-ასატუროვს ერთდროულ დახმარებად ორი ათას ორას სამოცდა ცხრა მანეთი და 20 კ., ამ თანხის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

---

თვითმართველობის წარმომადგენლის არჩევნები დაჭრილ-დასახიჩრებულთა დამხმარე კომისიაში.

23/VI. შესდგეს საგანგებო კომისია დახოცილ ან მუშაობის უნარდაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა და მოხალისეთა და მათი ოჯახების უზრუნველსაყოფად პენსიის დანიშვნამდე ფულად დახმარების აღმოსაჩენად. არჩეულ იქმნენ ამ კომისიაში, გარდა გამგეობის წარმომადგენელისა, ხმოსნები ილია ფირცხალაიშვილი და მიხეილ ვეფხვაძე. (ჟურნ. № 18).

---

გამგეობის მოხსენება „სწრაფი დახმარების“ ყოფილ უფროს სანიტარს სტეფანე ერმოლჩუკისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

14/VII. „სწრაფი დახმარების“ სადგურის ყოფილ უფროს სანიტარს სტეფანე ერმოლჩუკს მიეცეს ერთდროულ დახმარებად სამიათას ექვსას ორმოცდა სამი მანეთი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

56 კ. (3643 მ. 56 კ.) ავადმყოფობის მიზეზით სამსახურიდგან გასვლის გამო. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება ნაძალადევის სკოლის ყოფილი გამგის ელისაბედ ელიავასათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

14/VII. მიეცეს ნაძალადევის სკოლის ყოფილ გამგეს ელისაბედ ელიავას ერთდროულ დახმარებად ათას ცხრაას ოცდახუთი მანეთი და 64 კ. (1925 მან. 64 კ.) ავათმყოფობის მიზეზით სამსახურიდგან გასვლის გამო. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ყოფილ მებაღის მეჩიტაშვილის ქვრივის ნინა მეჩიტაშვილისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

14/VII. მიეცეს ყოფილ მებაღის იაგორ მეჩიტაშვილის ქვრივს ნინა მეჩიტაშვილს ერთდროულ დახმარებად ქმრის 14 წლის სამსახურის გამო, ათას ცხრაას ოთხმოცდა ოთხი (1984) მანეთი და ათი შაური. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება იროდ. ხოსიტაშვილის (ევდოშვილის) ქვრივისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

21/VIII. მიეცეს განსვენებულ პოეტის ირ. ევდოშვილის (ხოსიტაშვილის) ოჯახობას (5.000) ხუთი ათასი მანეთი ერთდროული დახმარება და მომავალში ქალაქის სტიპენდიების განაწილების დროს გამგეობამ სახეში იქონიოს განსვენებულის შვილები. (ჟურნ. № 22).

---

გამგეობის მოხსენება დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

21/VIII. გამგეობის მოხსენება დამტკიცებულ იქმნას. დაენიშნოს დიდუბის წიგნთსაცავ-სამკითხველოს სამი ათასი (3.000) მანეთის სუბსიდია. (ჟურნ. № 22).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება პრ. ზაზაშტას დახმარების აღმოჩენის შესახებ.

21/VIII. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს პროსკოვია ზაზაშტას შვიდას სამოცი (760) მანეთი, მისი შვილის ქალაქის მოსამსახურე კონსტანტინე ზაზაშტას გარდაცვალების გამო. (ჟურნ. № 22).

---

გამგეობის მოხსენება სულით ავადმყოფთა თავშესაფარის სანიტარულ ზედამხედველის ა. ს. ჩხაიძეს ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

21/VIII. გამგეობის მოხსენება დამტკიცებულ იქმნას. მიეცეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარის სანიტარულ მეთვალყურეს ა. ს. ჩხაიძეს ერთდროული დახმარება სამი ათასი (3.000) მანეთი. (ჟურნ. № 22).

---

გამგეობის მოხსენება მიხეილის სახელობის სასწავლებლის ყოფილ მუშას მიხეილ ხაჩიკაშვილისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

22/IX. დაენიშნოს პენსია მიხეილის სახელობის სასწავლებლის ყოფილ მუშას მიხეილ ხაჩიკაშვილს წელიწადში სამოცდა თოთხმეტი თუმანი და 28 კ. (740 მ. 28 კ.). (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება „ფრონტის დღის“ სასარგებლოდ ნივთიერ დახმარების შესახებ.

22/IX. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და გადაიდოს ქალაქის საშუალებიდგან ათასი თუმანი „ფრონტის დღის“ მომწყობ კომიტეტის დღის სასარგებლოდ. (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის საბჭოს კანცელარიის ყოფილ საქმის მწარმოებლის ე. ნ სურგუნოვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

22/IX. დაენიშნოს პენსია ქალაქის საბჭოს კანცელარიის ყოფილ საქმის მწარმოებელს ე. ნ. სურგუნოვს თვეში ოცდა ექვსი თუმანი და ოთხი მანეთი (264 მ.). (ჟურნ. № 23).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სავაჭრო ზედამხედველობის აგენტის ვასილ იაგორის ძე ზავაროვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

22/IX. დაენიშნოს პენსია სავაჭრო ზედამხედველობის ყოფილ აგენტს ვ. ი. ზავაროვს ქალაქის 27 წლის სამსახურისათვის წელიწადში სამასოცდა'ერთი თუმანი ოთხი მანეთი და ერთი შაური (3.214 მ. 5 კ.). (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება ქვრივის მარიამ ბახუტაშვილისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ მისი ქმრის ქალაქის ხანგრძლივ სამსახურის გამო.

22/IX. დაენიშნოს ქვრივს მარიამ ბახუტაშვილს ქმრის 25 წლის სამსახურის გამო პენსია თვეში ათი თუმანი ცხრა მანეთი და ექვსი შაური (109 მ. 30 კ.). (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ყოფილ „დესიატნიკის“ ა. ი. ტერ-აბრამოვის ქვრივის ანნა გრიგოლის ასულის ტერ-აბრამოვისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

22/IX. მიეცეს ქალაქის ყოფილ „დესიატნიკის“ ქვრივს ანნა გრიგოლის ასულს ტერ-აბრამოვას ერთდროულ დახმარებად ოთხას ოთხმოცი თუმანი (4.800 მ.) (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ყოფილ მუშის არტემ სარუხანოვისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

22/IX. მიეცეს ქალაქის ყოფილ მუშას არტემ სარუხანოვს 33 წლის ქალაქის სამსახურისათვის ექვსას სამოცდა ცხრამეტი თუმანი და რვა მანეთი. (6.798 მ.). (ჟურნ. № 23).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ზუბალოვის პავილიონის ყოფილ შვეიცარის ქვრივის ტატიანა კალაშნიკოვისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

22/IX. ზუბალაშვილის პავილიონის ყოფილ შვეიცარის ქვრივს ტატიანა კალაშნიკოვას მიეცეს ერთდროული დახმარება სამას ორმოცდა თორმეტი თუმანი ერთი მანეთი სამი აბაზი და ორი შაური (3.521 მ. 70 კ.). (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება მიხეილის სახელობის სასწავლებლის მოლარის გ. ვ. მერაგიანის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

22/IX. მიეცეს დახმარება მიხეილის სახელობის სასწავლებლის მოლარის გ. ვ. მერაგიანის ქვრივს დახმარებად ას ორმოცდა თერთმეტი თუმანი ცხრა მანეთი ოთხი აბაზი სამი შაური და სამი კ. (1.519 მ. 98 კ.). (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოს მოსამსახურის აწ გარდაცვლილ ივანე პოლიენკოს ქალიშვილს ევგენი პოლიენკოსთვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

22/IX. თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოს მოსამსახურის აწ გარდაცვალებულ ივანე პოლიენკოს ქალიშვილს ევგენია პოლიენკოს მიეცეს ერთდროული დახმარება ოთხმოცდა ათი თუმანი (900 მ.). (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება ხარჯთ-ამკრეფ ბიუროს გამგის ყოფილ თანაშემწის ალექსი სოლომონის ძე ჩერქეზოვისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

22/IX. მიეცეს ხარჯთ-ამკრეფ ბიუროს გამგის ყოფილ თანაშემწეს ალექსი სოლომონის ძე ჩერქეზოვს ერთდროული დახმარება ათას ექვსი თუმანი და სამი მანეთი (10.063 მ.). (ჟურნ. № 23).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება აზარი პაპუნოვის ქვრივის მაკა არაქელოვისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

22/IX. მიეცეს მაკა არაქელოვს ერთდროული დახმარება გარდაცვალებული ქმრის აზარი პაპუნოვის ქალაქის სამსახურისათვის სამი თვის ჯამაგირი—ას რვა თუმანი (1.080 მ.). (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის წყალსადენის მუშის კონსტანტინე კორღანოვის ოპეკისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

29/IX. ქალაქის წყალსადენის გარდაცვალებულ მემანქანის კონსტანტინე კორგანოვის ოპეკას მიეცეს 27 წლის სამსახურის გამო ერთდროულ დახმარებათ ერთი წლის მისი ჯამაგირი სულ ოთხას ოცდა თორმეტი თუმანი, სამი მანეთი და 28 კ. (4.323 მ. 28 კ.). (ჟურნ. № 24).

---

გამგეობის მოხსენება ხარჯთამკრეფ ბიუროს ყოფილ რეგისტრატორის პეტრე დაშტოიანცისთვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

13/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ხარჯთამკრეფ ბიუროს ყოფილ რეგისტრატორს პეტრე დაშტოიანცს 21 წლის სამსახურის გამო, ერთი წლის ჯამაგირი, ე. ი. ცხრა ათას ცხრაასი მანეთი (9.900 მ.). (ჟურნ. № 25).

---

გამგეობის მოხსენება მისამართ მაგიდის ყოფილ მოხელის მარიამ დვორსკაიასთვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

13/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს მისამართ მაგიდის ყოფილ მოსამსახურეს მარიამ დვორსკაიას ერთდროულ დახმარებად მისი ერთი წლის ჯამაგირი, ე. ი. ოთხი ათას ოთხმოცი მანეთი (4.080 მ.). (ჟურნ. № 25).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სადეზინფექციო კამერის მეეტლის ქვრივის ვასილისა აგეევისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

13/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს სადეზინფექციო კამერის მეეტლის ლაზარ აგეევის ქვრივს ვასილისა აგეევისას მის ქმრის 22 წლის სამსახურის გამო ერთდროულ დახმარებად ოთხი ათას ხუთას ოთხმოცდაათი მანეთი. (ჟურნ. № 25).

---

გამგეობისმოხსენება ტრამვაის ყოფილ ბუხჰალტერის გურგენ ოტიანცისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ, საფინანსო კომისიის დასკვნით.

20/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ტრამვაის მთავარ ბუხჰალტერს გურგენ მიხეილის ძე ოტიანცს, მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერ სამსახურის გამო, დაენიშნოს პენსიათ, არსებულ წესების გარეშე, მისი უკანასკნელი ჯამაგირის ნახევარი, ე. ი. თვეში ათას ას ექვსი (1106) მანეთი. (ჟურნ. № 26).

---

გამგეობის მოხსენება ყოფილ დესიატნიკის ქვრივის ელენე კოვალკოვისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ, საფინანსო კომისიის დასკვნით.

20/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ქალაქის ყოფილ მოსამსახურის ვასილი კოვალკოვის ქვრივს ელენე კოვალკოვას ქმრის ხანგრძლივი სამსახურის-გამო მიეცეს ერთდროულ დახმარებად ათი ათას ორას სამოცი მანეთი. ნახევარი ამ თანხისა საკუთრად მას, ხოლო მეორე ნახევარი, როგორც განსვენებული კოვალკოვის შვილებს ბორისის და ბარბარეს ოპეკუნს. (ჟურნ. № 26).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშის გასპარ პარონიანცისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ, ფინანსიურ კომისიის დასკვნით.

27/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ქალაქის მუშას გასპარ ვართანის ძე პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონიანცს 21 წლის სამსახურის გამო პენსია თვეში სამოცდა ჩვიდმეტი მანეთი და ერთი შაური. (ჟურნ. № 27).

---

გამგეობის მოხსენება ავჭალის წყალსადენის მემანქანის ამაზასპ ხოჯაიანცისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ, ფინანსიურ კომისიის დასკვნით.

27/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ავჭალის წყალსადენის ყოფილ მემანქანეს ამაზასპ ხოჯაიანცს 25 წლის სამსახურის გამო პენსია თვეში სამას ოცდა ხუთი (325) მანეთი. (ჟურნ. № 27).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშის გასპარა პარონიანცისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ, ფინანსიურ კომისიის დასკვნით.

10/XI. დაენიშნოს გასპარა პარონიანცს პენსია 117 მან. 5 კ. მაგივრათ 97 მან. 50 კ. თვეში. (ჟურნ. № 28).

---

გამგეობის მოხსენება ხარჯთამკრეფ ბიუროს ყოფილ აგენტის ესტატე ლომიძის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

17/XI. დადასტურებულ იქმნას საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნა და მიეცეს ხარჯთამკრეფ ბიუროს ყოფილ აგენტის ესტატე ლომიძის ქვრივს—ნინა ლომიძეს ერთდროულ დახმარებად სამი ათას სამას სამოცდა თხუთმეტი (3.375) მანეთი და მისი ხუთი შვილს ოთხი ათას ორმოცდა ათი (4.050) მანეთი—სულ შვიდი ათას ოთხას ოცდახუთი (7.425) მანეთი. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება წყალსადენის ყოფილ მოსამსახურის ალექსანდრე ოსიპოვის ქვრივისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ქალაქის წყალსადენის მუშის ოსიპოვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქე მეუღლეს ალექსანდრას პენსია ას ორმოცდარვა მანეთი და ათი შაური წელიწადში. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება მთავარ ბუხჰალტერის თანამდებობის აღმასრულებელის იაკობ ჯანაგოვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ქალაქის ყოფილ მთავარ ბუხჰალტერის თანაშემწეს იაკობ ჯანაგოვს პენსია ხუთასი მანეთი თვეში მიმდინარე წლის 25 აგვისტოდგან. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის უფროსი მუშის ქვრივის აიკანუშ გრიკუროვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ქალაქის უფროსი მუშის ტონო გრიკუროვის მეუღლეს აიკანუშ გრიკუროვს პენსიათ ათას ოთხას ორმოცი მანეთი წელიწადში. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის სასაკლაოს ყოფილ მუშას პეტრე ჩულანოვის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ქალაქის სასაკლაოს ყოფილ მუშის პეტრე ჩულანოვის ქვრივს ანასტასია ჩულანოვისას ერთდროულ დახმარებად ოთხი ათას სამას ოთხმოცი მანეთი. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება ხარჯთაღმკრეფ ბიუროს ყოფილ აგენტის გაბო გულისაშვილისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ხარჯთამკრეფ ბიუროს ყოფილ აგენტს გაბრიელ გულისაშვილს პენსიათ სამას თხუთმეტი მანეთი თვეში 1918 წლის 21 დეკემბრიდგან. (ჟურნ. № 29).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ქალაქის ყოფილ ინჟენერ ხუროთ-მოძღვრის ალექსანდრე მელიქ-ბეგლიაროვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ქალაქის ყოფილ ხუროთ-მოძღვარს ალექსანდრე მელიქ-ბეგლიაროვს პენსია ხუთასი მანეთი თვეში მიმდინარე წლის 8 აპრილიდგან. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის მებაღის ბერო გუბატაშვილისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ყოფილ მებაღეს ბერო გუბატაშვილს ერთდროულ დახმარებათ ორი ათას სამას სამოცდა ათი მანეთი. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება ანნა ხოსროაშვილისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

27/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ყოფილ მებაღე ილია ხოსროაშვილის ქვრივს ანნა ხოსროაშვილს ერთდროულ დახმარებად სამი ათას შვიდას ორმოცდა ოთხი მანეთი და სამი აბაზი (3.744 მ. 60 კ.). (ჟურნ. № 30).

---

გამგეობის მოხსენება ვავრას ქვრივისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

27/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. დაენიშნოს სახელოსნო სასწავლებლის ყოფილ დურგლის იოსებ ვავრას ქვრივს ოტილია ვავრას პენსია ას სამოცდა სამი მანეთი და 38 კ. (163 მ. 38 კ.) თვეში მისი ქმრის გარდაცვალების დღიდგან. (ჟურნ. № 30).

---

გამგეობის მოხსენება ბეჟო პარსეღოვის ქვრივისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

27/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ქალაქის მუშის ბეჟო პარსეღოვის ქვრივს საფარა პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეღოვას დაენიშნოს პენსია სამოცდა თერთმეტი (71) მანეთი თვეში ჯამაგირის შეწყვეტის დღიდგან, ე. ი. 23 ივნისიდან 1918 წლის. (ჟურნ. № 30).

---

გამგეობის მოხსენება ყოფილ ბუხჰალტერის არტაშეს მარკაროვისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

27/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს შემფასებელ განყოფილების ყოფილ ბუხჰალტერს არტაშეს მარკაროვს ერთდროულ დახმარებათ ათას სამას ორმოცდა შვიდმეტი მანეთი და ათი შაური (1.357 მან 50 კ.). (ჟურნ. № 30).

---

გამგეობის მოხსენება პენსიების გადიდების შესახებ.

15/XII. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის აზრი დადასტურებულ იქმნას. ქალაქის პენსიონერებისათვის გადიდებულ იქმნას პენსიები და ამით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად გადაიდოს 17.589 მანეთი. ლისიციანს და პეტროსიანცს პენსიათ მიეცეს 500 მანეთი თითოს თვეში. (ჟურნ. № 31).

---

გამგეობის მოხსენება ნაფიც ვექილის პ. კალანტაროვის ჰონორარის შესახებ.

15/XII. გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ნაფიც ვექილს პ. კალანტაროვს ათასი თუმანი (10.000 მ.) ჰონორარი ქალაქის საქმეების სასამართლოში ნაყოფიერად დაცვისათვის. (ჟურნ. № 31).

---

## ეპიდემია, სანიტარია და საავადმყოფოები.

გამგეობის მოხსენება გადამდებ სენთა საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოთხოვნილების შესახებ.

10/II. ამოირჩეს საგანგებო კომისია გადამდებ სენთა საავადმყოფოების მოსამსახურეთა მოთხოვნილებათა განსახილველად და დასასკვნელად. კომისიაში არჩეულ იქმ-

ნენ ხმოსნები: რუხაძე ნიკ. პავ., ჩიჩუა ზ. გ., დიდიძე ერმ. გიორ., გომელაური ივანე მიხ., ჯაჯანაშვილი არჩ. რაჟდ., ჯაბადარი ალ. გ. და ვეშაპელი გ. გ. (ჟურნ. № 3).

---

გამგეობის მოხსენება გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოთხოვნილების შესახებ კომისიის დასკვნით.

17/II. გამგეობის მოხსენება გადამდებ სენთა საავადმყოფოების მოსამსახურეთა მოთხოვნების შესახებ საგანგებო კომისიის დასკვნით გადაეცეს საფინანსო კომისიას გამგეობასთან ერთად, მიენდოსთ მათ მახლობელ სხდომისათვის განიხილონ გამგეობის მოხსენება და წარმოუდგინონ საბჭოს. საბჭოს დადგენილება გადამდებ სენთა საავადმყოფოებში მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ ძალაში შევიდეს ამა წლის 1 თებერვლიდგან. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება პარტახტიან სახადით ავადმყოფთათვის ალექსანდრეს საავადმყოფოში განყოფილების გახსნის შესახებ.

24/II. ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოში გაიხსნას განყოფილება პარტახტიან სახადით ავადმყოფთათვის, ამისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენა ახლო მომავლისათვის დაევალოს ქალაქის გამგეობას, ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენამდე კი მიეცეს ქალაქის გამგეობას ოთხმოცდა ათი ათასი მანეთი ავანსად, მომავალ ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში. (ჟურნ. № 5).

---

ქალაქის მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის მოხსენება პარტახტიან სახადის ეპიდემიის მიმდინარეობის შესახებ.

24/II. საბჭომ ცნობად მიიღო მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენება. (ჟურნ. № 5).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება თბილისის მცხოვრებთა ღარიბეს ნაწილისათვის უფასო აბანოების მოწყობის შესახებ.

24/II. მოეწყოს მირზოევის აბანოში უფასო აბანო ღარიბ ქალთათვის და ბეზუთოვის მამაკაცთათვის. ამისათვის მიეცეს ქალაქის გამგეობას (40.000 მ.) ორმოცი ათასი მანეთი, ამ თანხის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 5).

---

გამგეობის მოხსენება გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოთხოვნების შესახებ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნით.

24/II. 1. გადამდებ სენიანთა საავადმყოფოების უმფროს ექიმებს მიეცეს თვეში 1.400 მან. თვითოს, მათ თანაშემწეებს და უმფროს ორდინატორებს 1.300 მ., უმცროს ექიმებს 1.200 მან., ფერშლებს 800 მან., მოწყალების დებს 750 მან., დაბალ მოსამსახურეებს 650 მან.; 2. მიღებულ იქმნას შემდეგი ნორმები დაზღვევისა: ექიმისათვის 15.000 მან., საშუალო მოსამსახურეთათვის 10.000 მან., დაბალ მოსამსახურეთათვის 7.000 მან., დაზღვევა შემოღებულ იქმნას ეპიდემიის გაჩენის დღიდგან; 3. გარდაცვალებულ მოსამსახურის ოჯახს მიეცეს ერთდროულ დახმარებად ერთი თვის ჯამაგირი; 4. გადიდებული ჯამაგირი მიეცეთ ამა წლის 1 თებერვლიდგან; 5. სახადით ავათ გამხდარ მოსამსახურეთ მიეცეთ, მორჩენის შემდეგ, ორი თვის ვადა ჯან-ღონის მოსაკრებად, ჯამაგირის შენარჩუნებით; 6. სალიკვიდაციო დახმარება მიეცეთ მომრიგებელ კამერის ნორმების მიხედვით; 7. მომატებული ჯამაგირები მიეცეთ სამეურნეო ნაწილის პერსონალს გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მოსამსახურეთა საშუალო პერსონალის ჯამაგირების მიხედვით, მათი ჯამაგირების რაოდენობის განსაზღვრა მიენდოს ქალაქის გამგეობას. ეთხოვოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას საბჭოს მახლობელ სხდომისთვის წარუდგინოს მოსაზრებანი გადამდებ სენიანთა საავადმყოფოების ხარჯების რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობის შესახებ. (ჟურნ. № 5).

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქის საავადმყოფოების ექიმების განცხადება.

3/III. ამოირჩეს საგანგებო კომისია ხუთი კაცისაგან საავადმყოფოების სარევიზიოდ და მათი მდგომარეობის ყოველმხრივ გამოსარკვევად. ამავე კომისიას მიენდოს საავადმყოფოების პერსონალის შეფასება და საჭირო შემთხვევაში ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით გადააყენოს ესა თუ ის პირი სამსახურიდგან. დაევალოს ამ კომისიას შეუდგეს მუშაობას სამშაბათს ოთხ მარტს, დილიდგანვე. კომისიაში საბჭომ აირჩია: ივ. გომართელი, კალ. გოგუა, ილ. ბადრიძე, სვ. მდივანი და პ. გოთუა, (ჟურნ. № 6).

---

მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენება პარტახტიან სახადის მიმდინარეობის შესახებ.

3/III. მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის მოხსენება საბჭომ ცნობად მიიღო. (ჟურნ. № 6).

---

მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენება ქალაქში გადამდებ სენის მსვლელობის შესახებ.

10/III. საბჭო იღებს ცნობად. (ჟურნ. № 7).

---

მედიკო-სანიტარული ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენება პარტახტიან სახადის მიმდინარეობის შესახებ.

17/III. შ. მიქელაძის მოხსენებას საბჭო ღებულობს ცნობათ. (ჟურნ. № 8).

---

საბჭოს მიერ ქალაქის საავადმყოფოს სარევიზიოთ არჩეულ კომისიის მოხსენება.

31/III. საგანგებო კომისიის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მოხსენებაში ნაჩვენები საჭირო ზომები საავადმყოფოთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაუყონებლივ იქმნას მიღებული. (ჟურნ. № 11).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ვერაზედ ამბულატორიის გახსნის და დიდუბის და ნაძალადევის ამბულატორიების შეერთების შესახებ.

23/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. დაიხუროს დიდუბის და ნაძალადევის ამბულატორიები და მათ მაგივრათ გაიხსნას ერთი ამბულატორია რკინის გზის რაიონში, და ერთიც ვერაზედ ისეთ რაიონში, რომელიც ცენტრი იქმნება ვერისა, საბურთალოსა და ვაკისათვის. ამ ამბულატორიის შესანახად გადადებულ იქმნას დიდუბის ამბულატორიისთვის გადადებული თანხები. (ჟურნ. № 18).

---

მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენება ეპიდემიურ სნეულებათა მიმდინარეობის შესახებ.

23/VI. საბჭო ცნობათ იღებს მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენებას. (ჟურნ. № 18).

---

სასანიტარო ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენება ქალაქში ეპიდემიის მსვლელობის შესახებ.

21/VIII. საბჭო სანიტარულ ინსპექტორის შ. მიქელაძის მოხსენებას იღებს ცნობად. (ჟურნ. № 22).

---

მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის ცნობა ეპიდემიურ ავადმყოფობათა მიმდინარეობის შესახებ.

29/IX. საბჭო მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის კ. გ. მეუნარგიას მოხსენებას იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 24).

---

მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის კ. მეუნარგიას მოხსენება ეპიდემიურ ავადმყოფობათა მსვლელობის შესახებ.

13/X. მედიკო-სანიტარულ ინსპექტორის მოხსენებას საბჭო იღებს ცნობად. (ჟურნ. № 25).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ქალაქის მეორე საავადმყოფის (ყოფილი ალექსანდრეს სახელობისა) გახსნის შესახებ, მისი ხარჯების საჭირო კრედიტების დამტკიცება და სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, სახალხო ჯანსაღობის კომისიის დასკვნით.

27/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან ქალაქის მეორე საავადმყოფოს ვენერიული და კანის სენთა განყოფილება 60 საწოლამდე შემოკლდეს და მოთავსდეს შენობის ერთს სართულში. საავადმყოფოს თავისუფალ ნაწილში გაიხსნას ტერაპევტიული განყოფილება 60 საწოლით. ეს განყოფილება დაეთმოს უნივერსიტეტს კლინიკისათვის, შემდეგის პირობებით: 1) უფროსი საექიმო პერსონალის შესანახი ხარჯები დაეკისროს უნივერსიტეტს; 2) განყოფილებაში მუშაობა უნდა სწარმოებდეს მთელი წლის განმავლობაში; 3) ავადმყოფები მიღებული უნდა იქმნენ საავადმყოფოში არა შერჩევით; 4) სასწავლო მიზნით გამოწვეული ხარჯი დაეკისროს უნივერსიტეტს; 5) საავადმყოფოს გამგეთ უნდა დარჩეს ვენერიული განყოფილების უფროსი ექიმი. ახალი განყოფილებისათვის დამტკიცდეს შემდეგი შტატი: სამი ფერშალი, თითოს თვეში 1.100 მან., ორი დიასახლისი— თითოს 1.000 მან. თვეში, ოთხი უმცროსი მოსამსახური—900 მან. თვეში თითოს და ორი მეკარე—890 მან. თვეში თითოს. ამ თერთმეტი მოსამსახურის ულუფესათვის გადაიდოს თვეში ხუთი ათას ცხრაას ორმოცი მანეთი; შტატის შესანახად ათი ათას ექვსას ოთხმოცი მანეთი, ორი თვისოვის სულ ოცდა ცამეტი ათას ორას ორმოცი (33.240) მანეთი, ამ თანხის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 27).

---

გამგეობის მოხსენება ლტოლვილთა განყოფილების სრულ ლიკვიდაციის შესახებ.

27/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ქალაქის გამგეობას ქალაქის სალაროდგან ოთხასი ათასი მანეთი ლტოლვილთა განყოფილების საბოლოვო ლიკვიდაციისთვის. აღიძრას შუამდგომლობა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რათა უკანასკნელმა გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხადოს ქალაქის თვითმართველობას ლტოლვილთა საქმისათვის გაწეული ყველა ხარჯები, როგორც უკანასკნელი 400.000 მან., აგრეთვე წინათ გაღებული ამავე საჭიროებისათვის ქალაქის სალაროდგან სამას ოცი ათას ოთხას ოცდა თორმეტი მანეთი, სულ 720.432 მანეთი. (ჟურნ. № 27).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან სარძეო ფერმის დაარსების შესახებ.

17/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. დაარსდეს ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან სარძეო ფერმა და მის მოსაწყობად, გარდა ბოსლისა, გადაიდოს მომავალი წლის პირველ იანვრამდის სამოცდა თხუთმეტი (75.000) მან. ძროხების შესაძენათ, მათი საკვებისა და მსახურისათვის შვიდი ათას ხუთას სამოცდა ათი (7.570) მან., სულ კი 82.570 მანეთი. ეს ხარჯი დაფარული იქმნას გამგეობის განკარგულებაში გადაცემულ სანიტარულ გადასახადის 15 მილიონის ფონდიდან. დაევალოს ქალაქის გამგეობას წარმოუდგინოს საბჭოს ბოსელის ასაშენებლად საჭირო ხარჯების აღრიცხვა. (ჟურნ. № 29).

---

## მ ი ლ ი ც ი ა.

გამგეობის მოხსენება უმცროს და უმფროს მილიციონერების მიღება-დათხოვნის წესის შესახებ.

20/I. წესი უმცროს და უმფროს მილიციონერების მიღება-დათხოვნის შესახებ დამტკიცებული იქმნას. (ჟურნ. № 2).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის მილიციის შტატის გადიდების ორი ხარჯთ-აღმწერით, ორი ზედამხედველით, ერთი ფულის ამკრეფით და ორი მწერლის თანამდებობის დაარსების შესახებ.

20/I. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. დროებით გასართობების საქალაქო ბეგარის შეკრება ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის მილიციის უფროსის განკარგულებაში დარჩეს, ამისათვის გადიდებულ იქმნას მილიციის შტატი ორი ხარჯთამწერით, ორი ზედამხედველით, ერთი ფულის ამკრეფით და ორი გადამწერით — თითოს დაენიშნოს ოთხასი მანეთი ჯამაგირი თვეში. (ჟურნ. № 2).

---

გამგეობის მოხსენება დროებით ქალაქის მილიციის ასი უმცროსი და ათი უფროსი მილიციონერით გადიდების შესახებ.

20/I. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. დროებით გადიდებულ იქმნას მილიციის შტატი ასი უმცროსი და ათი უმფროსი მილიციონერით. (ჟურნ. № 2).

---

გამგეობის მოხსენება 1 და 7 კომისარიატებში ორ-ორი კომისარის თანაშემწის თანამდებობის დაარსების შესახებ.

20/I. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. (ჟურნ. № 2).

---

ქალაქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის მოხსენება მილიციის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნილების შესახებ.

21/VIII. 1) მილიციონერთა პროფესიონალურ კავშირის განცხადება მიმდინარე ივნისში წარმოდგენილ მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების შესახებ უსაფუძვლოთ იქმნას ცნობილი, რადგან ყველა მათი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია, გარდა ერთი ორისა, რომელნიც გამგეობის აზრით დასაკმაყოფილებელნი არიან, თუ საბჭო დაადასტურებს და რომელთა შესახებ გამგეობა ახლო მომავალში წარმოუდგენს საბჭოს მოხსენებას. 2) მილიციონერთა პროფესიონალურ კავშირის მიზანი და მოვალეობა უნდა იყოს მხოლოდ კულტურულ და ეკონომიურ საჭიროებათა დაკმაყოფილება წევრებისა და არავითარ შემთხვევებში პროფესიონალური კავშირი მილიციის ადმინისტრატიულ დარგში არ უნდა ერეოდეს.

1919
ეროვნული
ბიბლიოთეკა

3) მილიციას, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციას, რომლის მოვალეობა წესიერების დაცვა არის იარაღით ხელში, არ შეუძლია არავითარ ულტიმატუმის წამოყენება და გაფიცვით დამუქრება, მით უმეტეს თვით გაფიცვა და ძოხსნა ადგილიდგან სანამ მისი მოადგილე არ გაჩნდება. 4) მიღებულ იქმნას რეპრესიული ზომები ყველა იმ პირების წინააღმდეგ რომელნიც მოუწოდებენ მილიციას გაფიცვისაკენ ამ დადგენილების გამოტანის შემდეგ. (ჟურნ. № 22).

---

ქალაქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის განცხადება მილიციის უფროსის ვლ. სულაქველიძის საქართველოს რკინის გზის დროებით გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის შესახებ.

22/IX. ქალაქის მოურავის განცხადებას საბჭო იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 23).

---

გამგეობის მოხსენება მილიციელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

13/X. გამგეობის მოხსენება ძირითადი დებულებანი მილიციის მოსამსახურეთა დამზღვევისა და მათთვის ურთიერთ დამხმარე კასის დაარსების შესახებ, დადასტურებულ იქმნას და გადაიდოს დასაზღვევ თანხისთვის ყოველ წლიურად ასი ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლისთვის ორმოცდა ათი ათასი მანეთი და ურთიერთ დამხმარე კასის ფონდის დასაარსებლად ოცდაათი ათასი მანეთი, ამ თანხების სათანადო ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 25).

---

## პატივისცემა.

გამგეობის მოხსენება ნაძალადევის წიგნთ-საცავ სამკითხველოსთვის გ. ვ. პლეხანოვის სახელის დარქმევის შესახებ.

20/I. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ახლად გახსნილ ნაძალადევის წიგნთ-საცავ სამკითხველოს გ. ვ. პლეხანოვის სახელი დაერქვას. (ჟურნ. № 2).

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავმჯდომარის მოხსენება ყოფილ ხმოსნის ბერბეროვის გარდაცვალების შესახებ.

20/I. საბჭო ფეხზე ადგომით პატივსა სცემს განსვენებული ხმოსნის ბერბეროვის ხსოვნას. (ჟურნ. № 2).

---

10/II. თავმჯდომარის ალ. ლომთათიძის მისასალმებელი სიტყვა. (ჟურნ. № 3).

---

17/II. ქალაქის ყოფილი მოურავის ნ. ელიავას მადლობის გამოცხადება. (ჟურნ. № 4).

---

12/V. თავმჯდომარის ცნობა საზოგადო მოღვაწის მათე ოსიპის ძე გრუზენბერგის გარდაცვალების შესახებ. (ჟურნ. № 14).

---

გამგეობის მოხსენება ერთ ერთ ქალაქის სკოლის შიო არაგვისპირელის სახელის მინიჭების შესახებ მისი 30 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო.

23/VI. მიენიჭოს კუკიის მეხუთე სკოლას შიო არაგვისპირელის სახელი, მისი 30 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად. (ჟურნ. № 18).

---

თავმჯდომარის განცხადება ექიმ გერასიმე სტეფანოვის გარდაცვალების გამო.

21/VIII. მიენდოს საბჭოს პრეზიდიუმს გამოუცხადოს სამძიმარი განსვენებულის დებს, დაერქვას ერთ-ერთ ქალაქის ამბულატორიას განსვენებულის სახელი და გამგეობის მიერ მიღებული განსვენებულის პატივსაცემათ ზომები დადასტურებულ იქმნას. (ჟურნ. № 22).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება მწერალ ვ. ბარნოვის ოცდა ათი წლის და მსახიობ ნინო ჩხეიძის ოცდა ხუთი წლის საზოგადო მოღვაწეობის აღნიშვნაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

22/XII. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და გადადებულ იქმნას ქალაქის სალაროდგან მწერალ ვასილ ბარნოვის სასარგებლოდ, მისი ოცდაათი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად ხუთი ათასი (5.000) მანეთი და მსახიობ ნინო ჩხეიძის სასარგებლოდ მისი ოცდახუთი წლის განმავლობაში ქართულ სცენაზედ მოღვაწეობის აღსანიშნავად ხუთი ათასი (5.000) მანეთი. (ჟურნ. № 32).

---

## პირადი შემადგენლობა.

თავმჯდომარის მოხსენება ხმ. ა. ფ. დომბკოვიჩის ხმოსნობაზედ უარის განცხადების და მის მაგიერ სარქის გლახოიანცის ხმოსნად შესვლის შესახებ.

13/I. თავმჯდომარის მოხსენებას საბჭო იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 1).

---

გამგეობის მოხსენება ორი დასასვენებლად წასული საუბნო ექიმების და ორდინატორების მაგიერ სამი თვით ექიმების მოწვევის შესახებ.

20/I. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. (ჟურნ. № 2).

---

მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევნები.

20/I. დღევანდელ სხდომაზედ არჩეულ იქმნან თუთხმეტი მოსამართლე, დანარჩენი კი მომავალ სხდომაზედ. მომრიგებელ-მოსამართლეთ არჩეულ იქმნან: ხალათიანი ისააკ, თერიშვილი მიხეილ, სულიაშვილი გრიგოლი, დანდუროვი სერგო, ლეგინზევიჩი ალექსანდრე, სარაჯიშვილი მიხეილ, მირიანაშვილი ესტატე, ხიმშიაშვილი ივანე, კიკნაძე არისტოლე, მაჭავარიანი გიორგი, მენაბდიშვილი ალექსი, ეგორაშვილი დიმიტრი და კოკაშვილი გრიგოლი. (ჟურნ. № 2).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარის მოხსენება გამგეობის მიერ თავის მოვალეობაზედ უარის თქმის შესახებ.

20/I. ეთხოვოს გამგეობას დარჩეს თავის ადგილზედ ახალ საბჭოს შეკრებამდე. (ჟურნ. № 2).

---

არჩევნები ქალაქის კომისიისა დამფუძნებელ კრებაში.

20/I. არჩეულ იქმნან დამფუძნებელ კრების ქალაქის საარჩევნო კომისიაში წევრებათ: კახიანი, ტერ-პარსეგოვა-მახვილაძე, ნ. რუსია, კოვალიოვი, აგარონიანი, ზარგარიანი, ბარათაშვილი და გოთუა. (ჟურნ. № 2).

---

თავმჯდომარის მოხსენება ხმ. აკაკი პაპავას ხმოსნობაზე უარის განცხადების და მის მაგიერ ი. სტურუას ხმოსნად შემოსვლის შესახებ.

20/I. საბჭო თავმჯდომარის განცხადებას ცნობათ იღებს. (ჟურნ. № 2).

---

პრეზიდიუმის არჩევნები.

10/II. არჩეულ იქმნას საბჭოს თავმჯდომარეთ ალექსანდრე ლომთათიძე (55 თეთრი, 7 შავი), მის ამხანაგად ალექსანდრე მდივანი (54 თეთრი, 8 შავი) ერთი წლით, მდივნად ვასილ ხახანაშვილი (59 თეთრი, 3 შავი) საბჭოს რწმუნების გათავებამდე. (ჟურნ. № 3).

---

საბჭოს კომისიების არჩევნები.

10/II. ამოირჩეს საგანგებო კომისია ხუთი კაცისაგან და მიენდოს მას ერთი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს კომისიის რაოდენობა და დაასახელოს კომისიის წევრების კანდიდატები. კომისიაში არჩეულ იქმნენ ხმოსნები: კახიანი პ. მ., მახვილაძე ე. მ., ხუნდაძე ს. თ., გველესიანი გრ. ივ. და გოთუა პ. ა. (ჟურ. № 3).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის მოურავის, მისი ამხანაგის და გამგეობის წევრების არჩევნები.

10/II. ქალაქის გამგეობა შესდგეს ექვსი კაცისაგან. (ჟურნ. № 3).

---

ქალაქის მოურავის, მისი ამხანაგის და გამგეობის წევრების არჩევნები.

17/II. ფარულის კენჭის ყრით ქალაქის მოურავად საბჭო ირჩევს: ბენიამენ გრიგოლის ძე ჩხიკვიშვილს (49 თეთრი და არც ერთი შავი), მის ამხანაგად გიორგი გრიგოლის ძე კონიევს (48 თეთრი და არც ერთი შავი), გამგეობის წევრებად იოსებ ევნატეს ძე ბესელიძეს (48 თეთრი და ერთი შავი), პავლე ივანეს ძე მასალკინს (48 თეთრი და ორი შავი) და კონსტანტინე აბგარის ძე ფანიევს (48 თეთრი და ორი შავი). (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება გადამდებ სენთან საბრძოლველად 6 ექიმის მოწვევის შესახებ.

17/II. მიეცეს ნება ქალაქის გამგეობას მოიწვიოს ექვსი ექიმი 3 თვით, თითოს 847 მ. 47 კ. თვეში. ამისათვის საჭირო თანხა 14.887 მ. 26 კ. შეტანილ იქმნას 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 4).

---

მომრიგებელ-მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები.

17/II. ამოირჩეს სარეკომენდაციო კომისია და დაევალოს მას ახლო მომავალისათვის დაასახელოს კანდიდატები, როგორც მომრიგებელ-მოსამართლეთა თანამდებობაზედ, აგრეთვე საპატიო მოსამართლეთა. კომისიაში არჩეულ იქმნენ: სილ. ჯიბლაძე, მ. რუსია, პ. კახიანი, ილ. ფირხალაიშვილი, პ. ქავთარაძე, არჩ. ჯაჯანაშვილი, გ. გვაზავა, პ. გოთუა და გველესიანი გრ. (ჟურნ. № 4).

---

კომისიების არჩევნები.

17/II. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრებად: ნიკოლოზ ელიავა, დიომიდე თოფურიძე, რუბენ აუშტროვი, პარმენ კახიანი, დავით ჩადუნელი, გიორგი მაჭავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანი, დავით სულიაშვილი, ერმოლოზ სირბილაძე, სიმონ მდივანი, გრ. გველესიანი, პ. გოთუა, კ. აფხაზი, ნ. ჯაყელი, მოსე სულუხია და არშაკ ზურაბოვი. სარევიზიო კომისიაში: ბაგრატ მიკირტუმოვი, ლეონტი ქლენტი, ირაკლი რამიშვილი, მიხეილ კოვალიოვი, კალისტრატე გოგუა, გიორგი მაჭავარიანი, ილია ფირცხალაიშვილი, ალექსანდრე მდივანი, აკაკი პაპავა, ნიკოლოზ წვერავა და გრიგოლ ვეშაპელი. სამეურნეო-სასურსათო კომისიაში: გიორგი სადაგაშვილი, ლუკა ბერიტაშვილი, ანდრია ლოსკუტოვი, ირაკლი რამიშვილი, სიმონ ხუნდაძე, ლეონტი ქლენტი, ისიდორე სტურუა, დავით კალანდაძე, ვასილ ბერელაშვილი. შტატების სარეორგანიზაციო კომისიაში: სილიბისტრო ჯიბლაძე, მელიტონ რუსია, ერმილე დიდიძე, ალექსანდრე კანდელაკი, ალფეს ხელაძე, არჩილ ჯაჯანაშვილი და სპირიდონ კედია. სახალხო ჯანსაღობის კომისიაში—ყველა ხმოსანი ექიმები. იურიდიულ კომისიაში—ყველა ხმოსანი იურისტები. ტეხნიკურ კომისიაში—ყველა ინჟენერ-ტეხნიკოსი ხმოსანი და კანდიდატებიდგან: პეტრე მამრაძე, ლევან დიასამიძე და პეტრე კავკასიძე. (ჟურნ. № 4).

---

არჩევნები ქალაქის წარმომადგენელის თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტში.

24/II. თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტში ქალაქის წარმომადგენელის კანდიდატის დასახელება მიენდოს სასკოლო კომისიას. (ჟურნ. № 5).

---

არჩევნები ქალაქის წარმომადგენელისა თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის პედაგოგიურს საბჭოში.

24/II. თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოში ქალაქის წარმომადგენელის კანდიდატის დასახელება მიენდოს სასკოლო კომისიას. (ჟურნ. № 5).

---

მომრიგებელ-მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები.

24/II. ფარულის კენჭისყრით აირჩია მომრიგებელ-მოსამართლეებად: მელვინეთხუცესი გ. ვ., ფალავანდიშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ნ. ი., ტყემალაძე გ. ა., დიდია მ. თ., ჩხეიძე მ. ი., მოლოსტოვი რ. ნ., დანარჩენი ერთი მოსამართლის და საპატიო მოსამართლეთა არჩევნები გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის. (ჟურნ. № 5).

---

კომისიის არჩევნები:

24/II. სასკოლო კომისიაში: ვ. ბურჯანაძე, ა. ჟორჟოლიანი, ი. გომელაური, გ. ლემლეინი, ა. სოლოლაშვილი, ფარსუგიანი, ი. გამყრელიძე, ა. მდივანი, კახიძე. სატყეო-საბალოსნოში: პ. კახიანი, ი. ირემაშვილი, დ. სულიაშვილი, ს. ხუნდაძე, მ. გოგლიძე, დ. დვალი, ბერელაშვილი, ს. იაშვილი. საადმინისტრაციოში: დ. მგელაძე, ლ. ჟღენტი, ს. ჯაფარიძე, ლ. ბერიტაშვილი, ს. ელიავა, ვ. ჟორდანია, გრ. ვეშაპელი. საადგილ-მამულოში: ი. მესხი, დ. ჩადუნელი, გ. ბახტაძე, ფ. ლორია, პ. ქავთარაძე, ს. კედია, თ. ღლონტი. შრომის: ა. ხელაძე, ბ. მიკირტუმოვი, ნ. რუსია, ე. მახვილაძე, დ. დვალი, ი. ბადრიძე, ნ. ჯაყელი, ე. ტოროტაძე. ბალნელოგიური: ნ. ზ. ელიავა, ი. გომართელი, ა. კანდელაკი, ა. ჯაბადარი, მელიქიშვილი. ლომბარდის გამგე კომისიაში: გ. მაჭავარიანი, ზ. ჩიჩუა, კ. აფხაზი. ღარიბთა თავშესაფარის კომისიაში: ოსტროვსკი, კ. ქავთარაძე, ყავრიშვილი. შეფასების უწყების შემმოწმებელი კომისიაში: პ. კავკასიძე, ი. რამიშვილი. ქუჩების და საქალაქო გადამსინჯავი კომისია: თ. კიკვაძე, ფ. ლორია, ვ. ხახანაშვილი, ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, პ. გოთუა, გრ. ვეშაპელი. (ჟურნ. № 5).

---

გამგეობის წევრის არჩევნები.

24/II. გამგეობის წევრის არჩევნები გადადებულ იქმნას ქალაქის მოურავის ჩამოსვლამდე. (ჟურნ. № 5).

---

გამგეობის მოხსენება საზურთალოს კომისარიატის საადრესო ბარათების მიმღებ ქალის შტატში ჩარიცხვის შესახებ.

3/III. საზურთალოს კომისარიატის საადრესო ბარათების მიმღები ქალი ჩარიცხულ იქმნას შტატში და მიეცეს თვეში 75 მან. ძირითადი ჯამაგირი და სამხედრო მომატება 285 მან., სულ 360 მან. (ჟურნ. № 6).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები ქალაქის წარმომადგენლებისა 1919 წლის 15 მარტს მოწვეულ ქალაქთა ყრილობაზედ.

3/III. საბჭომ 1919 წლის 16 მარტს მოწვეულ ქალაქთა ყრილობაზედ წარმომადგენლათ აირჩია ქალაქის მოურავი ბენიამენ ჩხიკვიშვილი, ივ. გომართელი, დიომიდე თოფურიძე, არჩ. ჯაჯანაშვილი და გ. გვაზავა. (ჟურნ. № 6).

---

კომისიის არჩევნები.

3/III. საბჭომ მოისმინა რა მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა განცხადება წინადადებას აძლევს მათ მიიღონ მონაწილეობა ყველა იმ კომისიებში, რომელშიც მოისურვებენ მუშაობას. სახალხო სახლის გამგე კომისიაში საბჭომ ამოირჩია გიორგი ლასხიშვილი, კ. სალირაშვილი და ნინო რუსია. სატყეო-საბაღოსნო კომისიაში: დ. ჩადუნელი. შეფასების უწყებათა გამხილველ კომისიაში: ერ. ჩომახიძე. დაჭრილთა დამხმარე კომისიაში: მიხ. ვეფხვაძე, კალ. ქავთარაძე და მინადორა ტოროშელიძე. (ჟურნ. № 6).

---

მომრიგებელ-მოსამართლის და საპატიო მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევნები.

3/III. საბჭო ფარულის კენჭის ყრით ირჩევს: მომრიგებელ-მოსამართლედ: ალექსანდრე მირაქოვს (52 თეთრი 3 შავი). საპატიო მომრიგებელ-მოსამართლედ: გიორგი კონიევს (56 თეთრი, არც ერთი შავი), სამსონ ფირცხალავას (56 თეთრი, არც ერთი შავი), კონსტანტინე აფხაზს (55 თეთრი, არც ერთი შავი), ანდრია ჭიაბრიშვილს (54 თეთრი, არც ერთი შავი), ექვთიმე თაყაიშვილს (54 თეთრი, არც ერთი შავი), ელეონორა ტერ-პარსეგოვა-მახთილაძეს (53 თეთრი, არც ერთი შავი), გიორგი ლასხიშვილს (53 თეთრი, არც ერთი შავი), ივანე გომართელს (53 თეთრი, არც ერთი შავი), ალექსანდრე ნაცვლიშვილს (53 თეთრი, არც ერთი შავი), გიორგი თუმანოვს (52 თეთრი, ორი შავი), ალექსანდრე ფარნიევს (50 თეთრი, სამი შავი). (ჟურნ. № 6).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა.

3/III. გამგეობის წევრის არჩევნების შესახებ ძალაში დარჩეს საბჭოს 24 თებერვლის დადგენილება. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება კანტროლის კანცელარიაში მეორე რეგისტრატორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

10/III. გამგეობის მოხსენება კანტროლის კანცელარიაში მეორე რეგისტრატორის თანამდებობის დაარსების შესახებ გადაეცეს შტატის სარეორგანიზაციო კომისიას. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება თათრულ ნაციონალურ საბჭოს საქართველოში თხოვნის თანახმად სამი წარმომადგენელის ყოლის შესახებ ქალაქის საბჭოში კოოპტაციის სახით.

10/III. თათრულ ნაციონალურ საბჭოს განცხადება გადაეცეს იურიდიულ კომისიას დასკვნის წარმოსადგენად. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება ბუჰგალტერიის შტატის გადიდების შესახებ ქალაქის საავადმყოფოებში.

10/III. გამგეობის მოხსენება ბუჰგალტერიის შტატის გადიდების შესახებ გადაეცეს შტატების სარეორგანიზაციო კომისიას. (ჟურნ. № 7).

---

მომრიგებელ-მოსამართლის კოკაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ ის თავს ანებებს მომრიგებელ-მოსამართლის თანამდებობას.

10/III. მიიღოს კოკაშვილის განცხადება ცნობად. (ჟურნ. № 7).

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება კომისიების შესახებ.

17/III. საბჭო მოხსენებას ღებულობს ცნობათ. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის წევრის არჩევნები.

17/III. ფარული კენჭის ყრით გამგეობის წევრათ აირჩია სიო დიმიტრის ძე ჭანტურიშვილი და დაუნიშნა მას ორი ათასი მან. (2.000) თვიურათ. (ჟურნ. № 8).

---

საპატიო მომრიგებელ-მოსამართლის ანდრია ქიაბრიშვილის განცხადება.

31/III. ან. ქიაბრიშვილის განცხადებას საბჭო ცნობად ღებულობს. (ჟურნ. № 11).

---

უმფროსი კონტროლიორის არჩევა.

10/IV. დაენიშნოს მთავარ კონტროლიორს ჯამაგირათ ორი ათასი (2.000) მანეთი თვეში; ფარული კენჭის ყრით (32 თეთრი, არც ერთ შავი) მთავარ კონტროლიორად არჩეულ იქმნას იაკობ სამუელის ძე პეტრაკოვსკი. (ჟურნ. № 12).

---

შეფასების უწყებათა შემმოწმებელი კომისიის არჩევნები.

28/IV. შეფასების უწყებათა შემმოწმებელ კომისიაში არჩეულ იქმნენ: ირაკლი რამიშვილი, ივანე მესხი და ისიდორე სტურუა. (ჟურნ. № 13).

---

დამფასებლების არჩევა.

28/IV. საბჭო ფარული კენჭის ყრით დამფასებლებათ ირჩევს: გიორგი სადაგაშვილს (30 თეთრი და არც ერთი შავი) და სტეფანე დანდუროვს (29 თეთრი, ერთი შავი). (ჟურნ. № 13).

---

9119 ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის ლომბარდის გამგის არჩევა.

28/IV. საბჭო ფარული კენჭისყრით ლომბარდის გამგეთ ირჩევს სამსონ ფულარიას (30 თეთრი, არც ერთი შავი). (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის წევრის არჩევა.

28/IV. საბჭო ფარული კენჭის ყრით (30 თეთრი, არც ერთი შავი) არჩეულ იქმნას გამგეობის წევრათ გიორგი კონსტანტინეს ძე შოთაძე და დაენიშნოს მას ჯამაგირად 2.000 მან. (ჟურნ. № 13).

---

აუქციონისტების არჩევა.

28/IV. საბჭო ფარული კენჭის ყრით აუქციონისტებად ირჩევს აგავნი ზურაბიანს და კლემენტი თალაკვაძეს. (ჟურნ. № 13).

---

მილიციის უფროსის არჩევა.

28/IV. საბჭო ფარული კენჭის ყრით მილიციის უფროსად ირჩევს ვლადიმერ სულაქველიძეს (30 თეთრი, არც ერთი შავი). (ჟურნ. № 13).

---

მომრიგებელ-მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები.

12/V. საბჭო ფარული კენჭის ყრით მომრიგებელ-მოსამართლეებად ირჩევს ილია ქყონიას და ვლადიმერ ჯაფარიძეს. (ჟურნ. № 14).

---

ხმოსან გიორგი სადაგაშვილის განცხადება შემფასებლის თანამდებობიდგან განთავისუფლების შესახებ.

22/V. მიენდოს ქალაქის გამგეობას გამოიკვლიოს შემფასებლების სასყიდლის რაოდენობა და თუ მცირედი აღმოჩნდა იგი მოახსენოს საბჭოს, მანამდი კი ეთხოვოს გ. სადაგაშვილს დარჩეს შემფასებლად. (ჟურნ. № 15).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის წევრის პავლე მასალკინის განცხადება გამგეობის წევრის თანამდებობიდგან განთავისუფლების შესახებ.

22/v. გამგეობის წევრის მასალკინის განცხადებას საბჭო იღებს ცნობად და ადგენს: ეთხოვოს გამგეობის წევრს პ. ა. მასალკინს დარჩეს გამგეობის წევრად. (ჟურნ. № 15).

---

თვითმართველობის წარმომადგენლების არჩევნები 13 საუბნო სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოებში.

22/v. სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოებში თვითმართველობის წარმომადგენელთა არჩევნები მოხდენილ იქმნას საბჭოს შემდეგ მორიგ სხდომაზედ. (ჟურნ. № 15).

---

საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეთა არჩევნები.

22/v. საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეთა არჩევნები გადაიდოს საბჭოს შემდეგ მორიგ სხდომამდის. (ჟურნ. № 15).

---

განცხადება ხმოსან ივანე გამყრელიძისა, ხმოსნის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

27/v. გამყრელიძის განცხადებას და თავმჯდომარის ცნობას, საბჭო იღებს ცნობად. (ჟურნ. № 16).

---

განცხადება ხმოსან ალექსანდრე წერეთლისა ხმოსნობის მოვალეობიდგან განთავისუფლების შესახებ.

27/v. წერეთლის განცხადებას და თავმჯდომარის მოხსენებას საბჭო იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 16).

---

1919 ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება ალ. ნაცვლიშვილისა საპატიო მომრიგებელ-მოსამართლის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ.

27/V. ხმ. ნაცვლიშვილის განცხადებას საბჭო იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 16).

---

საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის არჩევნები.

7/VI. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქმნას საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად გრიგოლ გველესიანი. (27 თეთრი და ერთი შავი). (ჟურნ. № 17).

---

მომრიგებელ-მოსამართლის დამატებითი არჩევნები.

7/VI. საბჭო ფარული კენჭის ყრით ადგენს მომრიგებელ-მოსამართლედ არჩეულ იქმნეს თეოდორე პოროშინი (28 თეთრი, არც ერთი შავი). (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის წევრის არჩევნები.

7/VI. გამგეობის წევრთა რიცხვი გადიდებულ იქმნას შვიდამდის. მეექვსე წევრი ნაცვლად გასული მასალკინის ამორჩეულ იქმნას დღესვე, ხოლო მეშვიდე წევრის არჩევნები გადაიდოს შემდეგ სხდომამდის. ფარული კენჭის ყრით საბჭო ადგენს გამგეობის წევრათ არჩეულ იქმნას (27 თეთრი და 1 შავი) ხმოსანი გიორგი მაჭავარიანი და დაენიშნოს მას ჯამაგირად 2.000 მან. თვიურად. (ჟურნ. № 17).

---

ხმოსან ი. გომართელის განცხადება საპატიო მომრიგებელ-მოსამართლის თანამდებობიდგან განთავისუფლების შესახებ.

7/VI. საპატიო მომრიგებელ-მოსამართლეთა თანამდებობიდგან განთავისუფლებულ ან. ჭიაბრიშვილის, ლ. ნაცვლიშვილის და ივ. გომართელის მაგიერ კანდიდატების დასახელება მიენდოს სარეკომენდაციო კომისიას. (ჟურნ. № 17).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმართველობის წარმომადგენელთა არჩევნები 14 სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოში.

23/VI. ეთხოვოს საბჭოს ფრაქციებს შემდეგ სხდომისათვის დაასახელონ კანდიდატები სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოებში. (ჟურნ. № 18).

---

სასანიტარო-სამზრუნველოების თავმჯდომარეთა არჩევნები.

23/VI. საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეებათ იქმნან არჩეული: პირველ უბანში—ნ. კ. ზაალიშვილი, მეორე უბანში—ს. გ. ალდადანოვი, მე-5 უბანში—გ. ბ. გასან-ზადე, მე-8 უბანში—მ. ვეფხვაძე, მე-9 უბანში—პლავინსკი, მე-12 უბანში—ა. მათიკაშვილი. დანარჩენ უბნებში სამზრუნველო თავმჯდომარეების არჩევნები გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის. (ჟურნ. № 18).

---

საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება ნ. ნიკოლაძის, ს. კედიას, გ. გვაზავას, ნ. ჯაყელის, ვ. ბერელაშვილის და ა. ჯაბადარის განცხადებების გამო მათი ხმოსნობიდგან გადადგომის შესახებ.

23/VI. თავმჯდომარის მოხსენებას საბჭო იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 18).

---

გამგეობის მეშვიდე წევრის არჩევნები.

23/VI. საბჭო ფარული კენჭის ყრით (30 თეთრი და 3 შავი) ადგენს გამგეობის წევრათ არჩეულ იქმნას აკაკი ამბაკოს ძე პაპავა და დაენიშნოს მას 2.000 მანეთი თვიურად. (ჟურნ. № 18).

---

სარევიზიო კომისიის 6 წევრის არჩევა, ნაცვლად გასულებისა.

14/VII. სარევიზიო კომისიის წევრებად, ნაცვლად გასულებისა, არჩეულ იქმნან: ერმილე სირბილაძე, გიორგი სადაგაშვილი, ივ. ავაქოვი, გრ. ლორთქიფანიძე, დავით პარკაძე და დავით კალანდაძე. (ჟურნ. № 19).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმართველობის წარმომადგენელთა არჩევნები 13 სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოში.

14/VII. ეთხოვოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას შემდეგი სხდომისათვის წამოაყენოს კანდიდატების სია თვითმართველობის წარმომადგენლებისა 13 საუბნო სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოში. (ჟურნ. № 19).

---

სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეთა არჩევნები.

14/VII. საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეთა დამატებითი არჩევნები გადაიდოს შემდეგ კრებისათვის. (ჟურნ. № 19).

---

ხმ. გიორგი ლასხიშვილის განცხადება სამი კვირით ხმოსნობის მოვალეობის ასრულებიდგან განთავისუფლების შესახებ.

14/VII. ხმოსან გიორგი ლასხიშვილის განცხადებას საბჭო იღებს ცნობად. (ჟურნ. № 19).

---

თავმჯდომარის ცნობა ხმოსნების ი. ბარათაშვილის, ს. მდივანის და გ. გორდეზიანის განცხადებების გამო ხმოსნობიდგან განთავისუფლების შესახებ.

14/VII. თავმჯდომარის მოხსენებას საბჭო იღებს ცნობად. (ჟურნ. № 19).

---

სამი საპატიო მომრიგებელ-მოსამართლის არჩევა.

21/VIII. ამორჩეულ იქმნან საპატიო მოსამართლედ: გიორგი შოთაძე, ნინო რუსია და ივანე გომელაური (ყველამ 30 თეთრი, არც ერთი შავი). (ჟურნ. № 22).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომბარდის სარევიზიო წევრის არჩევა ნაცვლად გასულის გ. მაჭავარიანისა.

21/VIII. ამორჩეულ იქმნას ლომბარდის სარევიზიო კომისიის წევრად, ნაცვლად გასულის გ. მაჭავარიანისა გიორგი ბახტაძე. (ჟურნ. № 22).

---

თვითმართველობის წარმომადგენელთა არჩევნები 14 სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოში.

21/VIII. წინადადება მიეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას ერთი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს საბჭოს კანდიდატები თვითმართველობის წარმომადგენლებისა 14 სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოში. (ჟურნ. № 22).

---

საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეთა დამატებითი არჩევნები.

21/VIII. არჩეულ იქმნას მე-3 უბანში ვართანოვი არკადი არტემის ძე; მე-4 ავაქიანი არაქელ ივანეს ძე; იმნაიშვილი ნესტორ გრიგოლის ძე; მე-10 კაკოიშვილი ვალერიან; მე-11 კანდელაკი ვლადიმერ გრიგოლის ძე; მე-13 გოგლიძე მიხეილ; მე-7 უბანში წამოყენებული კანდიდატი სულუხია დამტკიცებულ იქმნას, მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოს ეცნობა უკანასკნელის სახელი და მამის სახელი. (ჟურნ. № 22).

---

თავმჯდომარის განცხადება ხმოსნების კაფაროვის, კრაუტერის და მაირანოვსკის ხმოსნობიდგან დათხოვნის შესახებ ექვსი თვის განმავლობაში საბჭოს სხდომებზე გამოუცხადებლობის გამო.

21/VIII. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას ცნობად იღებს. (ჟურნ. № 22).

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომრიგებელ-მოსამართლის ჭყონიას განცხადება.

22/IX. საბჭო ილია ჭყონიას განცხადებას იღებს ცნობად. (ჟურნ. № 23).

---

ხმოსან კალენიკე ქავთარაძის განცხადება ხმოსნობიდგან მისი განთავისუფლების შესახებ.

22/IX. თავმჯდომარის განცხადებას საბჭო იღებს ცნობად (ჟურნ. № 23).

---

სალიკვიდაციო კომისიის არჩევა შრომის მინისტრის წინადადებით.

22/IX. დაარსებულ იქმნას სალიკვიდაციო კომისია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონების მიერ გამოცხადებულ ლიკვიდაციის მიზეზების გამოსარკვევად და საჭირო ზომების მისაღებად. კომისიაში უნდა შევიდნენ სამ-სამი წარმომადგენელი: ქალაქის საბჭოსი, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირისა, პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსი, სავაჭრო პალატისა და კოოპერატივთა კავშირისა. ამ კომისიაში არჩეულ იქმნენ ხმოსნები: იოსებ ირემაშვილი თავმჯდომარეთ, წევრებათ ბაგრატ მიკირტუმოვი და ნიკოლოზ წვერავა. (ჟურნ. № 23).

---

დამფასებლის არჩევა ნაცვლად გასულის ე. სადაგაშვილისა.

22/IX. დამფასებლად არჩეულ იქმნას ბეჟან ავალიანი, ამ თანამდებობისათვის მითვისებულ სასყიდელზედ. (ჟურნ. № 23).

---

თვითმართველობის წარმომადგენელთა არჩევნები 14 სარეწაო და უძრავ ქონებათა შემფასებელ საკრებულოში.

22/IX. სარეწაო გადასახადის საკრებულოში არჩეულ იქმნენ: I უბანში: 1. გურგენიძე მიხეილ სოფრომის ძე, 2. გიგინეიშვილი ტრიფონ პავლეს ძე, 3. ლომიძე გიორგი დიმიტრის ძე, 4. მკერვალიშვილი ვიკტორ დავითის ძე

და 5. მამულაიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე. კანდიდატები: 1. მაჩაიძე ნესტორ სოლომონის ძე, 2. ენუქიძე ვასილ გიორგის ძე და 3. მარკოზაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე. II უბანში: 1. ზემმელი ივანე იაკოფის ძე და 2. კირკაძე პეტრე გაბრიელის ძე. კანდიდატი: ხითაროვი მიხეილ ანდრიას ძე. III უბანში: 1. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე და 2. კავლაშვილი სამსონ გიორგის ძე. კანდიდატი: ხანდამაშვილი გიორგი ილიას ძე. IV უბანში: 1. კუკუჯანოვი ა. დ., 2. ბაშარული მიხ. გ., 3. ტერ-ოსეპიანცი ი. ლ., 4. გენე რ. ი., 5. კარახანოვი ნ. პ. და 6. გოგელია თ. დ. კანდიდატები: 1. ქორქოლიანი ს. ს., 2. გაგლოევი გ. ს. და 3. სულხანოვი ა. ხ. V უბანში: 1. სულაქველიძე მელიქსედეკ ამბაკოს ძე და 2. სააკოვი გიორგი აბრამის ძე. კანდიდატები: 1. კალამკაროვი გიორგი ნიკიტას ძე და 2. კერვალიშვილი რაჟდენ დარისპანის ძე. VI უბანში: 1. კუციავა ვასილ ივანეს ძე, 2. ტერტეროვი არტაშეს არუთინის ძე, 3. გველესიანი იოსებ იოსების ძე და 4. მარკაროვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. კანდიდატები: 1. შათირიშვილი ვარლამ იოლონის ძე და 2. ჯენგვალაძე ავქსენტი ივანეს ძე. VII უბანში: 1. მტვარაძე ალექსი ფირონის ძე და 2. დანდუროვი იაკოფ ალექსანდრეს ძე. კანდიდატები: 1. ბაგიროვი გასან, 2. გორელაშვილი ისრაილ მიხეილის ძე, 3. არუთინოვი ბაგდასარ ლაზარის ძე, 4. რაიმოვი მიხეილ და 5. ალიევი მამედ. VIII უბანში: 1. დავლაშერიძე შიო ზაქარიას ძე, 2. დუგაშვილი ანტონ დიმიტრის ძე, 3. მელიქოვი დავით არტემის ძე, 4 ოგანეზოვი გიორგი ბეგოს ძე, 5. ტერ-გევორქოვი აგაბეკ აირისის ძე და 6. გიორგობიანი ვარლამ მელიტონის ძე. კანდიდატები: 1. გონგაძე ვასილ მელიტონის ძე, 2. ნაზაროვი იოსებ გიორგის ძე და 3. კოშკელოვი ვასილ გიორგის ძე. IX უბანში: დურგლიშვილი ილია გერასიმეს ძე, 2. ეგანოვი ალექსანდრე გიორგის ძე, 3. მიკირტუმოვი მიხეილ ოსკარის ძე, 4. მამულოვი ვასილ დავითის ძე, 5. სადჯიაშვილი ივანე პავლეს ძე და 6. ალიხანოვი დარჩო მარტინის ძე. კანდიდატები: 1. არუთინოვი არშაკ ივანეს ძე და 2. გოლაშვილი პანტელეიმონ მიხეილის ძე. X უბანში: 1. სერგიევი სერგო გრიგოლის ძე, 2. ყიფიანი ილია გრიგოლის ძე, 3. ოსიპოვი გიორგი ბოგდანის ძე, 4. სეილანოვი არტაშეს ნიკიტას ძე, 5. გრიგორიანცი მარტინ გიორგის ძე და 6. სიდომონოვი-ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ დავითის ძე. კანდიდატები: 1. ავეტიკოვი [illegible] ზურაბის ძე, 2. ვახტანგოვი გედევან სერგოს ძე და 3. კაზაროვი გეორქ გაბრიელის ძე. XI უბანში: 1. აბოვიანცი სედრაკ გრიგოლის ძე და 2. ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე. კანდიდატი: ალხანაშვილი ისააკ გიორგის ძე. XII უბანში: 1. შარტავა სერგეი იოსების ძე, 2. ავანიანცი ავან კარაპეტის ძე, 3. აიზერბერგ ზინოვი ისააკის ძე, 4. ტოპუზის თედორე კონსტანტინეს ძე, 5. ვარძიგულოვი ნიკოლოზ პავლეს ძე და 6. ევანგულიძე გერასიმე პავლეს ძე. კანდიდატები: 1. კარაპეტიანცი ალექსანდრე სერგოს ძე, 2. მაყაშვილი მათე ბიძინას ძე და 3. საგინაშვილი ვასილ ისააკის ძე. XIII უბანში: 1. ავალიანი ვიქტორ იესეს ძე, 2. გრიგორიანცი ალექსანდრე არუთინას ძე, 3. კამოევი ივანე იაკოფის ძე, 4. სეილანოვი არტაშეს ნიკიტას ძე, 5. თოიძე ზაქარია დავითის ძე და 6. შლანდერევი ისაია ილიას ძე. კანდიდატები: 1. არანოვიჩი ალექსანდრე აბრამის ძე და 2. ბეჟინი კუზმა მიხეილის ძე. XIV უბანში: 1. ვეტცელი გენრიხ კასპარის ძე, 2. კოტარია არტემ თეიმურაზის ძე, 3. კოჩინაევი ვალერიან ანტონის ძე, 4. დვალიძე ბესარიონ ქრისტეფორის ძე, 5. ქობულაშვილი ალექსანდრე ფარსადიანის ძე და 6. პანჩიკიძე ალექსანდრე სტეფანის ძე. კანდიდატები: 1. ზაალიშვილი ლევან გიორგის ძე, 2. კოტარია ტრიფონ თეიმურაზის ძე და 3. ცერცვაძე ალექსანდრე გიორგის ძე.

შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის საკრებულოში. I უბანში: 1. კურდიანი გრიგოლ ზაქარიას ძე, 2. ხევსურიანი აბესალომ ივანეს ძე, 3. გვერდწითელი პლატონ ივანეს ძე და 4. მკერვალიშვილი ვიქტორ დავითის ძე. კანდიდატები: 1. ქართველიშვილი შალვა გრიგორის ძე, 2. რაზმაძე იოსებ კირილის ძე, 3. მიქაბერიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე და 4. ჩიტაძე გიორგი დავითის ძე. II უბანში: 1. დურასოვი მიხეილ სერგოს ძე, 2. გერმანოვიჩი მიხეილ ივანეს ძე, 3. ძიძიშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე და 4. მესხი-მესხაძე ივანე საჩინოს ძე. კანდიდატები: 1. ნიკოლაძე იაკოფ ივანეს ძე, 2. ზურაბიშვილი ილია ელექთერის ძე, 3. დემიდოვი ვასილ ალექსანდრეს ძე და 4. გაჩეჩილაძე სებასტიან მიხეილის ძე. III უბანში: 1. ონიაშვილი დავით ეფრემის ძე, 2. ჭელიძე დავით ივანეს ძე, 3. ცხომელიძე თედორე საყვარელის ძე და 4. მაჭავარიანი დავით საბას ძე. კანდიდატები: 1. ბაგრატიონ-მუხრანსკი

გიორგი ალექსანდრეს ძე, 2. ბალარჯიშვილი ალექსი ივა-
ნეს ძე, 3. ვაჩნაძე დიმიტრი სოლომონის ძე და 4. ავა-
ლიანი ვარლამ ალექსანდრეს ძე. IV უბანში: 1. კუკუჯა-
ნოვი ა. დ., 2. ბაშარული მ. გ., 3. დუბელირი მ. ი. და
4. კორინთელი ვ. ი. კანდიდატები: 1. ჩერქეზოვი კ. ნ,
2. ოქროპირიძე პ. გ., 3. ალიხანოვი ი. ს. და 4. ბერია-
შვილი ა. გ. V უბანში: 1. ავსარქისოვი ივანე ფარსადა-
ნის ძე, 2. როტინოვი დავით ივანეს ძე, 3. ბერიაშვილი
ილია გრიგოლის ძე და 4. ვოლკენზონი აბრამ გაბრიელის
ძე. კანდიდატები: 1. აკოფჯანოვი ლაზარე არტემის ძე,
2. გეორგაძე მიხეილ გიორგის ძე, 3. გოძიევი სერგეი
მალკოს ძე და 4. ტერ-გრიქუროვი ბაგრატ დავითის ძე.
VI უბანში: 1. ტერ-ტეროვი არტაშეს არუთინას ძე, 2.
ნობოზოვი ვასილ პავლეს ძე, 3. ჯანგვილაძე ავქსენტი
ივანეს ძე და 4. კორგანოვა სათენიკა დავითის ასული.
კანდიდატები: 1. დოუშვილი ილია იორდანეს ძე, 2. ომიაძე
ოქროპირ გრიგოლის ძე, 3. აბაზოვი ვასილ იოსების ძე
და 4. კილაძე ბართლომე ალექსის ძე. VIII უბანში: 1.
მანთეშაშვილი იოსებ ისააკის ძე, 2. მჭედლიშვილი ალექსი
გიორგის ძე, 3. წვერავა გერასიმე ივანეს ძე და 4. ხოს-
როუაშვილი ალექსი ილარიონის ძე. კანდიდატები: 1. ჯან-
ჯელაშვილი სოლომონ ესტატეს ძე, 2. ლოპატინი ალექსი
იაკოფის ძე, 3. გონდაური ზაქარია ილიას ძე და 4. და-
ვიდოვი დარჩო სარქისას ძე. IX უბანში: 1. მჭედლიშვი-
ლი პეტრე გიორგის ძე, 2. კვეზელი-კოპაძე მიხეილ ნი-
კოლოზის ძე, 3. არგუტინსკი-დოლგორუკოვი იოსებ ივა-
ნეს ძე და 4. აპრიკოვი გიორგი გრიგოლის ძე. კანდიდა-
ტები: 1. კოკსოშვილი პოლიევტიკ ლაზარეს ძე, 2. ზო-
ლოტნიცკი იაკობ იუდორის ძე, 3. გძელიშვილი ნადეჟდა
ზაქარიას ასული და 4. ბერძენიშვილი გალაქტიონ მიხეი-
ლის ძე. X უბანში: ვაჩნაძე ტადენ გრიგორის ძე, 2. კა-
ზაროვი სერგო ნიკოლოზის ძე, 3. სულიევი ალექსანდრე
ზაქარიას ძე და 4. თუშმალოვი დავით მიხეილის ძე. კან-
დიდატები: 1. ასატუროვი ივანე არტემის ძე, 2. ვორო-
ნოვი ვლადიმერ კირილეს ძე, 3. ბაბახოვი იაკობ მიხეი-
ლის ძე და 4. ტურძალაძე ზაქარია ივანეს ძე. XI უბანში:
1. მანსვეტოვა სოფიო სტანისლავის ასული, 2. გოკიელო-
ვი სტეფანე იაკობის ძე, 3. აბოვიანცი სედრაკ გიორგის
ძე და 4. კოტრინი რიხარდ ფერდინანდის ძე. კანდიდა-
ტები; 1. კანდელაკი გიორგი დიმიტრის ძე, 2. ჭავჭანიძე

ერასტი ივანეს ძე, 3. კამოევი ტიგრან ივანეს ძე და 4. კირილენკო ანდრია ვასილის ძე. XII უბანში: 1. აგლაძე ნეოფიტ დიმიტრის ძე, 2. ბელზიცმანი დანიელ იოსების ძე, 3. თუმანოვი იოსებ ნიკოლოზის ძე და 4. ანდრონიკოვი რომან სიმონის ძე. კანდიდატები: 1. ოკოევი ნიკოლოზ მიხეილის ძე, 2. ნევტონოვი ფედოთე თედორის ძე, 3. მიკირტუმოვი მიხეილ იაგორის ძე და 4. ტომაშევსკი ბოლესლავ ფაბიანის ძე. XIII უბანში: 1. ავალიანი ვიქტორ იესეს ძე, 2. კამოევი ივანე იაკობის ძე, 3. თოიძე ზაქარია დავითის ძე, 4. შენდერევი ისაია ილიას ძე და 5. მგებროვი ლევან იაკობის ძე. XIV უბანში: 1. პოტემკოვსკი ივანე ფელიქსენტის ძე, 2. ვეტცელი ალბერტ კასპარის ძე, 3. პანჩიკიძე ალექსანდრე სტეფანის ძე და 4. რამიშვილი ტრიფონ მათეს ძე. კანდიდატები: 1. პოტემკოვსკი კაზიმი ფელიქსენტის ძე, 2. ზაალიშვილი არჩილ, 3. კობახიძე არსენ გრიგოლის ძე და 4. ზაუტაშვილი ზაქარია. მე-XII უბნის უძრავ ქონებათა გადასახადის საკრებულოში. 1. კვილიძე გაბრიელ ზაქარიას ძე, 2. ანდრეოლეტტი ანჯელო კარლოს ძე, 3. რეზუნოვი ვალერიან ვასილის ძე და 4. ოსტროვსკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. კანდიდატები: 1. ხუნდაძე სიმონ თომას ძე, 2. სუმბათოვი ალექსანდრე მიხეილის ძე და 3. კირშბაუმი ვლადი ივანეს ძე. (ჟურნ. № 23).

---

მეშვიდე უბნის სასანიტარო სამზრუნველოს თავმჯდომარის არჩევა.

29/IX. მეშვიდე უბნის სასანიტარო სამზრუნველოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნას ნესტორ ზურაბის ძე სულუხია. (ჟურნ. № 24).

---

სამი ხმოსნის არჩევა საოლქო სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე დასასწრებლად.

13/X. საოლქო სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზედ დასასწრებლად არჩეულ იქმნენ ხმოსნები: ილია ფირცხალაიშვილი, თევდორე კიკვაძე და სოლომონ ვადაჭკორია. (ჟურნ. № 25).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის წარმომადგენლების არჩევა გადასახადთა საკრებულოში.

13/X. ამორჩეულ იქმნენ: კონსტანტინე სალირაშვილი და არჩილ რუხაძე შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის გამწერ საგუბერნიო საკრებულოში და მოსე სულუხია სარეწაო გადასახადის საერთო საკრებულოში. (ჟურნ. № 25).

---

ქალაქის წარმომადგენლების არჩევა მე-2 ვაჟთა გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტში.

13/X. თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოწერილობა გადაეცეს სასკოლო კომისიას და მიენდოს მას თვითმართველობის წარმომადგენლის დასახელება და გაგზავნა, როგორც მეორე გიმნაზიის, აგრეთვე სხვა გიმნაზიების პედაგოგიურ საბჭოებში და სამეურნეო კომიტეტებში. (ჟურნ. № 25).

---

ხმოსან გრ. ვეშაპელის განცხადება, რომლითაც იგი ხმოსნობაზედ უარს აცხადებს.

27/X. თავმჯდომარის მოხსენებას საბჭო იღებს ცნობად. (ჟურნ. № 27).

---

ხმოსან კ. აფხაზის განცხადება, რომლითაც იგი საფინანსო კომისიის წევრობაზედ უარს აცხადებს.

27/X. ხმოსან კ. აფხაზის განცხადებას საბჭო იღებს ცნობად. (ჟურნ. № 27).

---

საფინანსო კომისიის წევრების არჩევა ნაცვლად გასულების: კ. აფხაზის, რ. აუშტროვის და გ. მაჭავარიანისა.

10/XI. არჩეულ იქმნან საფინანსო კომისიაში ნაცვლად გასულებისა: კ. აფხაზისა, რ. აუშტროვისა და გ. მაჭავარიანისა ხმოსნები: დიდიძე ერმილე, ლოსკუტოვი ანდრია და გუნცაძე ირაკლი. (ჟურნ. № 28).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმართველობის წარმომადგენლის არჩევა ჯარში გაწვეულთა მიმღებ კომისიაში.

10/X. ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა მიმღებ კომისიაში თვითმართველობის წარმომადგენელათ არჩეულ იქმნას ივანე საჩინოს ძე მესხი. (ჟურნ. № 28).

---

მომრიგებელ-მოსამართლის არჩევა ნაცვლად ჭყონიასი.

17/XI. საბჭო ფარული კენჭის ყრით ადგენს: არჩეულ იქმნას მომრიგებელ-მოსამართლეთ იოსებ ვასაკოვი (33 თეთრი, არც ერთი შავი). (ჟურნ. № 29).

---

დამატებითი სარეწაო ხარჯის გადამხდელთაგან ერთი წარმომადგენლის არჩევა საზოგადო საკრებულოს სამართველოს წევრათ.

17/XI. დამატებითი სარეწაო ხარჯის საზოგადო სამართველოს წევრათ არჩეულ იქმნას ხმოსანი ადამ ბერელაშვილი. (ჟურნ. № 29).

---

თვითმართველობის რვა წარმომადგენლის არჩევა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სააღმშენებლო მთავარ კომიტეტის წევრებად.

27/XI, ამორჩეულ იქმნას პოლიტეხნიკუმის სააღმშენებლო მთავარ კომიტეტში: ნ. ელიავა, გ. თუმანოვი, ვ. კონიაშვილი, ბ. ჩხიკვიშვილი, ივ. გომართელი, კ. აფხაზი, არ. ჯაჯანაშვილი და დეკანოზი თალაკვაძე. (ჟურნ. № 30).

---

საუბნო გადამსახლებელ ზოგიერთ კომისიის თავმჯდომარის განცხადება თანამდებობიდგან განთავისუფლების შესახებ.

22/XII. მეცხრე უბნის კომისიის თავმჯდომარეთ ნაცვლად გასულის დ. სულიაშვილის არჩეულ იქმნას არჩილ რუხაძე, მეათე უბანში თავმჯდომარის მოადგილეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად გასულის თ. კიკვაძის—გიორგი ბახტაძე. მეექვსე უბნის კომისიის თავმჯდომარის და მისი მოადგილის არჩევის საკითხი ღიათ იქმნას დატოვილი. (ჟურნ. № 32).

---

თავმჯდომარის განცხადება რამდენიმე ხმოსნის საბჭოდამ გასვლის შესახებ სხდომებზედ დაუსწრობლობის გამო.

22/XII. თავმჯდომარის განცხადებას საბჭო იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 32).

---

## რეგლამენტი.

თავმჯდომარის მოხსენება საბჭოს რეგლამენტის შესახებ.

24/II. საბჭოს სხდომებისათვის რეგლამენტის შედგენა მიენდოს საბჭოს პრეზიდიუმს და დაევალოს მას არა უგვიანეს ორი კვირისა წარმოუდგინოს საბჭოს დამზადებული რეგლამენტი განსახილველად და დასამტკიცებლად. (ჟურნ. № 5).

---

თავმჯდომარის მოხსენება საბჭოს სხდომების გაწესრიგების შესახებ.

3/III. დამტკიცებულ იქმნას პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი გაწესრიგება სხდომებისა. (ჟურნ. № 6).

---

საბჭოს რეგლამენტის პროექტის განხილვა.

10/III. ამორჩეულ იქმნას სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალოს წარმოდგენილი რეგლამენტის რედაქციის შესწორება და მომავალ სხდომაზედ საბჭოსთვის წარმოდგენა. კომისიაში საბჭომ აირჩია: ვ. ბურჯანაძე, ივ. გომართელი და არ. ჯაჯანაშვილი. (ჟურნ. № 7).

---

17/III. საბჭოს რეგლამენტის საბოლოო რედაქციის დამტკიცება. (ჟურნ. № 8).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სავალდებულო დადგენილება.

გამგეობის მოხსენება ქალაქის სახალხო სახლის გამგეს მიერ წარმოდგენილი პროექტის სავალდებულო დადგენილების შესახებ.

3/III. სავალდებულო დადგენილებათა პროექტი დამტკიცდეს. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება დროებითი მთავრობის ბინების და სხვა სადგომების კანონ-პროექტის შეცვლის შესახებ.

10/III. თანახმად ქალაქის მოურავის ამხანაგის მოხსენებისა მოხსნილ იქმნას. (ჟურნ. № 7).

---

ქ. თბილისის სამომრიგებელო უბნებად დაყოფა.

10/III. ქ. თბილისის სამომრიგებლო უბნებად დაყოფის საკითხი გადაეცეს იურიდიულ კომისიას და დაევალოს მას შემდეგ კრებისათვის საბჭოს წარმოუდგინოს თავისი აზრი. (ჟურნ. № 7).

---

იურიდიული კომისიის მოხსენება, ქალაქის სამომრიგებლო უბნებად დანაწილების შესახებ.

17/III. ამტკიცებს ქალაქის სამომრიგებელო უბნებად დანაწილების პროექტს უკამათოდ. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება სასაკლაოზე დახოცილ საქონელზე ტარიფის გადიდების შესახებ.

10/IV. ადასტურებს მოხსენებას და ადგენს არსებული ტარიფი სასაკლაოზედ დახოცილ საქონელზედ გადიდებულ იქმნას და დაწესდეს დასახოცი: კამეჩზედ—18 მან., ხარსა და ძროხაზედ—15 მან., წვრილფეხ საქონელზედ—3 მან., ღორზედ—6 მან. 50 კ.; ნაწლების გასარეცხი: მსხვილ საქონელზედ—2 მ., წვრილფეხ საქონელზედ—50 კ.; დასახოც საქონლის სადგომ ალაგისა: მსხვილ საქონელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ—4 მან., წვრილფეხ საქონელზედ—2 მან.; ღორის მიკროსკოპიულ გამორკვევისა—4 მან.; თივის ეზოში ღამის გასათევად დატოვილ საქონელზედ ტარიფი გადიდებულ იქმნას 300% ე. ი. დაწესებულ იქმნას მსხვილ საქონელზედ—1 მან.; ფრეიიბანკში მოხარშული ხორცის ფასი განისაზღვრება ხორცის ნიხრის 30%-ით; სასაკლაოზედ დამზადებული ყინული იყიდებოდეს 8 მან. ფუთი. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელის მოწერამდე. (ჟურნ. № 12).

---

გამგეობის მოხსენება საქონლის დაზღვევის წესების შეცვლის შესახებ.

10/IV. ადასტურებს გამგეობის მოხსენებას სასაკლაოზედ საქონლის დაზღვევის შესახებ უცვლელად პირველიდამ ბოლომდის. (ჟურნ. № 12).

---

გამგეობის მოხსენება სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო დროს განსაზღვრის შესახებ.

7/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ და მიღებულ იქმნას შემდეგი სავალდებულო დადგენილება, შემოღებულ იქმნას შემდეგი წესები ქ. თბილისის სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ:

I. ვაჭრობა როგორც ბითუმი, აგრეთვე ცალობით ყველა საწყობებში, მაღაზიებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში სწარმოებს რვა საათის განმავლობაში: ზაფხულში—დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და ნაშუადღევის 4½ საათიდგან საღამოს 6½ საათამდე. ზამთარში—დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდგან 6 საათამდე.

II. იმ სავაჭრო დაწესებულებებში სადაც ვაჭრობენ მხოლოდ ხორცით, თევზეულით, რძით ან მაწვნით, აგრეთვე სჩაიეში და ყავა-საკანდიტროებში ვაჭრობა სწარმოებს: ზაფხულში—დილის 7 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდგან საღამოს 9 საათამდე. ზამთარში—დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდგან საღამოს 8 საათამდე.

III. სავაჭრო დაწესებულებებში, რომლებიც ვაჭრობენ გასტრონომიით, ხილით და ყვავილებით, როგორც

9119
ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულში აგრეთვე ზამთარში სწარმოებს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 7 საათამდე.

**შენიშვნა**: საჭირო შემთხვევებში იმ სავაჭრო დაწესებულებებში, რომლებშიაც სწარმოებს ვაჭრობა ადვილ წასახდენ პირველ მოთხოვნილების სანოვაგით უფლება აქვთ აწარმოვონ დილის 9 საათიდგან საღამოს 9 საათამდე განუწყვეტლივ იმ პირობით, თუ მომუშავენი შეცვლილ იქნებიან მომუშავეთა მეორე წყებით და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის კანტროლის ქვეშ.

IV. მწვანეულობით მოვაჭრენი ვაჭრობენ: ზაფხულში—დილის 6 საათიდგან საღამოს 4 საათამდე და ზამთარში—დილის 7 საათიდგან საღამოს 5 საათამდე განუწყვეტლივ.

V. წვრილი მოვაჭრენი, რომელნიც დაქირავებულ შრომით არ სარგებლობენ, ვაჭრობენ ზაფხულში საღამოს 9 საათამდე, ზამთარში 8 საათამდე.

VI. მაღაზიების კანტორებში მუშაობა ორი საათით გვიან იწყება და გრძელდება არა მეტი 6 საათისა.

VII. უქმე დღეებში ვაჭრობა ექვემდებარება მთავრობის დეკრეტს, რომლითაც განსაზღვრულია უქმე დღეები.

**შენიშვნა**: კვირა დღეებში, იმ სავაჭრო დაწესებულებებში, რომელნიც ვაჭრობენ პირველ საჭიროების სანოვაგით ვაჭრობა სწარმოებს შუადღის 12 საათამდე და მომუშავეთ ეძლევათ განსაკუთრებული განსამრჯელო $1\frac{1}{2}$ მეტი დღიური ხელფასის ნორმით.

VIII. ჯავაირთ (იუველირები) ნება აქვთ ივაჭრონ, თუ მუშები თანახმანი იქნებიან დილის 8 საათიდგან საღამოს 4 საათამდე განუწყვეტლივ.

IX. რკინეულობის და საღებავ ნივთების მოვაჭრეთ უფლება აქვთ ივაჭრონ, თუ მუშები თანახმანი იქნებიან, დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე განუწყვეტლივ.

X. ყოველგვარი მუშაობა და ვაჭრობა სავაჭრო დაწესებულებებში და მათ კანტორებში შაბათობით თავდება ნაშუადღევის 2 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI. 15 წუთის წინათ, სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობის შეწყვეტამდე შესავალი კარები უნდა იხურებოდეს და კარებზედ იკიდებოდეს პლაკატი წარწერით „დაკეტილია“.

**შენიშვნა:** სავაზრო დაწესებულებათა პატრონები ვალდებულნი არიან მაღაზიების შიგნით გამოსაჩენ ადგილას გამოაკრან პლაკატი, რომელზედაც ნაჩვენები უნდა იყოს ვაჭრობის დაწყების და გათავების საათები, აგრეთვე მოწოდება მოქალაქეთადმი, რომ მათ დახურვის ვადაზედ დასტოვონ მაღაზია.

XII. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს პასუხის გებაში იქმნება მიცემული სასჯელთა დებულების 29 მუხლით. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის მოხსენება კოოპერატივების განცხადების გამო ნიხრზედ ვაჭრობისაგან განთავისუფლების შესახებ.

23/VI. კოოპერატივთა შუამდგომლობა ნიხრზედ ვაჭრობისაგან განთავისუფლების შესახებ უარყოფილ იქმნას და ნიხრის დარღვევისათვის კოოპერატივებზედ აქნობამდის დადებული ჯარიმები მოხსნილ იქმნას. (ჟურნ. № 18).

---

გამგეობის მოხსენება ბინების რეკვიზიციის წესების შეცვლის შესახებ.

21/VIII. ვინაიდან ბინების რეკვიზიციის შესახებ კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრების მორიგ კითხვათ სდგას, ეთხოვოს სათანადო კომისიას დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის საშუალებით, რათა ხსენებული კანონ-პროექტი, რაც შეიძლება, პირველ რიგში იქმნას განხილული, მანამდის კი გამგეობას ნება დაერთოს დღემდი არსებულ წესით იმუშავოს ამ დარგში. (ჟურნ. № 22).

---

ქართულად საქმის წარმოების შესახებ.

22/IX. შემოღებულ იქმნას ქართულ ენაზედ საქმეების წარმოება ქალაქის ყველა დაწესებულებებში 1920 წ. პირველ იანვრიდგან. (ჟურნ. № 23).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი სავალდებულო დადგენილებათა პირველ საჭიროების საქონელზე, სანიტარულ გადასახადის შემოღების გამო, თავისუფლად ფასების მომატების წინააღმდეგ საბრძოლველად.

22/IX. პროექტი სავალდებულო დადგენილებათა პირველ საჭიროების საქონელზედ, სანიტარულ გადასახადის შემოღების გამო, თავისუფლად ფასების მომატების წინააღმდეგ საბრძოლველად, გადაეცეს იურიდიულ კომისიას განსახილველად და დასასკვნელად. (ჟურნ. № 23).

---

ქუჩების და დუქან-მაღაზიების წარწერების ქართულად შეცვლის შესახებ.

22/IX. 1) ქალაქში ყველა საზოგადო სავაჭრო-სამრეწველო და სხვა და სხვა დაწესებულებებზედ მთავარი წარწერანი თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს სახელმწიფო ენაზედ. 2) მეპატრონეთ უფლება ეძლევათ გარდა ხსენებული მთავარი წარწერებისა, რომელიც ქართულ ენაზედ იქმნება, სხვა ენაზედაც იქონიონ მცირედი წარწერანი. 3) ვადა ასეთი წარწერის დამზადებისა და გამოკიდვის დღეიდგან სამი თვე დაინიშნოს. 4) მართლწერის და სტილის დასაცავად მეპატრონე ვალდებულია წარწერის ტექსტი წინდაწინ წარუდგინოს საქართველოს სავაჭრო პალატას, რომელიც შესაფერ ტერმინოლოგიას შეიმუშავებს და დახმარებას გაუწევს მსურველთ უფასოდ. 5) თუ ვინიცობაა მეპატრონეებმა მეოთხე მუხლში მოყვანილი ვალდებულება არ შეასრულეს და ასე დაუკვეთეს სახელოსნოებს წარწერათა დამზადება, მაშინ ხელოსანნი და შემსრულებელნი ასეთი წარწერებისა თვით არიან ვალდებულნი წარუდგინონ სავაჭრო პალატას დასამტკიცებლად წარწერათა ტექსტი. 6) სახლის პატრონები ვალდებულნი არიან არსებული წარწერანი სახლის ფასადზედ და ფარნებზედ სახელმწიფო ენაზედ წარწერით შესცვალონ ამავე ხნის განმავლობაში. 7) ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას არ შეასრულებს პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი სასჯელთა დებულების მე-29 მუხლით. (ჟურნ. № 23).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი სავალდებულო დადგენილებათა პირველ საჭიროების საქონელზე, სანიტარულ გადასახადის შემოღების გამო, თავისუფლად ფასების მომატების წინააღმდეგ საბრძოლველად.

29/IX. რადგან გამგეობის მიერ წარმოდგენილ სანიტარულ გადასახადის შემოღების გამო საქონელზედ თვითნებურად ფასების მომატების წინააღმდეგ საბრძოლველად, სავალდებულო დადგენილებათა პროექტში აღნიშნულ სასჯელს ვერ იტევს არსებული საქალაქო დებულება, დაევალოს ქალაქის მოურავს საჩქაროთ მიიღოს ზომები, რათა კანონმდებლობითი გზით მიეცეს რესპუბლიკის მთავრობას უფლება ნება დართოს ხოლმე ადგილობრივ თვითმართველობაში იმ პირების ადმინისტრატიულ წესით დასჯისა, რომელნიც სანიტარულ გადასახადის მომხმარებლებზედ, საქონლის ფასების აწევის სახით გადატანაში, დამნაშავეთ იქმნებიან ცნობილნი. გამგეობის მიერ წარმოდგენილ სავალდებულო დადგენილებათა პროექტს საბჭო არსებითად განიხილავს ზემოთ ნაჩვენებ უფლების მიღების შემდეგ. (ჟურნ. № 24).

---

დღიური წესრიგის დამტკიცება.

20/X. გამგეობის მოხსენება ქალაქის საჭიროებისათვის და საკუთრებათ ბ. კარლინსკის სახლის იძულებით ჩამორთმევის შესახებ და სადგურის სიახლოვეს ქალაქთა კავშირის საჭიროებისათვის კერძო პირების მიწების იძულებით ჩამორთმევის შესახებ მოიხსნას დღიური წესრიგიდგან ხმოსანთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. გამგეობის მოხსენება ქალაქის სკოლების მმართველობის სასურველ ორგანიზაციის შესახებ სასკოლო კომისიის პროექტით გადაეცეს სასკოლო კომისიას ხელმეორედ განსახილველად და დასასკვნელად. გამგეობის მოხსენება ქალაქის მეორე საავადმყოფოს (ყოფილ ალექსანდრეს სახელობის) გახსნის შესახებ და სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა გადაეცეს სახალხო ჯანსაღობის კომისიას დასასკვნელად. (ჟურნ. № 26).

---

1919 ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის მოურავის მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ზოგიერთ პირთა და ოჯახების გადასახლების ორგანიზაციის შესახებ.

17/XI. თბილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან განთავისუფლების მოსაწყობათ შესდგეს საუბნო კომისიები: პირველ და მეცამეტე უბნისათვის ერთი, მეთერთმეტე და მეთორმეტე უბნისათვის ერთი, დანარჩენი უბნებისათვის თითო კომისია. კომისიაში შევლენ: გადამწყვეტი ხმით ერთი ხმოსანი საბჭოს არჩევით თავმჯდომარეთ, ერთი მომრიგებელ-მოსამართლე მოსამართლეთა კრებულის არჩევით და ერთი პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელი სეკრეტარიატის დასახელებით. ამ კომისიებს დაევალებათ სახლის, ბინის, სასტუმროების, სხვათა პატრონების, მოიჯარადრების და მილიციის მიერ შეგროვილი ცნობების განხილვა და გადაწყვეტა იმის, თუ ვინ არის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების ძალით გადასასახლებელი თბილისიდგან. კომისიის ერთხმივი გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავს მილიციას. თუ რომელიმე წევრი კომისიისა დარჩება განსაკუთრებულის აზრისა, მაშინ ის საქმე, რომლის შესახებ წევრმა განსაკუთრებული აზრი გამოსთქვა წერილობით, გადაეცემა საბოლოვო განსახილველად ცენტრალურ კომისიას. ცენტრალური კომისია შესდგება: სამის ხმოსნისაგან საბჭოს არჩევით და გამგეობის ორი წევრისაგან გამგეობის დასახელებით. საზოგადო ხელმძღვანელობა რჩება ქალაქის გამგეობას. საუბნო კომისიებში არჩეულ იქმნენ ხმოსნები: 1 და 13 უბანში—ზაქარია ჩიჩუა, მე-2—პარტენ კახიანი, მე-3—პარტენ გოთუა, მე-4—იოსებ ირემაშვილი, მე-5—დავით ჩადუნელი, მე-6—ირაკლი რამიშვილი, მე-7—ნიკოლოზ წვერავა, მე-8—არჩილ ჯაჯანაშვილი, მე-8—ვასილ ხახანაშვილი, მე-10—თედორე კიკვაძე და მე-11 და მე-12—ერმილე დიდიძე. ცენტრალურ კომისიაში: დიმიტრი მგელაძე, ირაკლი გუნცაძე და ალექსანდრე მდივანი. (ჟურნ. № 29).

---

ქალაქის მოურავის ამხანაგის ვ. კონიაშვილის ცნობა საუბნო გადამსახლებელ კომისიების მოქმედების შესახებ.

27/XI. მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება საბჭოს მიერ გადადებული ოცდა ხუთი ათასი მანეთი მოახმაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახლების საქმეს და დაევალოს გამგეობას შემოიტანოს ქალაქის საბჭოში ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი ხარჯებისა. საბჭოს ირჩევს: პირველი უბნის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეთ მიხეილ მგალობლიშვილს, მეორე უბანში — თავმჯდომარის მოადგილეთ სოლომონ ვადაჭკორიას, მესამე უბანში — თავმჯდომარის მოადგილეთ დავით კალანდაძეს, მეოთხე უბანში — თავმჯდომარეთ ნაცვლად გასულის ი. ირემაშვილისა — ელეონორა მახვილაძეს და მის მოადგილეთ ბაგრატ მიკირტუმოვს, მეხუთე უბანში — თავმჯდომარეთ ნაცვლად გასულის დავით ჩადუნელისა — ივანე მესხი და მის მოადგილეთ კონსტანტინე სალირაშვილს, მეექვსე უბანში — თავმჯდომარის მოადგილეთ ალექსანდრე ქორქოლიანს, მეშვიდე უბანში — თავმჯდომარეთ ნ. წვერავას მაგიერ გერასიმ შევჩუკს და მის მოადგილეთ ნიკოლოზ მზარეულოვს, მერვე უბანში — თავმჯდომარის მოადგილეთ ალექსანდრე ახმეტელიშვილს, მეცხრე უბანში — თავმჯდომარეთ ნაცვლად გასულის ხახანაშვილისა — დავით სულიაშვილს და მის მოადგილეთ მიხეილ ვეფხვაძეს, მეათე უბანში — თავმჯდომარეთ თ. კიკვაძის მაგიერ მიხეილ კოვალიოვს და მის მოადგილეთ თ. კიკვაძეს და მეთერთმეტე და მეთორმეტე უბნებში თავმჯდომარეთ ერ. დიდიძის ნაცვლად დავით დვალს და მის მოადგილეთ გიორგი სადაგაშვილს. (ჟურნ. № 30).

---

## სასურსათო საკითხი.

ხმოსან გრ. გველესიანის შეკითხვა პურის ფასის გადიდების შესახებ.

12/V. გამგეობის განმარტება გრ. გველესიანის შეკითხვის გამო პურზე ფასის აწევის შესახებ დამაკმაყოფილებელია; დაევალოს გამგეობას მიიღოს ყოველგვარი ზომები პურის შესაძენად და სპეკულიაციასთან საბრძოლველად. მიღებულ იქმნას ზომები, საქართველოდან სიმინდი და პური არ გაიტანონ საზღვარ გარეთ, მჭამელთა რიცხვი თბილისში არ იზრდებოდეს და საქართველოს ფარგლებში ხელოვნური შეზღუდვა სიმინდის და პურის მოტანისა მოისპოს. (ჟურნ. № 14).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურსათო განყოფილების გამგის ცნობა თბილისის სურსათის მომარაგების შესახებ.

29/IX. გამგეობის წევრის კ. ფანიევის მოხსენება და ხმ. გოთუას მიერ გამოთქმულ სურვილ იღებს ცნობად. (ჟურნ. № 24).

---

სასურსათო განყოფილების გამგის გამგეობის წევრის კ. ფანიევის მოხსენება სატარიფო პალატის მიერ დაარსებულ სასურსათო ფონდში ქალაქის მონაწილეობის შესახებ.

27/X. საბჭო გამგეობის წევრის კ. ფანიევის მოხსენებას იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 27)

---

გამგეობის მოხსენება საბინაო და სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად ზოგიერთ საქირო ზომების შესახებ.

10/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიენდოს ქალაქის მოურავს აღძრას შუამდგომლობა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება იმ პირთა გადასახლების ქალაქიდგან, რომლებიც ქალაქთან არაფრით დაკავშირებულნი არ არიან საბინაო და სასურსათო კრიზისის ასაცილებლად. ამ ზომით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად გადაიდოს გამგეობის განკარგულებაში ოცდახუთი ათასი მანეთი, ამ თანხის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 28).

---

გამგეობის მოხსენება სასურსათო ფონდში მონაწილეობის ფორმის შესახებ.

10/XI. მიიღოს ქალაქის თვითმართველობამ მონაწილეობა სასურსათო ფონდში; თვითეულ მოსამსახურეზედ და მუშაზედ გადადებულ იქმნას ათას-ათასი მანეთი; ხვედრი ფული—სულ 4 მილიონი—გადახდილ იქმნას 4 თანაბარ ნაწილად 4 თვის განმავლობაში: 1919 წლის 15 ნოემბერს, 15 დეკემბერს, 1920 წლის 15 იანვარს და 15 თებერვალს. (ჟურნ. № 28).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სამნეო (საინტენდანტო) ნაწილის შესახებ.

27/XI. დაარსებულ იქმნას სამნეო ნაწილი ჯარში გაწვეულ პირთა მომარაგებისათვის ქალაქ თბილისის თვითმართველობასთან. ეს სამნეო ნაწილი, ხარჯების შესამცირებლად, შეუერთდეს თბილისის მაზრის ერობის სამნეო ნაწილსა და საერთო შტატით გაუძღვეს ამ საქმეს—როგორც თბილისის თვითმართველობა, აგრეთვე სამაზრო ერობა, მათ შორის ხარჯების თანასწორათ განაწილებით. გადაიდოს სამნეო ნაწილის შტატის შესანახათ თვეში ქალაქის სალაროდგან 20.346 მან. 95 კ., ხოლო ერთდროულად შენობის შესაკეთებლად 30.526 მან. 50 კ. და აღძრულ იქმნას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ სამნეო ნაწილზედ გაწეული ხარჯები დაფარულ იქმნას სახელმწიფო ხაზინიდგან. (ჟურნ. № 30).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

15/XII. საბჭო გამგეობის წევრის კ. ფანიევის მოხსენებას იღებს ცნობად. (ჟურნ. № 31).

---

## სახალხო სახლი.

გამგეობის მოხსენება ქალაქის ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესასვლელ ბილეთების 100% გადიდების, პარიკმახერის და მის თანაშემწის მოწვევის შესახებ სექციის ხარჯზე.

20/I. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. სახალხო სახლში შესასვლელ ბილეთების ფასი გადიდდეს 100%, პარიკმახერი და მისი თანაშემწე მოწვეულ იქმნან სექციის ხარჯზედ. ჩარიცხულ იქმნან ისინი ქალაქის სამსახურში და ყოველ გვარი ჯამაგირების მომატებები თანასწორ სხვა ქალაქის მოსამსახურეებთან ხდებოდეს იმავე სექციის ხარჯზედ. საჭირო თანხა ამისათვის შეტანილ იქმნას 1919 წლის № 1 ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 2).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება სახალხო სახლის თეატრში შესასვლელ ფასების 150% გადიდების შესახებ.

20/x. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას; სახალხო წარმოდგენები ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში განთავისუფლებულ იქმნან საქალაქო გადასახადისაგან, წარსულ სეზონში სახალხო სახლში არსებული ადგილების ფასი გადიდებულ იქმნას 150%-ით და ამ ფასებს მიემატოს ტანსაცმლის დასაკიდის გადასახადი. (ჟურნ. № 26).

## საჩივრები.

თავმჯდომარეს მოხსენება.

10/II. საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქის თბილისის საბჭოს ახლად არჩეულ ხმოსანთა პირველმა კრებამ 10 თებერვლისა, მოისმინა რა მოხსენება დენიკინის ჯარის საქართველოს ჯარებზე თავდასხმის შესახებ, დაადგინა: დენიკინის ჯარის საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება ნიშნავს შავი რეაქციის გამოლაშქრებას დემოკრატიის და დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ რევოლიუციის ყველა მონაპოვართა მოსასპობათ და დემოკრატიის პოლიტიკურად და ფიზიკურად გასანადგურებლად. საბჭო მოუწოდებს თბილისის მთელ დემოკრატიას განურჩევლად ეროვნებისა შემოკრბენ თავისუფლების დროშის ქვეშ და შავრაზმელთა შემოსევას მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლონ. ამასთანავე საბჭო ითხოვს მთავრობისაგან ერთხელ და სამუდამოთ გამოარკვიოს მოკავშირეთა როლი საქართველოს საზღვრებზე მტერთა შემოსევისა და არეულობის საქმეში, . რომ თბილისმა დროზე გაიგოს ვისთან გვაქვს საქმე და რანაირი დამოკიდებულებაში უნდა ვიყოთ შემოსულ უცხო ძალასთან. (ჟურნ. № 3).

გამგეობის მოხსენება ნინა დანიელიანცის ქალაქის წინააღმდეგ საჩივრის მორიგებით გათავების შესახებ.

3/III. ნინა დანიელიანცის საჩივარი ქალაქის წინააღმდეგ მორიგებით გათავდეს. (ჟურნ. № 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ გარეშე განცხადება.

10/III. საბჭო ღებულობს რიგ გარეშე განცხადებას ხმოსან ი. გომართლისას. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის წინაალმდეგ იაგორ არუთინოვის მიერ აღძრულ სამოქალაქო საჩივრის მორიგებით გათავების შესახებ.

22/V. ქალაქის გამგეობის მოხსენება იაგორ არუთინოვის მიერ გამგეობის წინაალმდეგ აღძრულ სამოქალაქო საჩივრის შესახებ დადასტურებულ იქმნას და მიეცეს იაგორ არუთინოვს ოცდა ექვსი ათას ორას ოცდა ექვსი მანეთი და ხუთი შაური. ქალაქის ფინანსიურ გაჭირვების გამო ეს თანხა მიეცეს არუთინოვს რამდენიმე ვადაზედ. ვადების განსაზღვრა და თანხის განაწილება მიენდოს ქალაქის გამგეობას. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელის მოწერამდე. (ჟურნ. № 15).

---

გამგეობის მოხსენება არჯევანიძის ქვრივის საჩივრის გამო ცაგვერის სკოლაზედ გაწეულ ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

23/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და არჯევანიძის ქვრივს ცაგვერის სკოლაზედ 1918 წელში გაწეულ ხარჯების ანაზღაურებაზედ უარი ეთქვას. (ჟურნ. № 18).

---

საჩივარი მე-7 კომისარიატის ყოფილ კომისრის იზ. გოგოლაშვილის უკანონოთ დათხოვნის შესახებ.

14/VII. ეცნობოს პროკურორს, რომ ყოფილ კომისარის გოგოლაშვილის საჩივარი უსაფუძვლოა. (ჟურნ. № 19).

---

ქალაქის სასაკლაოს ყოფილ ბუჰგალტერის ა. ვ. თუმანიანცის საჩივარი გამგეობაზედ, სალიკვიდაციო დახმარების მიუცემლად დათხოვნის გამო.

15/XII. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. სასაკლაოს ყოფილ ბუჰგალტერის ა. ვ. თუმანიანცის საჩივარი უშედეგოთ იქმნას დატოვებული. (ჟურნ. № 31).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ე ს ხ ი.

გამგეობის ცნობა ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

17/II. სადღეისო წესრიგიდგან მოიხსნას მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, დაისტამბოს იგი და დაურიგდეს ხმოსნებს შემდეგი სხდომის უწყებებთან ერთად. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება მოკლე ვადიან მილიონნახევარი მანეთის სესხათ აღების შესახებ.

3/III. მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება მოკლე ვადით ისესხოს ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებებში ერთი მილიონი ხუთასი ათასი მანეთი ორხელ მოწერით სამთვიან თამასუქებით, ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს დადგენილება საბჭოსი სისრულეში იქმნას მოყვანილი საბჭოს ჟურნალის ხმოსნების მიერ ხელის მოწერით დამტკიცებამდე. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ადგილობრივ ბანკებიდან აღებულ სესხზედ გაზრდილ %%-ის თამასუქების მიცემით დაფარვის შესახებ.

10/III. ის თანხა, რომელიც შესდგა %%-დან სესხად აღებულ ფულზე და დღემდის გადუხდელია ქალაქისაგან, თამასუქების მიცემით დაიფაროს. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება სესხის აღების საჭიროების შესახებ.

22/V. გამგეობის მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის და სესხის აღების შესახებ განხილულ იქმნას სამშაბათს 27 მაისს. (ჟურნ. № 15).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის და სესხის აღების შესახებ.

27/V. ქალაქის გამგეობის მოხსენება ათი მილიონი მანეთის მთავრობისაგან სესხად აღების შესახებ დადასტურებულ იქმნას და დაევალოს ქალაქის გამგეობას ეხლავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ამ სესხის საჩქაროდ მიღებაზედ სახელმწიფო ხაზინიდგან. რაც შეეხება ქალაქის საერთო ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ვინაიდგან ასეთ მცირე სესხს არ შეუძლია ქალაქის კრიტიკულ მდგომარეობის არსებითად შეცვლა, ამასთანავე გამგეობა მოკლებულია, უსახსრობის გამო საშუალებას, ფართე შემოქმედებით მუშაობას მოჰკიდოს ხელი, მაშინ როდესაც ქალაქს დიდი და ძვირფასი ქონება მოეპოვება და ქონების უზრუნველყოფით შეუძლია დიდი სესხის აღება, რომელიც საშუალებას მისცემს გაისტუმროს ყველა ძველი ვალი (უკანასკნელი ათი მილიონის დამატებით) და ფართე მუშაობა დაიწყოს, მიენდოს ქალაქის გამგეობას, საფინანსო კომისიასთან ერთად, შეიმუშაოს დასაბუთებული მოხსენება, ყველა შესაძლებლობის აღნუსხვით და საჩქაროდ შემოიტანოს საბჭოში განსახილველად. ამ მოხსენების შედგენის დროს გამგეობამ იქონიოს მხედველობაში ხანგრძლივი სესხის აღება ქალაქის უძრავი ქონების უზრუნველყოფით. მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება ათ მილიონ სესხის ანგარიშში ივალოს კერძო ბანკებიდგან, მოკლე ვადით, ხუთასი ათასი მანეთი. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი დღეიდგანვე. (ჟურნ. № 16).

---

გამგეობის მოხსენება ათ მილიონ მანეთის მთავრობისაგან სესხად აღების შესახებ ქალაქის მიწის გირავნობის ქვეშ.

7/VII. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ქალაქის გამგეობას ათი მილიონი მანეთის მთავრობისაგან სესხად აღების უფლება ავლაბრის მინდვრის ისეთ ნაწილის დაგირავებით, რომლის ღირებულება, დღევანდლის პირობების მიხედვით, უდრის ათ მილიონ მანეთს, მიწის ნაჭრის შეფასება მიენდოს ქალაქის გამგეობას. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელის მოწერამდე. (ჟურნ. № 17).

---

გამგეობის წარმომადგენლების არჩევა სამ მილიონიან სესხის სატირაჟო კომისიაში.

14/VII. ქალაქის სამ მილიონიან სესხის სატირაჟო კომისიაში არჩეულ იქმნან ხმოსნები: დავით ჩადუნელი და ნიკოლოზ წვერავა. (ჟურნ. № 19).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ერთ მილიონ მანეთის მოკლე ვადით სესხათ აღების შესახებ.

13/x. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და გამგეობის მიერ ვალად აღებული ერთი მილიონი მანეთი გადახდილ იქმნას ერთდროულ გადასახადის შემოსავლიდგან. (ჟურნ. № 25).

## ტრამვაი.

გამგეობის მოხსენება ტრამვაის ტარიფის გადიდების შესახებ.

24/II. ტრამვაის ტარიფი მიმდინარე წლის პირველ მარტიდგან გადიდებულ იქმნას: დიდუბის და ნაძალადევის გზებზედ ექვსი შაურიდგან ათ შაურამდე, ერთს სადგურზედ; ცხრა შაურიდგან მანეთამდე, ორს სადგურზედ თხუთმეტი შაურიდგან მანეთ-ნახევრამდე. მოწაფეთათვის შემოღებულ იქმნას შეღავათიანი ტარიფი. ტარიფის განსაზღვრა მიენდოს ქალაქის გამგეობას. (ჟურნ. № 5).

## ქალაქის მიწები, სახლები, ქუჩები და სხვა ქონება.

გამგეობის მოხსენება სადერციკო სახელოსნოს და მისი ფუნქციების შესახებ.

17/II. გამგეობის მოხსენება ქალაქის სადერციკო სახელოსნოს შესახებ გადაეცეს სამეურნეო კომისიას განსახილველად. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება მელიქ-ბეგლაროვის ყოფილ მამულის № 875 (მე-7 უბანში) გამორიცხვის შესახებ იმ მამულებიდგან, რომლებზედაც გაწერილია საქალაქო გადასახადი.

3/III. მე-7 უბანში არსებული მამულები № 875 და 1657 გამოირიცხოს იმ მამულებთა სიიდან, რომლებზედაც გაწერილია საქალაქო გადასახადი, რადგანაც ქონება № 875 ქალაქის საკუთრებაში გადავიდა, № 1657 კი როგორც ქალაქის საკუთრება. (ჟურნ. № 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ერევნის მოედანზედ კიოსკის საიჯაროთ გადაცემის შესახებ.

3/III. შეჯიბრება დამტკიცებულ იქმნას. კიოსკი ერევნის მოედანზედ მიეცეს იჯარით ოვაკიმ გაბრიელის ძე სარდარიანცს, რომელმაც შეჯიბრებაზედ უდიდესი თანხა შეაძლია (15.600 მან. წელიწადში). (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის კიოსკის მოიჯარადრის (ვერის ხიდთან—მე-10 უბანში) ხოსროვ კირაკოსიანცის თხოვნის შესახებ, რომლითაც ის თავის საიჯარადრო უფლებას უთმობს პეტრე ზაგოსკინს.

3/III. მე-10 უბანში ვერის ხიდთან არსებული კიოსკი, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული ხოსროვ კირაკოსიანცს 600 მან. თვეში, გადაეცეს პეტრე ზაგოსკინს იმ პირობით, რომ სამი თვის ქირა მისგან წინდაწინვე იქმნას გადახდილი. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის სახლის (ბელგიის ქუჩა № 27) მოიჯარადრე სტეფანე არუთინოვისაგან ჩამორთმევის და ქალაქის გამგეობაში გადაცემის შესახებ.

3/III. სტეფანე არუთინოვს სახლის იჯარით გაცემის ხელშეკრულობის განახლებაში უარი გამოეცხადოს და სახლი გამგეობამ თავის განკარგულებაში მიიღოს. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება მიწის-მზომელ განყოფილების შესახებ.

10/III. თანახმად გამგეობის თხოვნისა მოხსნილ იქმნა. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება ქ. თბილისის უძრავი ქონებათა სიიდან ყორგანოვის, პაპიანცის და მაიერის ქონების გამორიცხვის შესახებ.

10/III. საკითხები №№ 33, 34 და 35 გადაეცეს საადგილ-მამულო კომისიას. (ჟურნ. № 7).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ქალაქის მიწის ნაჭრის რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ პროფესიანალურ კავშირისათვის გადაცემის შესახებ მუშათა კლუბისათვის.

28/IV. ქალაქის მოურავის წინადადებით დღის წესრიგიდან მოიხსნა. (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის მიწის ნაჭერის რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ პროფესიანალურ კავშირისათვის გადაცემის შესახებ მუშათა კლუბისათვის.

12/V. გადაეცეს რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიანალურ კავშირს ქალაქის ორი მომიჯნავე მიწის ნაჭერი, ზომით 3.040 ოთხკუთხი საჟენი, ჩერქეზიშვილის და ცეხოვოის ქუჩების კუთხეში უფასოთ, დროებით განკარგულებაში. გამგეობის მიერ წარმოდგენილი პირობები გადაცემისა დამტკიცებულ იქმნას უცვლელად. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელის მოწერამდე. (ჟურნ. № 14).

---

გამგეობის მოხსენება თბილისში არსებულ მინერალურ აბანოების იჯარით აღების შესახებ.

12/V. დაევალოს ქალაქის გამგეობას მიიღოს ზომები: 1. რომ გადაეცეს ქალაქის თვითმმართველობას ყველა მინერალური აბანოები თბილისში, 2. მიეცეს გამგეობას უფლება თვითმართველობის და სამინისტროს წარმომადგენელთაგან შერეულ კომისიის წევრების არჩევისა, აბანოების იჯარით აღების პირობების შესამუშავებლად და 3. მიეცეს გამგეობას უფლება შემდეგში საბჭოს სახელით აწარმოვოს მოლაპარაკება მთავრობასთან აბანოების იჯარით აღების შესახებ. (ჟურნ. № 14).

---

ქუჩების და დაწესებულების სახელწოდების შემცვლელი კომისიის დადგენილება, გამგეობის დასკვნით.

23/VI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ეწოდოს: ერევნის მოედანს — თავისუფლების მოედანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლოვინის პროსპექტს—რუსთაველის პროსპექტი, სასახლის ქუჩას—„დამფუძნებელ კრების" ქ., სოლოლაკის ქუჩას—26 მაისის ქ., ოლღას ქუჩას—აკაკის ქ., ანდრეევის ქუჩას—ილიას ქ., ელისაბედის ქუჩას—ნ. ბარათაშვილის ქ., ბარიატინსკის ქუჩას—ნინოშვილის ქ., ალექსანდრეს ბაღს—ნინოშვილის ბაღი, ალექსანდრეს საავადმყოფოს—ქალაქის მე-2 საავადმყოფო, „ბოლნიჩნი გოროდოკ"—ქალაქის 1-ლი საავადმყოფო. (ჟურნ. № 18).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქში აგრარულ რეფორმის განხორციელების ფორმის შესახებ.

23/VI. მოხსენება აგრარულ რეფორმის ქალაქებში განხორციელების ფორმის შესახებ დასტამბული დაეგზავნოს ხმოსნებს რამდენიმე დღით ადრე მის განხილვამდე. (ჟურნ. № 18).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქებში აგრარულ რეფორმის განხორციელების ფორმის შესახებ.

14/VII. გამგეობის მოხსენება ქალაქებში აგრარულ რეფორმის განხორციელების ფორმის შესახებ გადადებულ იქმნას შემდეგ სხდომისათვის და დაევალოს გამგეობას მოხსენება ამ საკითხის შესახებ დასტამბული დაეგზავნოს ხმოსნებს რამდენიმე დღით ადრე მის განხილვამდე. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება სახლის პატრონების მიერ დაკავებულ ქუჩების ნაწილზედ არსებულ ნიხრის გადიდების შესახებ.

22/IX. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და არსებული ნიხრი სახლის პატრონების მიერ დაკავებულ ქუჩების ნაწილზედ გადიდებულ იქმნას ათჯერ. (ჟურნ. № 23).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის და კომისიის პროექტი ზოგიერთ ქუჩების სახელწოდების შეცვლისა.

13/X. გამგეობის და კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი 298 ქუჩის სახელწოდების შეცვლისა დამტკიცებულ იქმნას. (ჟურნ. № 25).

---

გამგეობის მოხსენება მილიციის სამმართველოების საჭიროებისათვის მოსე პივოვაროვის, გრიგოლ ენჩმენის, აბრამ, ევსეი და ბორის მეერის ძე კარ-კარლინსკების და მაქსიმე სლეპუას მამულის იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

27/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ქალაქის საერთო მილიციის და სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოების საჭიროებისათვის იძულებით ჩამორთმეულ იქმნას, საქართველოს დამფუძნებელ კრების მიერ მიმდინარე წლის 11 ივლისს გამოცემულ კანონის ძალით, ალექსანდრე გრიგორის ძე აივაზოვის ყოფილი მამული, მდებარე საპიორის ქუჩაზედ მე-2 სამილიციო ნაწილში, რომელიც ამ ჟამათ ეკუთვნის მოშე პივოვაროვს, გრიგოლ ენჩმენს, აბრამ, ევსეი და ბორის მეერის ძე კარლინსკებს და მაქსიმე სლეპუას მიწა, ზომით ოთხას ოთხმოცდა ათი ოთხკუთხი საჟენი ხუთ სართულიანი სახლით, რომელიც იმყოფება შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით—საპიორის შესახვევი, დასავლეთით—არტემ აივაზოვის მიწა და შენობა, ჩრდილოეთით — ბეზამიანი — აწინდელი იტალიის შესახვევი, ხოლო სამხრეთით—პორუჩიკ მიტროფანოვის მამული. აღნიშნულ მამულში საფასური მიეცეს სამას სამოცდა თვრამეტი ათას სამას ოცდა ცამეტი მანეთი (378.333) მანეთი, ორი თვის განმავლობაში. ეს დადგენილება წარედგინოს შინაგან საქმეთა მინისტრს ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდე. (ჟურნ. № 27).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის სადგურის სიახლოვეს ქალაქთა კავშირის საჭიროებისათვის კერძო პირების მიწების დროებით იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

27/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის საჭიროები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის ერთი წლის ვადით იძულებით ჩამოერთვას 1142
ოთხუთხი საჟენი მიწა მე-12 უბანში, შემდეგ მესაკუთ-
რეთ: 552 ოთხკუთხი საჟენი თადეოზ სვიმონის ძე კოლ-
მანოვს, გადასახადთა წიგნში აღნიშნული 84 ნომრით,
არუთინოვს № 85, არ. რჩეულოვს № 86, ვასილ ერმა-
კოვს № 87 და მიხეილ მეტოვსკის № 88, უკანასკნელ
ოთხს სულ 620 ოთხკუთხი საჟენი. (ჟურნ. № 27).

---

გამგეობის მოხსენება იჯარით აღებულ აბანოე-
ბის წარმოების შესახებ.

27/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას.
აიღოს გამგეობამ მიწათმოქმედების სამინისტროსაგან
იჯარით თერთმეტი აბანო. აქედან 5 გაეცეს იჯარით
კერძო პირებს, ხოლო დანარჩენი ექვსი: ბებუთოვისეული,
შალამოვისეული, სუმბათოვისეული, არღუტინსკი-ხერხეუ-
ლიძეული, წოვიანოვისეული და ფანტაზია ქალაქმა თვით
აწარმოვოს. აბანოების ექსპლოატაციისთვის და რემონ-
ტისათვის გადადებული იქმნას ერთი მილიონი ხუთას სა-
მოცდა ცამეტი ათას ოთხას სამოცდა თოთხმეტი მანეთი
(1.573.474 მ.) შემოღებულ იქმნას შემდეგი გადასახადი
თითო ბანებაში: საერთო განყოფილებაში დიდებისათვის
5 მანეთი ბავშვებისათვის 3 მანეთი; ზეწარის გადასახადი
6 მანეთი; ტარო-ტალახზე 10 მანეთი; ნომრებში საათში
დაწესდეს: აბანო № 1-ში: №№ 1, 2, 3, 5, 5 და 7 ოც-
ოცი მანეთი, № 4 16 მან. აბანო № 2-ში: №№ 1, 2, 3,
4, 5 და 6 თექვსმეტ-თექვსმეტი მანეთი, აბანო № 3-ში:
№ 1—20 მან. და № 2—16 მან., აბანო № 4-ში: ექვსივე
ნომერში თექვსმეტ-თექვსმეტი მანეთი, აბანო № 5-ში:
№ 1—16 მანეთი, მე-2 და 4-ში თორმეტ-თორმეტი მან.
და აბანო № 6-ში: ოთხივე ნომერში თექვსმეტ-თექვსმეტი
მანეთი. აბანოების სარგებლობიდგან შემოსული თანხა
მოხმარდეს თვით აბანოებს, ხოლო რემონტით გამოწვეუ-
ლი ხარჯები აბანოების შემოსავლიდან დაუფარავი ნაწი-
ლი ას ორმოცდა ხუთი ათას ორას სამოცდა ორი
(145.262) მანეთი დაფარულ იქმნას 1920 წელში აბანოე-
ბის შემოსავლიდგან. (ჟურნ. № 31).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეკითხვები.

შეკითხვები: ა) ხმოსანთა ახალ არჩევნების რეგისტრაციის უვარგისობის და ბ) 5 იანვარს მილიციის მიერ მოქალაქეთა დატუსაღების უკანონობის შესახებ.

13/I. საბჭო ამ შეკითხვებზე წარმოდგენილ სამ სხვა და სხვა რეზოლიუციას არც ერთს არ ღებულობს. (ჟურნ. № 1).

---

შეკითხვა ხმ. არშაკ ზურაბოვისა.

17/II. დაევალოს ქალაქის გამგეობას, რომ წყალსადენზედ დათხოვნილი მუშების სხვა ადგილებზე დაყენებაზედ იზრუნოს; მიენდოს გამგეობას გამოიძიოს და შეამოწმოს ცნობები მილიციის უკანონო მოქმედების შესახებ მუშების ბინიდგან დათხოვნის დროს და თუ დამტკიცდება მათი ბოროტმოქმედება ეცნობოს მთავრობას მათ წინაალმდეგ ზომების მისაღებად. (ჟურნ. № 4).

---

საქართველოს ეროვნულ პარტიის მთავარ კომიტეტის განცხადება.

31/III. განცხადებას საბჭო ღებულობს ცნობად. (ჟურნ. № 11).

---

ხმ. არ. ზურაბოვის შეკითხვა ქალაქის სამსახურიდგან დათხოვნილ მოსამსახურეების შესახებ.

28/IV. ხმოსან ზურაბოვის შეკითხვა არსებითად განხილულ იქმნას საბჭოს ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზედ. (ჟურნ. № 13).

---

ხმოსან ზურაბოვის შეკითხვა ქართულ ეროვნულ დროშების შეძენის შესახებ გამგეობის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების უკანონობაზედ.

27/V. ხმოსან ზურაბოვის შეკითხვები განხილულ იქმნას საბჭოს მახლობელ მორიგ სხდომაზედ. (ჟურნ. № 16).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება ხმოსან არშაკ ზურაბოვის შეკითხვაზედ გაფიცვის გამო დათხოვნილ მოსამსახურეების შესახებ.

7/VI. მოისმინა რა ხმოსან ზურაბოვის შეკითხვა ქალაქის ზოგიერთ მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ და ქალაქის მოურავის განმარტება, საბჭო კმაყოფილდება ამ განმარტებით, აღიარებს შეკითხვის სრულ უსაფუძვლობას და გადადის მორიგ საკითხზედ. (ჟურნ. № 17).

---

ხმ. არშაკ ზურაბოვის შეკითხვები

23/VI. ხმოსან ზურაბოვის შეკითხვები განხილულ იქმნას ავტორის თანადასწრებით. (ჟურნ. № 18).

---

ხმ. ბურჯანაძის განცხადება.

4/VIII. ხმ. ბურჯანაძის განცხადებას საბჭო იღებს ცნობათ. (ჟურნ. № 20).

---

შეკითხვა ხმოსან მზარეულოვისა.

4/VIII. რადგანაც შეკითხვის ავტორი აქ არ არის გადაიდოს საკითხი და განხილულ იქმნას მისი თანადასწრობით. (ჟურნ. № 20).

---

სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატთა საბჭოს განცხადება.

21/VIII. სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატთა შუამდგომლობა დატოვებულ იქმნას უშედეგოთ (ჟურნ. № 22).

---

ხმოსან მზარეულოვის განცხადება.

21/VIII. ქალაქის მოურავის განმარტება ხმ. მზარეულოვის შეკითხვის გამო დაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. (ჟურნ. № 22).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმოსან მზარეულოვის შეკითხვა საცხოვრებელ ბინების რეკვიზიციის შესახებ.

29/IX. ქალაქის მოურავის განცხადება, ხმოსან მზარეულოვის შეკითხვაზედ, ბინების რეკვიზიციების შესახებ, დამაკმაყოფილებლად იქმნას ცნობილი და გადადის მორიგ საკითხზედ. (ჟურნ. № 24).

---

ხმოსან დ. ვაჩნაძის შეკითხვა.

13/XII. საბჭო დ. ვაჩნაძის განცხადებას ცნობად იღებს. (ჟურნ. № 31).

---

## ხარჯთ აღრიცხვა.

გამგეობის მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

3/III. გამგეობის მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას განსახილველად. (ჟურნ. № 6).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის ლომბარდის რევიზიის შესახებ.

10/III. ლომბარდის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდეს და თანახმად გამგეობის შუამდგომლობისა ჯამაგირები მოემატოსთ შემდეგ საპასუხისმგებლო პირთ: ლომბარდის გამგეს—9.000 მან. წელიწადში, მთავარ ბუჰგალტერს—7.200 მან. ამასთან გამგის ჯამაგირი, როგორც ამორჩეულ პირის უცვლელად უნდა ითვლებოდეს, მთავარი ბუჰგალტერს კი ყოველივე სამხედრო მომატებით. (ჟურნ. № 7).

---

გამგეობის მოხსენება თბილისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მიერ 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

10/III. გამგეობის მოხსენება თბილისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მიერ 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ დამტკიცებულ იქმნას. (ჟურნ. № 7).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში დამატებით ხარჯების შეტანის შესახებ, რომელიც გამოწვეული იყო მწვავე კრიზისით წყლის უქონლობის გამო.

17/III. გამგეობის მიერ წარმოდგენილი მოხსენება დამტკიცდეს და გადადებულ იქმნას წყლის უქონლობით გამოწვეულ ხარჯების შესავსებად სულ ას ოცდა შვიდი ათას სამას ოთხმოცდა ერთი მანეთი. ამ თანხის 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოში 150 საწოლის შესანახათ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

28/IV. გადაიდოს სამას სამოცდა შვიდი ათას ექვსას ოცდა თვრამეტი (367.638) მანეთი და სამი შაური ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოში 150 საწოლის შესანახად პარტახტიან სახადის ავადმყოფთათვის მიმდინარე წლის 1 მარტიდგან 1 იანვრამდე. აქ ნაჩვენები თანხა შეტანილ იქმნას 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის მოხსენება საადრესო მაგიდის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

22/V. გამგეობის მოხსენება საადრესო მაგიდის ხარჯთ-აღრიცხვაზედ გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას წინასწარ განსახილველად. (ჟურნ. № 15).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის სადეზინფექციო კამერის დამატებითი შტატის შენახვის შესახებ.

14/VII. სადეზინფექციო კამერის დამატებით შტატის შესანახად გამგეობის მიერ გაწეული ხარჯები მიმდინარე 1919 წლის პირველ იანვრიდგან პირველ ივნისამდე დამტკიცებულ იქმნას. ამ შტატიდგან ქალაქის სამსახურში დროებით დატოვებულ იქმნან ივნისიდგან: ორი სანიტარი, ერთი მეეზოვე, ერთი შოფერი და ერთი მემანქანე. (ჟურნ. № 19).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება 20 თებერვალს ა. წ. ზუბალაშვილის თავშესაფარში მოტაცებულ 5.652 მან. 47 კ. აღდგენის შესახებ.

14/VII. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ქალაქის სალაროდგან ზუბალაშვილის სახელობის ღარიბთა თავშესაფარის გამგეს ივ. კედროვს ხუთი ათას ექვსას ორმოცდა თორმეტი მანეთი და ორმოცდა შვიდი კაპ. (5.652 მ. 47 კ.), რომელიც წაართვეს მას ბოროტმომქმედებმა მიმდინარე წლის 20 თებერვალს და ეს თანხა გადარიცხულ იქმნას ქალაქის მოულოდნელ ზარალში. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით გამოწვეულ ხარჯების შესახებ.

29/IX. თანახმად იუსტიციის სამინისტროს მოწერილობისა შესდგეს ქალაქის მცხოვრებთაგან ნაფიც მსაჯულთა სია; გადაიდოს ამ სიების შედგენით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად ორი ათას ორმოცდა შვიდი თუმანი და ხუთი მანეთი (20.475 მ.) და ეს თანხა შეტანილ იქმნას 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში. (ჟურნ. № 24).

---

1918 წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

13/X. გამგეობის მიერ წარმოდგენილი 1918 წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ექვსი მილიონ რვაას თორმეტი ათას ოთხას თოთხმეტი მანეთი და 32 კ. შემოსავლით და აგრეთვე გასავლით დამტკიცებულ იქმნას. (ჟურნ. № 25).

---

## წყალსადენი.

გამგეობის მოხსენება წყლის ტარიფის გადიდების შესახებ.

10/IV. მოხსენება წყლის ტარიფის გადიდების შესახებ გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას განსახილველად. (ჟურნ. № 12).

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება წყლის ტარიფის გადიდების შესახებ.

28/IV. წყლის ტარიფის შესახებ გამგეობის მოხსენებას ადასტურებს და ადგენს დაწესდეს მიმდინარე წლის 1 მაისიდგან ერთი ვედრო წყლის ფასი ერთი შაური. ამასთანავე ერთად გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში გამგეობამ წარმოუდგინოს საბჭოს მოხსენება წყლის საფასურის სამართლიან განაწილების შესახებ მომხმარებელთა შორის. (ჟურნ. № 13).

---

გამგეობის მოხსენება წყალზედ გადიდებულ ტარიფის მომხმარებელთა შორის განაწილების შესახებ.

22/V. საბჭო ადასტურებს გამგეობის მოხსენებას და ადგენს მიღებულ იქმნას შემდეგი სავალდებულო დადგენილება:

1. სახლის პატრონებს უფლება აქვთ წყლის ძველს და ახალს ტარიფის შორის განსხვავება გაანაწილონ მდგმურებს შორის სახლის ქირის მიხედვით პროპორციანალურად, რაიც საბინაო კომიტეტების საშუალებით უნდა მოხდეს.

შენიშვნა: ა) თუ რომელიმე სახლში ბინის კომიტეტი არ არის, იქ უნდა შესდგეს სახლის ყველა მდგმურების მიერ ამორჩეული კომისია, რომელმაც უნდა შეასრულოს ამ შემთხვევაში ხსენებულ კომიტეტის მაგიერობა.

შენიშვნა: ბ) სახლის პატრონი, თუ იგივე სცხოვრობს იმავე სახლში, ითვლება მდგმურად.

2. მდგმურებსაც ნება აქვთ მომატებული ხარჯი გაუნაწილონ იმ პირებს, რომლებისათვის თავისი მხრივ ოთახები მიუქირავებიათ.

3. წყლის ანგარიში სახლის პატრონებსა და მდგმურებს შორის გასწორდეს ხოლმე ყოველ თვის გასულს, წყლის ფასის განაწილება იწყება ახალი ტარიფის შემოღების დღიდგან, ე. ი. 1919 წ. 1 მაისიდგან.

4. ყოველი თვის დასაწყისში საბინო კომიტეტში მოვალენი არიან შეადგინონ ოქმები, რომელშიაც შეტანილ უნდა იყოს წყალსაზომის ჩვენება, საათი და წუთი ოქმის შედგენისა.

5. სახლის პატრონებს ევალებათ ყური უგდონ წყალსადენსა და წყალსაზომებსა. თუ დაზიანდა რომელიმე მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განი, მდგმურის განცხადებისთანავე (საბინაო კომიტეტის შუამავლობით) დაუყოვნებლივ უნდა შეაკეთოს სახლის პატრონმა. საბინაო კომიტეტი ამისთანა შემთხვევაში, რწმუნდება რა შეკეთების საჭიროებაში, ადგენს ოქმს. თუ სახლის პატრონმა დაუყოვნებლივ არ შეაკეთა დაზიანებული წყალსადენი ან წყალსაზომი, იმ მდგმურებისაგან, რომლის ბინაზედაც დაზიანება მოხდა, ველარ მიიღებს ზედმეტ გადასახადს, საბინაო კომიტეტი კი დაუყოვნებლივ შეუდგება დაზიანებულ წყალსადენ ან წყალსაზომის შეკეთებას სახლის პატრონის ხარჯზედ.

6. თუ საბინაო კომიტეტი არ აასრულებს თავის მოვალეობას, სახლის პატრონს ნება ეძლევა რომელიმე მდგმურისა, ან მეზობელ საბინაო კომიტეტის ერთ-ერთი წევრის შემწეობით აასრულოს ის დავალებანი, რომლებიც ნაჩვენებია ამ წესებში. (ჟურნ. № 15).

---

გამგეობის მოხსენება ახალ წყალსადენის გამოყვანის შესახებ.

21/VIII. გამგეობის მოხსენება ახალ წყალსადენის გაყვანაზედ დადასტურებულ იქმნას. ახალი წყალსადენის გაყვანა ცნობილი იქმნას აუცილებელ საჭიროებად. წყალსადენი გამოყვანილ იქმნას არაგვის ხეობიდგან, ამიტომ გამოკვლეული იქმნას როგორც ნატახტარის და ბოლაჩაურის წყაროები, აგრეთვე ჟინვალის. ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროების გამოსაკვლევათ გადაიდოს გამგეობის მოხსენების თანახმათ შვიდასი ათასი მანეთი, ხოლო ჟინვალის წყაროების გამოსაკვლევად საჭირო ხარჯების რაოდენობის გამოკვლევა და შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენა დაევალოს ქალაქის გამგეობას. ყველა აქ ნაჩვენები წყაროების და წყალსადენის მიმართულების გამოკვლევა სწარმოებდეს აჩქარებულის ტემპით და ერთდროულად, გამოკვლევის დამთავრება სასურველია ოთხ თვეში. (ჟურნ. № 22).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯამაგირები.

გამგეობის მოხსენება თანახმად ტრამვაის მოსამსახურეთა თხოვნისა მე-7 მომატების შესახებ.

20/I. გამგეობის მოხსენება მოსამსახურეთა მეშვიდე მომატების შესახებ გადაიდოს ახალ საბჭოს არჩევამდე, ეხლა კი ხელ მოკლე მოსამსახურეთ ავანსის სახით მიეცესთ დახმარება, რამდენადაც ეს ქალაქის სალაროსათვის მოსახერხები იქნება. (ჟურნ. № 2).

---

ქალაქის მოურავის მოხსენება ხმოსანთა გასამრჯელოს შესახებ.

10/II. მიეცეს ხმოსნებს გასამრჯელოში ტრამვაის უფასო ბილეთები. (ჟურნ. № 3).

---

პრეზიდიუმის წევრთა ჯამაგირი.

10/II. დაენიშნოს საბჭოს თავმჯდომარეს თვიურათ ათასი მანეთი მის სხვა შემოსავლის მიუხედავათ; მდივანს—ორი ათასი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგს მიეცეს თავმჯდომარის ჯამაგირი იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე რაიმე მიზეზის გამო ხანგრძლივ ჩამოშორდება მოვალეობის შესრულებას. (ჟურნ. № 3).

---

ქალაქის მოურავის და გამგეობის წევრების ჯამაგირები.

17/II. დაენიშნოს ქალაქის მოურავს ორი ათას ორას ორმოცდა ათი მანეთი თვიურად, გამგეობის წევრებს თითოს ორი ათასი თვიურად. (ჟურნ. № 4).

---

გამგეობის მოხსენება მოსამსახურეთა ჯამაგირების მე-7 მომატების შესახებ.

17/III. მე-7 მომატება სიძვირის გამო დაწესებულ იქნას 1 იანვრიდან, ყველა მოსამსახურებისათვის თანაბარი, თვითეულს 250 მან. თვეში, მოსამსახურე ბავშვებს—

ეროვნული ბიბლიოთეკა

125 მან· საკითხი პურის მომატების მე-6 სამხედრო მომატებად გადაქცევის შესახებ და სპეციალისტ (კვალიფიციური) მუშების ჯამაგირის მომატების შესახებ გადადებულ იქმნას პასუხსაგებ თანამდებობათა ჯამაგირების განხილვამდე. (ჟურნ. № 8).

---

გამგეობის მოხსენება დახელოვნებულ მუშების ჯამაგირების მომატების შესახებ.

12/V. გამგეობის მოხსენება დახელოვნებულ მუშების ჯამაგირების მომატების შესახებ დადასტურებულ იქმნას და მიემატოთ 1919 წ. 1 იანვრიდგან დახელოვნებულ მუშების პირველ კატეგორიას ორასი (200) მანეთი თვეში, ხოლო მეორე კატეგორიას ას ორმოცდა ათი (150) მანეთი. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელის მოწერამდე. (ჟურნ. № 14).

---

გამგეობის მოხსენება პასუხსაგებ თანამდებობის პირების ჯამაგირების მომატების შესახებ.

22/V. გამგეობის მიერ წარმოდგენილი ჯამაგირები მიღებულ იქმნას პირველ აპრილიდგან. პირველ იანვრიდგან პირველ აპრილამდე კი ყველა ხსენებულ თანამდებობის პირთ მოემატოს თვიურად 250 მან. თანახმად უკვე მიღებულ მე-7 მომატებისა, ხოლო თუ რომელიმე შემთხვევაში შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ უმაღლესი თანამდებობის პირი მიიღებს მასზე დაბლა მდგომ მოსამსახურეზედ ნაკლებს, გამგეობას მიეცეს საჭირო შესწორების შეტანის უფლება და დამატებით მოახსენოს საბჭოს სათანადო ხარჯის დასამტკიცებლად. ამასთანავე მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება სპეციალისტების მოწვევის დროს აქ აღნიშნულ ფარგლებიდამ გამოსვლისა. ეს დადგენილება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზედ ვინც ირიცხება სამსახურში ამ დადგენილების გამოტანის დროს. (ჟურნ. № 15).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება დამფასებელთა გასამჯელოს გაღების პირობების შეცვლის შესახებ.

14 VII. გადიდებულ იქმნას დამფასებლების ჯამაგირი რვაას (800) მანეთამდის თვეში თითოს. არსებული წესი შეფასების უწყების შედგენისათვის ჯილდოს გაღებისა შეცვლილ იქმნას შემდეგ ნაირად: მიეცეს დამფასებლებს თვითეულ შეფასებაში, თუ შენობა შეიცავს არა უმეტეს ხუთის ოთახისას—ათი მანეთი, ხუთი ოთახზედ ზევით, დამატებით, თითო ოთახში ორი მანეთი, გაუშენებელ მიწის ნაკრის შეფასებაში ხუთი მანეთი. ეს წესი შემოღებულ იქმნას დღიდგან მისი მიღებისა საბჭოს მიერ. (ჟურნ. № 19).

---

გამგეობის მოხსენება მერვე მომატების შესახებ.

4 VIII. 1) სატარიფო პალატის დადგენილების თანახმათ მოემატოს ქალაქის ყველა მოსამსახურეთ ამ მომატებამდე არსებულ ჯამაგირის 35% თითოს, რადგან იმავე პალატის გამოკვლევით პირველ საჭიროების სურსათ-სანოვაგე მიმდინარე წლის პირველ აპრილიდგან გაძვირდა 35%. 2) რადგან ქალაქის მოსამსახურეთ უკანასკნელი მომატება ჯამაგირებისა დაენიშნათ 1919 წ. 1 იანვრიდგან, სატარიფო პალატა კი სიძვირის გადიდებას ანგარიშობს მხოლოდ პირველი აპრილიდგან და მხედველობაში არ ღებულობს გაძვირებას პირველ იანვრიდგან პირველ აპრილამდე, დაენიშნოს ქალაქის მოსამსახურეთ დროებითი მომატება არსებულ 23% თითოს, სურსათ-სანოვაგის გაძვირების გამო იანვრიდგან აპრილამდის, სულ კი 58%. 3) ამ მომატებას ეწოდოს მერვე მომატება სიძვირის გამო. 4) მილიციისა და ცეცხლის მქრობელთა რაზმის მოსამსახურეთ, გარდა ამ დაწესებულებათა კანცელარიების, საზოგადო და სისხლის სამართლის მილიციის უფროსების და მათი თანაშემწეებისა მოემატოთ 500 მან. თვეში თითოს. 5) მილიციის და ცეცხლის მქრობელთა რაზმის კანცელარიებში მოსამსახურეთ, საზოგადო და სისხლის სამართლის მილიციის უფროსებს და მათ თანაშემწეებს მოემატოთ საზოგადო წესით ჯამაგირის 58%. 6) ეს მომატება გავრცელებულ იქმნას ყველა ამორჩეულ თანამდებობის პირთა ჯამაგირებზედაც გარდა დამფასებლებისა, რადგან მათი ჯამაგირები და სასყიდელი შეფასების უწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყების შედგენაში საბჭოს გაულია 14 ივლისის დადგენილებით. 7) იმ მოსამსახურეთ, რომელთაც ეძლევათ ულუფა (საზრდო) ქალაქის დაწესებულებებიდგან ეს მომატება შეუმცირდეთ სურსათის ნაყიდობის ფასის მიხედვით თითოს 150 მანეთით. 8) მერვე მომატება შემოღებულ იქმნას მიმდინარე წლის პირველ აგვისტოდგან, ხოლო რადგან ტრამვაის პროფესიონალური კავშირი ითხოვს ამ მომატების შემოღებას პირველ ივლისიდგან, მომატების შემოღების ვადის საკითხი გადაეცეს სატარიფო პალატას საბოლოვოდ გადასაწყვეტად. 9) ამ მომატებით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად მოემატოს ტრამვაის ტარიფს ყველა გზაზედ ათი შაური, ე. ი. შემოღებულ იქმნას მანეთ ნახევარის მაგიერ ორი მანეთი, მანეთის მაგიერ მანეთ ნახევარი და ათი შაურის მაგიერ ერთ მანეთი. გადიდებული ტარიფი შემოღებულ იქმნას იმ დღიდგან, როცა შესაძლო იქმნება ეს ტეხნიკურად, თუნდა ჟურნალის ხელის მოწერამდის. 10) აღიძრას შუამდგომლობა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ ქალაქ თბილისს მიეცეს სხვა ქალაქებსავით დახმარება მილიციის შესანახად. 11) აღდგენილ იქმნას სანიტარო-ეპიდემიურ გადასახადიდგან ის თანხა რომელიც ქალაქმა გაიღო 1919 წელში გადამდებ სენთან საბრძოლველად. (ჟურნ. № 20).

---

გამგეობის მოხსენება თანახმად ტრამვაის მოსამსახურეთა თხოვნისა „პურის მომატების“ ძირითად ჯამაგირში გადარიცხვის შესახებ.

4/VIII. „პურის მომატება“ გადარიცხულ იქმნას მორიგ მეექვსე მომატებათ 1919 წლის 1 იანვრიდგან. (ჟურნ. № 20).

---

გამგეობის მოხსენება პასუხსაგებ თანამდებობის რამოდენიმე პირთა ჯამაგირების მომატების შესახებ საბჭოს 22 მაისის დადგენილების გამო.

21/VIII. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. გადაიდოს ორმოცი ათას ოთხას ოცდა სამი (40.423) მანეთი და 80 კ. ქალაქის წარმოებაში და საამშენებლო განყოფილებაში მოსამსახურე პასუხსაგებ თანამდებობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირების მომატების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საბჭოს 22 მაისის დადგენილებისა, რომლის ძალით იმ შემთხვევებში, როცა თანამდებობის პირს მიეცემა ჯამაგირი ნაკლები ვინემ მასზედ დაბლა მდგომ მოსამსახურეს, გამგეობას უფლება აქვს შეიტანოს საჭირო შესწორება. (ჟურნ. № 22).

---

თავმჯდომარის განცხადება სატარიფო პალატის დადგენილების შესახებ, რომ ქალაქის მოსამსახურეთა ჯამაგირებზე მე-8 მომატება 1 ივნისიდგან იქმნას გავრცელებული.

21/VIII. საბჭო თავმჯდომარის განცხადებას ცნობად იღებს. (ჟურნ. № 22).

---

გამგეობის მოხსენება ბრანდმეისტერი ა. ვლ. კელჩევსკის ჯამაგირის მომატებაზე ფინანსიურ კომისიის დასკვნით.

27/X. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და დაენიშნოს ბრანდმეისტერს ალექსანდრე ვლადიმერის ძე კელჩევსკის ჯამაგირათ ორი ათასი (2.000) მანეთი თვეში მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდამ და ერთდროულ დახმარებათ მისი ქალის ავადმყოფობის გამო ერთი თვის ჯამაგირი. (ჟურნ. № 27).

---

გამგეობის მოხსენება თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირების მე-9 მომატების შესახებ.

10/XI. გამგეობის მოხსენება ქალაქის მოსამსახურეთა ჯამაგირების მე-9 მომატების შესახებ დადასტურებულ იქმნას. მოემატოს 1919 წლის 1 ნოემბრიდგან ქალაქის მუშა-მოსამსახურეთ 40% არსებულ ჯამაგირებისა; ამ მომატებით გამოწვეული ზედმეტი ხარჯების (ოთხ მილიონ ცხრაას ორმოცდა ოთხი ათას ორას ოცდა თოთხმეტი მანეთი და ოთხი აბაზი — 4.944.234 მან 80 კ.) დასაფარავად გადიდებულ იქმნას 12 ნოემბრიდგან ტრამვაის ტარიფი: მანეთ ნახევარის მაგიერათ — ორ მანეთამდე, ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთის მაგიერ—სამ მანეთამდე. ეთხოვოს მთავრობას ამ მომატებით გამოწვეულ მილიციის დასაკმაყოფილებლად საჭირო ხარჯების ნახევარი მიიღოს თავის თავზე, დანარჩენი ხარჯები დაფარულ იქმნას სესხის სახით. ეს მომატება გავრცელებულ იქმნას მხოლოდ იმ პირებზედ რომლებიც თვითმართველობის სამსახურში ითვლებიან ამ დადგენილების მიღების დღეს. (ჟურნ. № 28).

---

ქალაქის სადეზინფექციო კამერის მოსამსახურეთათვის ტანსაცმელის მიცემის შესახებ.

17/XI. მიეცეს სადეზინფექციო კამერის მოსამსახურეებს გარდა გამგისა და ზედამხედველისა: საზამთრო მოსასხამი ორი წლით, საზამთრო თუჟურკა ორი წლით, საზამთრო შალვარი და ქუდი ერთი წლით, საზაფხულო ტუჟურკა, შალვარი და ქუდი ერთი წლით. გარდა ამისა გადაეცეს კამერის გამგის განკარგულებაში თორმეტი საწვიმო მოსასხამი, თორმეტი წყვილი ბრეზენტის ფეხსაცმელები და თორმეტი წყვილი ტყავის ხელთათმანები მოსამსახურეთათვის მოსახმარად როდესაც ამას მათ მიერ სამსახურის აღსრულება მოითხოვს. დაევალოს ქალაქის გამგეობას ამის შესახებ წარმოუდგინოს ქალაქის საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა. (ჟურნ. № 29).

---

გამგეობის მოხსენება ქალაქის თვითმართველობის საქმის მწარმოებელთა ჯამაგირების მომატების შესახებ.

27/XI. დადასტურებულ იქმნას საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნა და დაენიშნოს საქმის მწარმოებლებს მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდგან ორი ათას ხუთასი (2.500) მანეთი თვეში თითოს. (ჟურნ. № 30).

---

გამგეობის მოხსენება ზოგიერთ პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ჯამაგირების მომატების შესახებ.

27/XI. გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან დაენიშნოთ:

საბინაო განყოფილების გამგეს . . . . . . 3.500 მან.
ქალაქის სკოლის ინსპექტორს . . . . . . . 3.000 „
მოლარეს . . . . . . . . . . . . . . . . 3.500 „

მოლარის პირველ თანაშემწეს . . . . . . . . 2.500 მან.
„ მეორე „ . . . . . . . . 2.400 „
მთავარი კონტროლიორის თანაშემწეს . . . 4.000 „
მისივე თანაშემწეებს თითოს . . . . . . . . 4.000 „
კონტროლიორს თითოს . . . . . . . . . . 3.100 „
ავჭალის წყალსადენის გამგეს . . . . . . . 4.800 „
მის თანაშემწეს . . . . . . . . . . . . . 3.200 „
წყალსადენის დირექტორს . . . . . . . . . 5.000 „
სასაკლაოს დირექტორს . . . . . . . . . . 4.000 „
სანიტარულ ინსპექტორს . . . . . . . . . 5.000 „
საალმშენებლო და კანალიზ. ნაწილის გამგეს . 5.000 „
ხარჯთ-ამკრეფ ბიუროს გამგეს . . . . . . . 4.000 „
სისხლის სამართლის მილიციის უფროს . . 4.000 „
ტრამვაის დირექტორს . . . . . . . . . . 5.000 „
„ ქსელის გამგეს . . . . . . . . . 4.200 „
„ მთავარ ინჟინერს . . . . . . . . 5.000 „
„ სახელოსნოს გამგეს . . . . . . . 4.400 „
ქალაქის საავადმყოფოს მთავარ ექიმს . . . . 4.000 „
საავადმყოფოს პროზექტორს . . . . . . . . 3.500 „
სადეზინფექციო კამერის გამგეს . . . . . . 3.200 „
სასანიტარო ექიმებს თითოს . . . . . . . . 3.100 „
უფროს ბეითალს . . . . . . . . . . . . 3.200 „
მილიციის უფროს . . . . . . . . . . . . 6.000 „
მთავარ კონტროლიორს . . . . . . . . . . 6.000 „
გამგეობის მდივანს . . . . . . . . . . . 5.000 „
საბჭოს მდივანს . . . . . . . . . . . . 5.000 „
ლომბარდის გამგეს . . . . . . . . . . . 4 200 „
მილიციის უფროსის თანაშემწეთ თითოს . . 4.000 „
„ საქმეთა მართველს . . . . . . . 4.000 „
მთავარ ბუჰგალტერს . . . . . . . . . . . 5.000 „
გამგეობის წევრებს თითოს . . . . . . . . 6.000 „
ქალაქის მოურავს . . . . . . . . . . . . 7.000 „

ამასთანავე მოურავს წარმომადგენლობისა წელიწადში ოცი ათასი (20.000) მანეთი, მიმდინარე 1919 წელს კი წარმომადგენელობის ათი ათასი (10.000) მანეთი. დამფასებლების არსებულ ჯამაგირს მიემატოს 40% და შეფასების უწყების შედგენაში არსებული სასყიდელი გაუდიდდეთ 50%. ამ მომატებით გამოწვეული ხარჯები დაფარულ იქმნას სესხით. (ჟურნ. № 30).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1919 წელს საბჭოს სხდომები მოხდა 32 ჯერ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟურნალი № | 1 | 13 იანვარს | | ჟურნალი № | 17 | 7 ივნისს |
| „ „ | 2 | 20 „ | | „ „ | 18 | 23 „ |
| „ „ | 3 | 10 თებერვალს | | „ „ | 19 | 14 ივლისს |
| „ „ | 4 | 17 „ | | „ „ | 20 | 4 აგვისტოს |
| „ „ | 5 | 24 „ | | „ „ | 21 | 11 „ |
| „ „ | 6 | 3 მარტს | | „ „ | 22 | 21 „ |
| „ „ | 7 | 10 „ | | „ „ | 23 | 22 სექტემბერს |
| „ „ | 8 | 17 „ | | „ „ | 24 | 29 „ |
| „ „ | 9 | 22 „ | | „ „ | 25 | 13 ოქტომბერს |
| „ „ | 10 | 25 „ | | „ „ | 26 | 20 „ |
| „ „ | 11 | 31 „ | | „ „ | 27 | 27 „ |
| „ „ | 12 | 10 აპრილს | | „ „ | 28 | 10 ნოემბერს |
| „ „ | 13 | 28 „ | | „ „ | 29 | 17 „ |
| „ „ | 14 | 12 მაისს | | „ „ | 30 | 27 „ |
| „ „ | 15 | 22 „ | | „ „ | 31 | 15 დეკემბერს |
| „ „ | 16 | 27 „ | | „ „ | 32 | 22 „ |

## სარჩევი:

80/27

| | გვერდი |
|---|---|
| გადასახადები | 1 |
| განათლება | 14 |
| გაფიცვა | 20 |
| დახმარება | 22 |
| ეპიდემია, სანიტარია და საავადმყოფოები | 38 |
| მილიცია | 44 |
| პატივისცემა | 46 |
| პირადი შემადგენლობა | 48 |
| რეგლამენტი | 69 |
| სავალდებულო დადგენილება | 70 |
| სასურსათო საკითხი | 77 |
| სახალხო სახლი | 79 |
| საჩივრები | 80 |
| სესხი | 82 |
| ტრამვაი | 84 |
| ქალაქის მიწები, სახლები, ქუჩები და სხვა ქონება | 84 |
| შეკითხვები | 90 |
| ხარჯთ აღრიცხვა | 92 |
| წყალსადენი | 94 |
| ჯამაგირები | 97 |

შედგენილია საბჭოს კანცელარიის საქმის მწარმოებლის აკ. ტყემალაძის მიერ.

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა